დიმიტრი ჯავახიშვილი

# ბავშვობის ფურცლები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971

61 (С 41)(09)
61 (47 92)(092 ჯავახიშვილი დ.)
ჯ 145

დიმიტრი ჯავახიშვილის „მოგონებათა ფურცლები" რამდენიმე წლის წინ ვამოვიდა. შემდეგ ავტორმა წიგნი შეავსო ახალი მასალით, დაუმატა საინტერესო ეპიზოდები, შთაბეჭდილებანი და ამ სახით ვთავაზობთ მკითხველს.

დიმიტრი ჯავახიშვილს ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი. ბავშვობა მან სოფელში გაატარა. საშუალო განათლება თბილისში მიიღო, ხოლო უმაღლესი განათლება — ოდესისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს კახეთში მუშაობდა ექიმად. სამოქალაქო ომის დროს ჯარში გაიწვიეს და სამხედრო ექიმი იყო. პროფესორი დიმიტრი ჯავახიშვილი, როგორც თერაპევტი-კურორტოლოგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ამჟამადაც უანგაროდ ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეს.

თავისი ცხოვრების გზაზე მან ბევრი რამ ნახა და განიცადა, შესწავლა გამოჩენილ თუ უბრალო ადამიანებს. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს თავის მოგონებებში.

7—2—2



დრო-ჟამმა მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცეში რომ გადმოაბიჯა, მე ყმაწვილკაცობას ვეთხოვებოდი და ვაჟკაცობას ვიწყებდი. ახლა უკვე მხრებზე 87 წელიწადი მაწევს — თვრამეტი იმ საუკუნისა და სამოცდაცხრა ამ საუკუნისა. სიბერემ როდი დამაძაბუნა, ჯან-ღონე კვლავ მერჩის, ისევ ვმუშაობ ძველებურად, ქვეყანას ვემსახურები, წუთისოფლის გზას უყავარჯნოდ მივყვები და ამ გზაზე შეჩერებას ჯერჯერობით არც ვფიქრობ.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობას ბევრი რამ განაპირობებს. მე რომ მკითხონ, ჩემი სიცოცხლის ელექსირი სწორედ ის მიწაა, სადაც პირველად მუხლგაშლილად დავადგი ფეხი, პირველად შევხედე მზეს, სადაც პირველად დავინახე ვარსკვლავიანი ცა და დიდი მთვარე, სადაც ბლებისა და ვაშლების ტოტებიდან პირველად შემომანათა გაზაფხულმა, პირველად ვიხილე მწვანედ ამოფეთქილი ბალახი და ლურჯთვალა იები, სადაც პირველად დავიწყე სამყაროს შეცნობა და უფ-

როსებს ყოველ ნაბიჯზე ვეკითხებოდი: ეს რა არის და ის რა არის-მეთქი.

ძევერა, ჩემი მშობლიური სოფელი ძევერა!

საქართველოში უამრავი აგარაკია, მაგრამ შვებულებას თითქმის ყოველ ზაფხულს მაინც ჩემს სოფელში ვატარებ.

დაკვირვებული ვარ, თავისი ბავშვობა ყველა ბერიკაცს ენატრება და მასთან შესახვედრად ხშირად მიდის იქ, სადაც მისმა ყმაწვილკაცობამ გაირბინა. ძევერაში მეც თითქოს ჩემს ყრმობას ვუბრუნდები. სიბერის წლებს მხრებიდან ვიბერტყავ და ვახალგაზრდავდები.

მოგეხსენებათ, ჭაბუკი მუდამ წინ იყურება, მოხუცს კი უფრო ხშირად უკან ცქერა უყვარს. როცა წინ გაიხედავს, მაშინაც განვლილი წლები და დღეები გზაზე მოგონებებად ხვდებიან. ეს ბუნებრივია: სიჭაბუკეში ოცნებებითა და ხვალინდელი დღის ფიქრებით ვართ მდიდრები, სიბერეში კი ჩვენი სიცოცხლის ფართოდ ტოტებგაშლილი ხე განვლილი ცხოვრების მოგონებებით იხუნძლება. რაც თავის დროზე უბრალო რამედ გვეჩვენებოდა, შემდეგ, მოგონებებში ამოტივტივებული, განსაკუთრებულ ელფერსა და მნიშვნელობას იძენს.

ძევერაში ჩემი ყრმობის ნაფეხურები აღარ ჩანს, ჩემი ბავშვობისდროინდელი ჯზები და ბილიკები აქ აღარც არის... დრო-ჟამმა, წვიმამ, თოვლმა, მზემ და ქარმა წაშალა. მაგრამ ის გზები და ბილიკები, ის ველ-მინდვრები კვლავინდებურად ცოცხალია ჩემს გულში და, ვიდრე თვალს ვახელ, ვერაფერი წაშლის. ძევერას რომ გავხედავ, მოგონებებით მე ისევ იმ ბილიკებს დავდევ, ჯან-ღონე მიახლდება და მშობლიური მიწაწყლის სიყვარული მიასკეცდება.

ძევერაში მე კვლავ ჩემს ბავშვობას ვხვდები და ჩემი განვლილი ცხოვრების გზის ამბებს ვუყვები.

ამბობენ, მშობლიური სოფელი დედასავით არისო. ცისქვეშეთში ადამიანს ხომ ყველაზე მეტად დედა უყვარს, დედაზე ლამაზი, კეთილი და გამრჯე არც არავინ ეგულება. ჰოდა, ძევერაზე უკეთესი სოფელი ჩემთვის არ არსებობს. ჩემთვის-მეთქი, ვიმეორებ. სულიერ-ხორციელად აქ ვისვენებ ყველაზე უკეთ.

ადამიანს თუ უნდა დიდხანს იცოცხლოს, სულის მხნეობა და სიხალისე სიბერეშიც არ დაკარგოს, მშობლიურ მიწას არ უნდა მოწყდეს.

აი ახლაც ჩემი ძევერა მიდგას თვალწინ — მასულდგმულებს და მომავლის მზიანი იმედით მავსებს.

ძევერა შიდა ქართლის გულში ძევს, ზღვის დონიდან 740 მეტრის სიმაღლეზე.

ძევერას შუაგულში წმინდა გიორგის ეკლესია იდგა. მისი ზარის რეკვა ბავშვობისას საოცრად იდუმალ ხმად მეჩვენებოდა და ეკლესიისაკენ მიმავალ ხალხს განსაკუთრებული გრძნობით ვადევნებდი თვალყურს. რაღაც მახარებდა, რაღაც მასევდიანებდა, რაღაც მაშინებდა, რაღაც იმედს მაძლევდა და მანუგეშებდა. ღმერთის მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, ეს ბავშვური გრძნობა კი სულში აქამდე შემომრჩა.

სოფელში ეკლესია ყოველთვის გამორჩეულად დგას და, ალბათ, ეს ანიჭებს იდუმალებას.

ძევერას ეკლესიის გალავანში უზარმაზარი მუხა იდგა. ხალხი ამბობდა, ადამისჟამინდელიაო. იგი ეკლესიასაც ფარავდა და გალავანსაც. ეს დრო-ჟამს გამკლავებული მუხა იქაურობას კიდევ უფრო იდუმალს ხდიდა. ეს ძალგულოვანი ხე,

ბერიკაციერით ჯმუხი და ჩაფიქრებული, დღესაც წინანდებურად დგას და ფოთლებს ისე აშრიალებს, გეგონებათ, თავის ფიქრს ვიღაცას ანდობსო.

გორიდან ცხინვალისაკენ მიმავალ გზაზე, ძევერასთან ახლოს მდებარეობს სოფელი კარალეთი, რომელსაც ძველად ნაჭარმაგევი ერქვა. ნაჭარმაგევი ისტორიულად ცნობილია. იგი დავით აღმაშენებლის ხალხურ ეპიტაფიაში იხსენიება;

„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“.

თამარ მეფის ეზოს მოძღვარის ბასილის ცნობით, როდესაც თამარ მეფე სახელმწიფო საქმის გამო ნაჭარმაგევს ყოფილა, მოულოდნელად ავად გამხდარა ჩვენთვის გამოუცნობი რაღაც მწვავე ავადმყოფობით, რის გამოც თბილისში წაუყვანიათ, შემდეგ კოჯორში გადაუყვანიათ და სპეციალურ პალატაში მოუთავსებიათ, სადაც ექვსი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კიდეც გარდაცვლილა.

თუ ამგვარ ისტორიულ ამბებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კარალეთის მიდამოები, მათ შორის ძევერაც, გორის ციხითურთ, სამხედრო სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა. ჩემი ბავშვობის დროს ძევერაში იყო ოთხკოშკიანი დიდი ციხე. სავარაუდებელია, რომ მას სადროშო მნიშვნელობა ჰქონდა.

ძევერას თითქმის საუკუნოვანმა წუთისოფელმა ჩემ თვალწინ გაიარა და დღეს მე ნათლად ვხედავ კონტრასტს ძველსა და ახალ ძევერას შორის.

1890 წლის მონაცემებით, ძეევრა სამოცკომლიანი სოფელი იყო, ამჟამად კი ოთხას სამოცი კერა ანთია. მაშინ შვიდიოდე ქვითკირის სახლი იდგა მიწის ზემოთ, დანარჩენი ხალხი ბანიან მიწურებში ცხოვრობდა. ამ მიწურებში კი სასტიკი სიღარიბე მეფობდა. ახლა სოფელში თითქმის ყველას ლამაზაივნიანი, მკვიდრად ნაგები ქვითკირის სახლი უდგას. თვალსა და გულს ახარებს კეთილმოწყობილი ეზოები. ოჯახში ტელევიზორი ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ბევრს პიანინოც უდგას. რადიომიმღებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემს დროს ძეევრელ ბავშვებს ანბანს სოფლის დიაკვანი (მედავითნე) ასწავლიდა, დღეს კი აქ თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საშუალო სკოლაა, სპორტული მოედნითა და დიდი გამწვანებული ეზოთი. საღამოობით ხალხი კულტურის სახლში იყრის თავს. მინდვრიდან დაბრუნებული მუშაკაცისთვის მშვენიერი აბანოა მოწყობილი. ჩემს დროს სოფელში ექიმი წამლადაც არ იყო, ამჟამად ძეევრელებს საკუთარი ამბულატორია აქვთ და ხალხს რამდენიმე ექიმი ემსახურება.

ეს ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაკეთდა და ჩვენი ყოფა-ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მე კვლავ ჩემს ბავშვობას ვუბრუნდები. დავიბადე ღარიბი აზნაურის ოჯახში. მამაჩემს მიწა უყვარდა და ყანა-ვენახში გლეხკაცივით მუშაობდა. დედაჩემი, მარიამ ბადრიაშვილი, ზემო ქართლის სოფელ ავლევიდან იყო, იმ სოფლიდან, სადაც დაიბადა ჩვენი საზოგადო მოღვაწე პროფესორი კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბი.

პაპაჩემ გრიგოლს ორი ვაჟი ჰყავდა: უფროსი მამაჩემი ვასილი, უმცროსი ნიკო. პაპაჩემი მიწათმოქმედებას მისდევ-

და, ხნავდა, თესავდა და ხარ-კამეჩს უვლიდა. მამაჩემიც ბავშვობიდანვე ეხმარებოდა მას. შემდეგ პაპას მამაჩემი გორის საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებელში მიუბარებია. ბავშვს ოჯახური საქმე და ხარ-კამეჩი იმდენად ჰყვარებია, გორში ვერ გაუძლია და შინ გამოქცეულა. ამას გადაუწყვეტია მისი სწავლის ბედ-იღბალი, წერა-კითხვის უცოდინარი დარჩენილა. სამაგიეროდ ჩინებულად იცოდა ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება. ბევრს მუშაობდა, მაგრამ სიღარიბეს თავს ვერ ართმევდა.

ჩემმა ბიძამ, ნიკომ კი ბავშვობიდანვე იგრძნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა და სიყვარული. მან დაამთავრა გორის საქალაქო სკოლა, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სახაზინო პალატაში და შეძლო თავისი ექვსივე შვილისათვის განათლების მიცემა. მათ შორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე, თვალსაჩინო პროფესორი, გეოგრაფი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტის დამაარსებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ჯანმრთელი და ენერგიით სავსე 94 წლის მოხუცია. ხოლო ქალებმა, თამარმა და ელენემ, ქართველ ქალთაგან ერთ-ერთმა პირველებმა დაამთავრეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1911—1914 წწ.) და მშობლიურ ქვეყანას ემსახურებოდნენ.

ძევერაში უბრალო სახლი გვედგა, ერთოთახიანი. იმ ოთახსაც მიწის იატაკი და მიწის ბანი ჰქონდა. ამას ემატებოდა ერთი მოზრდილი სარდაფიც.

მთელი ოთახის სიგრძეზე ერთი ტახტი იყო გამართული, იქვე იდგა ხის რამდენიმე უბრალო სკამი. ეს იყო ჩვენი აზნაურული ავლადიდება.

შობა-ახალწლის, აღდგომისა თუ სხვა დღეობების დროს, როცა ჩვენს ოჯახში წვეულება იმართებოდა, ეს გრძელი ტახტი სუფრის მოვალეობასაც ასრულებდა. ზედ ჩვეულებრივად ფარდაგს გადააფარებდნენ ხოლმე, ზოგჯერ ხალიჩასაც.

ამ ტახტზე სუფრა ისე არ გაიშლებოდა, ჩვენი მოგვარე ლევანი და მისი მეუღლე ცაკალო არ მოგვეწვია. ცაკალო ძალუა საინტერესო ქალი იყო, საზოგადოებაში არაჩვეულებრივად მომლხენი, როგორც იტყვიან, სუფრის თვალი. დაირას ისე მოხდენილად უკრავდა, ქვას ააცეკვებდა. მხიარულების წამომწყებიც ის იყო და დამაგვირგვინებელიც, მაგრამ იგი მარტოოდენ ლხინში როდი იყო კარგი, ყოველთვის მხარში ედგა ჩვენს ოჯახს. განსაკუთრებით ჩემი მოწაფეობის დროს მისგან ბევრი სიკეთე და პატივისცემა მახსოვს. ცაკალო ატოცელ დიდებულიძიანთ ქალი იყო და თავისი კარგი ქალობით ამ გვარს კიდევ უფრო ალამაზებდა.

რომ იტყვიან, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო, ცოლ-ქმარი ისე შვენოდნენ ერთმანეთს.

ჩვენს ოჯახში ლევან ჯავახიშვილს ყოველთვის თამადად ირჩევდნენ. შეუდარებელი იყო იგი, სუფრას რომ გადახედავდა და სადღეგრძელოს იტყოდა. სტუმრები, რომლებიც ხის უბრალო სკამებსა და სუფრის გასწვრივ დალაგებულ მუთაქებზე ისხდნენ, მის სიტყვას უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ. თამადა სუფრის ძველთაძველ წეს-ჩვეულებებს მკაცრად იცავდა. ვიდრე სადღეგრძელოები არ ჩამოთავდებოდა, სტუმრებს

სუფრიდან წამოდგომისა და გარეთ გასვლის უფლებას არ აძლევდა. ხოლო როცა სტუმრები თანდათან გაიკრიფებოდნენ სახლიდან, ლევანი ერთხელ კიდევ დალოცავდა კერას და ისიც წავიდოდა.

არ მახსოვს, ჩვენს ოჯახში ქეიფის დროს ოდესმე ჩხუბი და აყალმაყალი ამტყდარიყოს.

ისიც მაგონდება, რომ ბავშვებს მუდამ ცალკე გაგვიშლიდნენ ხოლმე პატარა ტაბლას.

*

დედაჩემს სამი და და ერთი ძმა ჰყავდა. თვითონაც აზნაურის შვილი იყო. მისი ოჯახი ჩვენზე მდიდრულად ცხოვრობდა, ამიტომ ბავშვობიდანვე გაჭირვებას არ იყო მიჩვეული და ჩვენს სიღარიბეს ადვილად ვერ შეეგუა. სუსტი აგებულების ქალი ადრე დაწვრილშვილდა — ჰყავდა ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. ჩემი და ადრე გარდაიცვალა და მისი სახე ბუნდოვნად მახსოვს. ვაჟები ასაკით ერთმანეთისაგან სამი-ოთხი წლით განვსხვავდებოდით. მე მეოთხე ვაჟი ვიყავი. ჩემი უფროსი ძმა გიგო ვაჟკაცობაზე რომ დებდა თავს, მე ჯერ კიდევ პერანგის ამარა დავრბოდი ეზოში. გიგო, ასე ვთქვათ „აზნაურიშვილობდა“, მამაჩემის გვერდით მუშაობას გაურბოდა და, თუ სადმე დღეობა გაიმართებოდა, ისიც იქ იყო. ძალიან უყვარდა ქეიფი, დროსტარება და გართობა.

მამაჩემს ფრიად სწყინდა, მისი უფროსი ვაჟი რომ არ ეხმარებოდა შრომაში და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა.

ჩემი ბავშვობის დროს ნაირნაირი დღეობები იცოდნენ.

გარდა ამისა, ყველა სოფელს თავისი განსაკუთრებული დღეობაც ჰქონდა. ძეევრაში სამ დღეობას იხდიდნენ: ნათლისმცემლობას — ივნისში, გიორგობას — ნოემბერში და სამებობას — გაზაფხულზე. სოფელ ტყვიავში ამაღლების დღესასწაული იმართებოდა, შინდისში — კვირაცხოვლობა, შერთულში — ღვთისმშობლობა, მეჯვრისხევში — უსანეთობა, ერგნეთში — ზღუდრობა... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი. გიგო არც ერთ დღეობას არ აკლდებოდა: ნათესავ-მოყვრებს მხოლოდ ასეთ დღეობებზე ვხვდები და ამასაც მიშლითო? თითოეული დღეობა ორი-სამი დღე გრძელდებოდა და ნაქეიფარი გიგო შინ რომ ბრუნდებოდა, მამა, რა თქმა უნდა, საყვედურობდა, უკმაყოფილო იყო, გონს მოდიო. მერე გული მოულბებოდა და დაწვრილებით გამოჰკითხავდა: ვისთან იყავი და მასპინძელს როგორი ღვინო ჰქონდაო.

— ნუ გეშინია, მამა, შენზე უკეთეს ღვინოს ქვეყნიერების ზურგზე ვერავინ აყენებს! — ეტყოდა შვილი მამას და ისინი უმალვე შერიგდებოდნენ.

სამიოდე დღეში შვილი კვლავ დღეობაზე მიდიოდა, მამა კი დილით ადრე წინსაფარს გაიკეთებდა და მარტოდმარტო მიაშურებდა ყანა-ვენახს. იქ პატიოსნად და შეუსვენებლად მუშაობდა. ყველა დარდს მიწასთან ჭიდილში კლავდა.

უნდა გენახათ, როგორ გაიხარებდა, ვენახში სადილს ან სამხარს რომ მივუტანდი. მომეალერსებოდა და მაშინვე საუბარს გამიბამდა:

— შვილო, მე უსწავლელი კაცი ვარ, წიგნისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მიწის ყველა საიდუმლო ვიცი. აი, ამ ვაზებს რომ ხედავ, თვითეულთან წელიწადში სამოცჯერ მაინც

მივდივარ. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ვაზს მუდამ მოვლა სჭირდება. ეს ბარვაო, ეს გასხვლაო, სარის შედგმა და შეყელვაო, შეხვევა და ცის გახსნაო, ვენახში სიმინდისა და ლობიოს დათესვაო, გათოხნა და დაჩერკვნაო. რამდენჯერმე მორწყვაც უნდა. სამაგიეროდ ამ დალოცვილმა ზრუნვის დაფასებაც მადლიანი იცის.

მამაჩემს ვენახში ღამე არ ეძინა, თორემ დანარჩენ დროს სულ ვაზებთან ტრიალებდა. მეზობლები ყოველთვის უქებდნენ კარგად მოვლილ ვენახს: ღვთის თვალი ტრიალებს შიგო.

და ეს ღვთის თვალი თვითონ მამაჩემი იყო, მისი გამრჯე მარჯვენა.

დაკვირვებული მუშაკაცი ყურძნის ნაადრევად მოკრეფას ერიდებოდა, ყველაზე გვიან მოირთვლიანებდა ხოლმე. ქვევრებს როცა რეცხავდა, სულ ღიღინებდა, სიმღერა დაებედებაო. გარეცხილ ქვევრს სასოებით ჩასძახებდა ხოლმე, შეამოწმებდა, ზადი ხომ არ დარჩენიაო. საუკეთესო სურნელისა და გემოს ლალისფერ ღვინოს აყენებდა.

მამაჩემი ღვთის მორწმუნე იყო, ეკლესიაში წირვას არ აცდენდა და ყველა საქმესაც პირჯვრის წერით იწყებდა. ქვევრს როცა მიადგებოდა მოსახდელად, ჯერ ქვის სარქველს აიღებდა, მერე ქვევრის თავს ჯვარედინად ხელებს დაადებდა, რაღაცას წაიბუტბუტებდა და შეუდგებოდა საქმეს.

განსაკუთრებით უყვარდა ახალი წლის შესახვედრად ხონჩის მომზადება. ზედ იდო ღორის თავი, აბრამიანი (თაფლით დამტკბარ ღვინოში ჩაწყობილი წვრილად დაჭრილი პური), ალვახაზი, იქვე გოზინაყი და ჩურჩხელები. ახალწლის ღამით ბუხარში დიდ ჯირკს შეაყუდებდა, ცეცხლს ააგიზგიზებდა, კერას გაამხიარულებდა, შუაღამისას გარეთ გავიდოდა, სახლს

სამჯერ შემოუვლიდა, მოადგებოდა კარს და დააკაკუნებდა. კართან მივიდოდა ოჯახის რომელიმე წევრი (უფრო ხშირად ჩემი უფროსი ძმა გიგო) და ჰკითხავდა:

— ვინა ხარ და რა მოგაქვს?

— მომაქვს ღვთისა და ბატონის წყალობა!— იყო პასუხი.

კარს სამი დაკაკუნების შემდეგ უღებდნენ.

შემოვიდოდა სავსე ხონჩით ხელში და ზღურბლიდანვე იწყებდა ლოცვას:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!

ლოცვას სამჯერ გაიმეორებდა, მერე მივიდოდა მოღუღუნე ბუხართან და მაგარი ჯოხით მუგუზლებსა და ჯირკს შეანჯღრევდა.

უცებ უამრავი ვარსკვლავა ნაპერწკალი გაიბნეოდა ირგვლივ. მამაც მხიარულად დასძახოდა:

— ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი, ამდენი ფრინველი, ხვავი და ბარაქა!

ამ დროს ბავშვები ლოგინში ვიყავით განაბული, ყველაფერ ამას ისე ვუყურებდით, როგორც საოცრებას და სასწაულს!

ბუხრიდან შემობრუნებული მამა ჩვენკენ წამოვიდოდა, პირში თითო ლუკმა აბრამიანს ჩაგვიდებდა, თითო ნაჭერ გოზინაყსაც მოგვცემდა და ღიმილით გვეტყოდა: ასე ტკბილად დამიბერდითო.

მამაჩემს უმიზეზოდ ღვინის სმა არ უყვარდა, მაგრამ, როდესაც სტუმრები გვეწვეოდნენ, გულითადად ხვდებოდა. შობასა და ახალწლის დღეებში სტუმრებს ყოველთვის ელოდა. მოდიოდნენ მოსალოცად მეზობლები, ჩვენი მოგვარეწი, ნა-

თესავები და მოყვრები. მამა ყველას სიყვარულით ხვდებოდა, პირზე ღიმილს არ იშორებდა. ამღერებდა უფროს შვილს გიგოს და თვითონაც მღეროდა.

მამაჩემს ყველა პატივს სცემდა, სოფლის ბავშვებიც კი მოწიწებით ეპყრობოდნენ. არ მახსოვს, ოდესმე შეეჩივლოს ვინმესთვის, ჩემი ნაჭირნახულევი მომპარესო. ზაფხულში ჩვენს ბაღჩაში გამოულევლად გვქონდა ახალ-ახალი კიტრი და პამიდორი, რომელსაც მამა ოქროვაშლას ეძახდა. პამიდვრის ეს სახელი ჩვენში, ეტყობა, საფრანგეთიდან შემოიტანეს. ჩვენს ბაღჩასთან ჩავლილ ბავშვებს რომ დაინახავდა მამა, უეჭველად მიაწვდიდა ხოლმე კიტრსაც და პამიდორსაც.

კარგად მახსოვს მამაჩემის სხვა თვისებებიც: ძლიერ უყვარდა დამტკბარი ჩაი და თაფლი. ერთხელ ვიღაცას დანიძლავებია: ერთჯერად ერთ დიდ ჯამ თაფლს შევჭამო და სანაძლეო მოუგია.

საერთოდ კი ცხოვრებაში დიდი მოთხოვნილების კაცი არ იყო. სჯერდებოდა იმას, რაც ჰქონდა. გაზაფხულზე ძალიან უყვარდა მხალეული: ბალბა, ღვალო, ჭინჭარი, კოფრჩხილა, დანდური, ჭრიანტელი, ძმრისა და თხლის შეჭამანდი. არც სატაცურზე ამბობდა უარს.

ძილიც გემრიელი იცოდა, როგორც გამრჯე და მართალ ადამიანებს სჩვევიათ. ყანასა და ვენახში მუშაობით ძალიან რომ დაიღლებოდა, მიწვებოდა, თავქვეშ სიპ ქვას ამოიდებდა და მშვიდად დაიძინებდა. მერე უცებ გაიღვიძებდა და მხნედ შეუტევდა საქმეს. იგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 92 წლის ასაკში, 1926 წელს.

დედაჩემი უფრო შინ ფუსფუსებდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ აიღო როდინი, შიგ ნიგოზი ჩაყარა და დაუწყო ნაყვა.

დანაყილ ნიგოზს მარილს აყრიდა და ჭყლეტდა ხელით, ზეთსა ხდიდა. მე მაშინ პატარა ვიყავი, იქვე ეტრიალებდი და დედას ვეალერსებოდი. ამ ალერსით გართულმა დედას დავუქციე წვითა და დაგვით მოგროვილი ერთი ქილა ნიგვზის ზეთი. ვიგრძენი, რომ რაღაც ცუდი ჩავიდინე და დედას მივაშტერდი. შევატყვე, დედა ძალიან შეწუხდა, მაგრამ ვერც საცემად გამიმეტა და ვერც დასაწყევლად, უცებ შეტრიალდა, სახეზე ხელები მიიფარა და ტირილი წასკდა. ეს რომ დავინახე, მეც ავტირდი და დედას მოვეხვიე. ალბათ, ასე მინდოდა მენუგეშებინა. დედამ უცებ შეწყვიტა ტირილი და მოფერება დამიწყო: ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო.

მისი ცრემლები თითქოს ახლაც მეყრება გულზე და მწვავს.

იმ დროიდან კიდევ ერთი ამბავი მახსოვს.

მე და ჩემს უფროს ძმას არჩილს დედაჩემი ერთად დაგვსხამდა ხოლმე და ერთ ჯამში დაგვისხამდა კერძს, მაწონსა და დოს. შევექცეოდით მშვიდად, მაგრამ როცა გავათავებდით და ცარიელ ჯამს დავხედავდით, მერე იწყებოდა დავა და გაწამაწია. ავტეხავდით ბავშვურ ჯიბრს: ჯამი თავის ადგილას ვის მიეტანა. ეს ჯიბრი ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე. მაშინ დედა მოვიდოდა ჩვენთან და საქმეც უმალვე მოგვარდებოდა. ორივე ავწევდით ჯამს და თავის ადგილას ვდებდით.

მე ბავშვობისას საკმაოდ მოუსვენარი და ცელქი ვიყავი. ამის გამო რამდენჯერმე ხიფათსა და ფათერაკსაც გადავაწყდი.

ძეგერას რუ ჩაუდის. იმ რუზე ორთვლიანი წისქვილი იდგა. ერთ ზაფხულს (მაშინ ხუთი წლისა ვიქნებოდი) ჩემ ტოლ ბიჭებთან ერთად რუში საბანაოდ წავედი. ბავშვისათვის ის რუ საკმაოდ ღრმა იყო. ცურვით გავყევი დინებას. წყალმა

გაძიტაცა და ღარში მომაქცია, მბრუნავ ბორბალზე დამაგდო და დამატრიალა. მაშინვე ბორბლის ღერძს მოვეჭიდე. მაგრამ, ეტყობა, ციბრუტივით ტრიალი ვერ ავიტანე და გონება დავკარგე.

შემდეგ რაც მოხდა, ბიჭებმა მიამბეს. ისინი გაქცეულან და ეს ამბავი შეუტყობინებიათ ზედგინიძისათვის, რომელსაც იმ დროს წისქვილში საფქვავი ჰქონია. მას წისქვილის წყალი უმალვე დაუწყვეტია.

მორევიდან ამომიყვანეს, თავქვე დამკიდეს და ნაყლაპი წყალი დამაქცევინეს.

გონს მოვედი და მოვსულიერდი.

ამ ფათერაკმა ჭკუა ვერ მასწავლა. რამდენიმე დღის შემდეგ გლეხები პურის ძნებს კალოებისაკენ ეზიდებოდნენ. ერთმანეთის მიყოლებით მიმავალი ცარიელი საძნე ურმების შუაში შევიჭერი, ერთ-ერთი ურმის კოფოზე შეჯდომა მოვინდომე, ძირს ჩავვარდი და მომდევნო ურემმა ერთი თვალით გადამიარა.

ცოცხალ-მკვდარი გამომიყვანეს.

მძიმე ავადმყოფს მთელ ორ კვირას ნაირნაირ ხალხურ წამლებს მასმევდნენ.

მოვმჯობინდი, მაგრამ თავს დათეთქვილად კარგა ხანს ვგრძნობდი.

ასეთი ამბები მაკაჟებდა და უფრო შეუპოვარსა მხდიდა.

ექვსი-შვიდი წლის ბიჭი ოჯახის საქმეებში ვშველოდი ხოლმე ჩვენებს. ერთხელ, თონის გასახურებლად ფიჩხს რომ ვჭრიდი, წალდი ამიცდა და მარჯვენა მუხლის კვირისთავზე დავირტყი. სისხლის შადრევანმა იფეთქა.

კიდევ კარგი, მეზობლად ცხოვრობდა ასეთ საქმეებში საკ-

მაოდ გათვითცნობიერებული კაცი, ტროფინე ჯავახიშვილი, რომელიც ბიძად მეკუთვნოდა. იგი შინ აღმოჩნდა. თვალის დახამხამებაში მოვარდა, ჭრილობა გამისინჯა, სასწრაფოდ ჩავიდა სარდაფში, მოაგროვა ბლომად აბლაბუდა და დამადო ჭრილობაზე. დამადო კი არა, პირდაპირ ჭრილობაში ჩამიდო და ჩითის ნაჭრებით მაგრად შემიხვია. ნუ გეშინია, მალე მოგირჩებაო, დამაიმედა და წავიდა. ხუთიოდე დღეში მოვიდა ისევ, სახვევები შემომხსნა და ჭრილობა კვლავ გამისინჯა. ჭრილობა მოშუშებულ-შეხორცებული იყო. მეორედ მაინც შემიხვია. ჯერ კოჭლობით დავიწყე სიარული, მერე მუხლი ბოლად გავმართე და სირბილიც დავიწყე.

მარჯვენა მუხლის კვირისთავზე ახლაც მემჩნევა მაშინდელი ნაჭრილობევ-ნაწიბური.

მაშინ ძალიანაც გამამწარა მუხლის ჭრილობამ, მაგრამ ვისაც არაფერი სტკენია, იმას თითქოს ქვეყანაზე არც უცხოვრია და მოსაგონარიც ბევრი არაფერი აქვს.

ცხოვრებასთან ადამიანებს ტკივილი უფრო აკავშირებს, ვიდრე სიხარული.

მეც სწორედ მუხლის გაჭრა და იმ ჭრილობის ტკივილი უფრო მაკავშირებს ჩემს ბავშვობასთან, მშობლიურ სოფელთან, იმ დღეებთან... ალბათ, იმ ტკივილს რომ ვაჯობე, იმიტომ.

სწორედ იმ ტკივილმა მომაგონა ტროფინეც, ეს ხელდალოცვილი ადამიანი.

ტროფინეს მამული ჩვენზე მეტი ჰქონდა და შედარებით უკეთ ცხოვრობდა. მან წერა-კითხვა კარგად იცოდა, თუმცა სკოლაში ცოტა ხანს უვლია. რკინიგზაზე სატვირთო მატარებლის კონდუქტორად მუშაობდა. მერე მარცხი მოუვიდა ვაგო-

ნის ბორბალმა ფეხზე გადაუარა. ოპერაცია გაუკეთეს და ფეხი დაკარგა. ინვალიდობის გამო ერთდროული ფულადი დახმარება მისცეს და პენსიაც დაუნიშნეს. მიუხედავად ინვალიდობისა, თავის ტოლებს არაფრით ჩამორჩებოდა. კვლავინდებურად მარჯვე, გამრჯე და დაუღალავი მშრომელი იყო. ხუთი შვილი ჰყავდა. მის შვილებს საინტერესო ამბები გადახდათ, მაგრამ ამაზე ორიოდე სიტყვას შემდეგ მოგახსენებთ.

ახლა კი ჩემს ბავშვობას ნუ მივატოვებთ შუა გზაზე.

დიდი ლიახვი ჩვენი სოფლიდან ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული.

ძეველელები ლიახვში ხშირად იჭერდნენ თევზს და მეც ბავშვობიდანვე შემიყვარდა თევზაობა.

დიდი ლიახვი მაშინ დაფანტულად, დიდრონ და პატარა ტოტებად მოედინებოდა. პატარა ტოტს მეზობელ ტოტში გადავაგდებდით, წყალს დავწყვეტდით, მერე ნატოტარში დარჩენილ მორევებს მივადგებოდით და გზამოჭრილ თევზებს ხელით ვიჭერდით. იყო ერთი ყიქინა და ჟრიამული. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ხელაობით ვინ უფრო დიდ თევზს დაიჭერდა.

თევზაობის სიყვარული შემდეგაც არ გამნელებია. როცა გავიზარდე და მშობლიურ კუთხეს მოვშორდი. ძეველაში ჩავიდოდი თუ არა, გული დიდი ლიახვისკენ გამირბოდა.

ძეველასთან ლიახვის შუა წელი მოედინება, ამიტომ იქ, რა თქმა უნდა, კალმახი არ იყო. სამაგიეროდ ბლომად იჭერენ ციმორს, მურწას, კაპუეტს და, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა მოსაგონებლად, ორაგულს.

ძეველელები ყოველთვის ერთნაირი ხერხითა და ილეთით

როდი თევზაობდნენ. ზოგი ლიახვს გასაშლელი ბადით მიადგებოდა, ზოგიც შიშველი ხელებით. მთავარი მაინც ტოტის დაწყვეტა და ხელაობა იყო. ყველაზე კარგ სათევზაო დროდ გაზაფხულის წყალდიდობა მიაჩნდათ. ამ დროს ლიახვის კალაპოტი საშუალოდ ნახევარ კილომეტრზე იშლებოდა, ზოგჯერ ერთ კილომეტრზეც. წყალდიდობისას ეს კალაპოტი ხშირად იცვლებოდა და რიყეზე მორევები ჩნდებოდა. ის მორევები თევზით იყო ხოლმე სავსე. მოგეხსენებათ, ძევერა ლიახვის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული, გაღმა კი დიდი სოფელი — შინდისი ესაზღვრება. ლიახვის მთავარი დინება ხან შინდისისკენ გადავარდებოდა, ხან ძევერასკენ გადმოინაცვლებდა. მეორე და მესამე ხარისხოვანი ტოტები ხან შინდისისკენ რჩებოდა, ხან ძევერასკენ მოედინებოდა. ეს ტოტებიც ხშირად იცვლიდნენ გუნება-ხასიათს, ხან დიდდებოდნენ, ხან პატარავდებოდნენ. ამ დროს მათი დაწყვეტა, მეზობელ ტოტში გადაგდება ყველაზე მოსახერხებელი და ხელსაყრელი იყო. ტოტის სიგრძე ხშირად კილომეტრს აღწევდა და მასში ცოტა თევზი როდი იყო. როდესაც დიდრონი ტოტის დაწყვეტა სურდათ, მისი ფართო სადინარის გადასაკეტად და სხვა ამბების მოსაგვარებლად მთელი სოფელი ფეხზე დგებოდა ხოლმე და მდინარისაკენ მიეშურებოდა. ამას თავისი წესი და ადათი ჰქონდა. ვინც ამ საქმეში სხვებზე მეტად იყო გამოცდილი, მათ თავკაცებად ირჩევდნენ. თავკაცები კი ყველა ოჯახის უფროსს ავალდებულებდნენ: მდინარის დასაწყვეტად ხარ-კამეჩ შებმული ურმები გამოიყვანეთ და თან მარჯვე ვაჟკაცები გამოაყოლეთო. შემდეგ მოთავენი გულმოდგინედ დაათვალიერებდნენ ლიახვის იმ ტოტს, რომელიც მეზობელ ტოტში უნდა გადაეგდოთ, გაზომავდნენ გადასაგდები ტოტის

სიკვანეს, დაადგენდნენ, რამდენი ურემი ქვა და ბელტი დასჭირდებოდა მის ვადაკეტვას და შეუდგებოდნენ მუშაობას. გრძელ და წყალუხვ ტოტში თევზიც ბლომად ეგულებოდათ, ამიტომ ეს თევზი წყლის დაკლებისას თავქვე რომ არ დაშვებულიყო და არ გაპარულიყო, ტოტის ბოლოსაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. იქ ორივე მხრიდან ქვებს ისე ჩაყრიდნენ, რომ წყალს ირიბად ედინა და შუაში ვიწრო ყელით გასულიყო. იმ ყელში კი გოდრის ფაცერს ჩადგამდნენ. ეს უკვე საიმედო დარაჯი იყო, აქედან თევზი ვერსად გაიპარებოდა. როდესაც სათავეში დიდრონ ქვებს ჩაყრიდნენ და შემდეგ მიწის ბელტებსაც მიაშველებდნენ, ტოტი დაწყვეტას იწყებდა. ამას თევზები გრძნობდნენ და შეშინებულნი თავქვე მიეშურებოდნენ. იქ კი საგანგებოდ ჩადგმულ მოზრდილ გოდორში ებმებოდნენ, იწყებდნენ ფართხალს, მაგრამ სად გაიქცეოდნენ! იქვე დადარაჯებული მეფაცერენი დროგამოშვებით გოდორს იღებდნენ და დაჭერილ თევზს შესაფერის ჭურჭელში ყრიდნენ. ამასობაში ტოტის სათავის ჩასაკეტად მუშაობა წამითაც არ წყდებოდა და როგორც კი დამთავრდებოდა დაწყვეტა, მეთაური რჩეულ ბიჭებს მოიხმობდა და შეუდგებოდნენ ხელაობას. ნატოტარში უამრავი მორევი რჩებოდა, იმ მორევებში კი თავს იყრიდა მსხვილი თევზი — მაჯისოდენა კაპუეტი, ორაგულიც მოემწყვდეოდა ხოლმე.

უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდებოდა მაშინ.

იმ წუთებს რა დამავიწყებს!

მავანი მეთევზე განგებ შეშფოთებული მაღალი ხმით იკივლებდა: არიქა, მიშველეთო! ეს ნიშნავდა, რომ ორაგულმა ბოლო შემოჰკრა და ამით თავისი იქ ყოფნა გამოამჟღავნა. რასაკვირველია. ამ „თავხედ და ყაჩაღ“ ორაგულს, ბოლოს და

ბოლოს, დაიჭერდნენ, ლაყუჩებში წვრილ თოკს ან წნელს გაუყრიდნენ და იქვე მორევში დაბამდნენ.

ამ დაბმულმა ორაგულმა ერთი ამბავი გამახსენა.

მაშინ სულ პატარა ვიყავი, მაგრამ ცურვა უკვე ვიცოდი. სხვები რომ ხელაობდნენ, მე მორევში ვბანაობდი. რამდენჯერმე დაბმულ ორაგულთან მივცურდი, მერე სიცელქემ წამძლია და ზედაც შევახტი, როგორც ჯოხის ცხენს მოვახტებოდი ხოლმე. ორაგულმა ეს იუკადრისა, უცებ აიწყვიტა, გაქანდა, ჩაყვინთა და მე ზურგიდან მომისროლა. მორევში უსერხულად ჩავარდნილმა წყალი ბლომად ვყლაპე და შიშიც ვჭამე.

ალბათ, მკითხავთ, მაგოდენა ორაგული სად იყო ლიახვში, რომ ზურგზე შეაჯექით?

ლიახვი მაშინ ასე პატარა კი არ მოედინებოდა, დღევანდელთან შედარებით ბევრად დიდი იყო და იმ დიდ მდინარეში თევზიც დიდი დაცურავდა. ახლა ლიახვი უამრავ არხში ნაწილდება, სათავეებში ტყეების გაჩეხვის გამო ისედაც მოაკლდა წყალი, და, აბა, რაღა იქნება.

როგორც ხედავთ, თევზაობის ასეთი სახე ძალიან საინტერესოა. იგი სპორტის თავისებური სახე იყო და კოოპერაციული წესით ხორციელდებოდა. დაჭერილ თევზს შრომისა და ხარ-კამეჩის რაოდენობის მიხედვით ინაწილებდნენ.

ამ თევზაობის ამბებს იმიტომ გიყვებით, რომ ასეთ თევზაობას ახლა ვეღარსად ნახავთ. ჰიდროელექტროსადგურების, სარწყავი არხებისა და მდინარეების ახლომახლო ინდუსტრიული მშენებლობების გამო მდინარეებმა მკვეთრად იცვალეს სახე.

ამიერიდან არა მგონია, ვინმემ ლიახვში დიდი ორაგული

დაიჭიროს, მით უმეტეს, იმხელა, რომ ზედ ბავშვი შეჯდეს.

ლიახვის თევზის ამბავმა სხვა თევზიც მომაგონა.

ერთი ჩემი დეიდა, ნატო, ცოლად ჰყავდა ატოცელ ტატო დიდებულიძეს. იგი საფოსტო დაწესებულებებში მსახურობდა და ხშირად საქართველოს გარეთ ცხოვრობდა — სალიანში, ბაქოში და სხვაგან.

ერთხელ დედამ მითხრა:

— დეიდაშენს შენი წაყვანა უნდა და წაჰყვები?

— სად, დედულეთს? — ვკითხე მე.

— არა, უფრო შორს, სადაც მტკვარი ზღვას ერთვის, სალიანში.

შორეულმა მგზავრობამ, რა თქმა უნდა, დამაინტერესა და უმალვე დავეთანხმე დედას.

ჩვენ დილით გორის რკინიგზის სადგურზე უნდა ვყოფილიყავით და მატარებელს გავყოლოდით. მამამ საღამოზე მითხრა, ადრე დაიძინე, ღამით უნდა გაგაღვიძოო. დავწექი, მაგრამ რა დამაძინებდა, სულ იმ მგზავრობაზე ვფიქრობდი.

მამაჩემი დროს მზითა და ვარსკვლავებით ადგენდა. ახედავდა ცას და ზუსტად იტყოდა, რა დრო იყო. იმ ღამესაც გავიდა გარეთ, ცას ახედა, თქვა: რაკი ხომლი ამოსულია, უკვე თორმეტი საათიაო, ურემში ბალახი ჩააფინა, ხარები შეაბა და შემოგვძახა: დროა წავიდეთო.

მაშინ ძეევრადან გორის რკინიგზის სადგურამდე ურმით ხუთ საათს უნდებოდნენ მგზავრობას.

რა კონტრასტულია დღევანდელი მგზავრობა. ახლა ძეევრადან და მის მეზობელ პატარა სოფელ შერთულიდან გორამდე სამარშრუტო ავტობუსი სამჯერ გადის, თბილისსაც

ავტობუსით უკავშირდებიან. სხვა ავტომანქანებიც დაგრიალებენ. ბევრ ძეგერელს საკუთარი „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“ ჰყავს.

ახლა არ ვიცი, მაშინ კი სალიანი პატარა ქალაქი იყო. ქალაქში ბლომად იყო თევზის სარეწაო. თევზის მოზრდილი საწყობი იმ ეზოშიც იყო, სადაც დეიდაჩემი ცხოვრობდა. აქ თევზი ფურგონებით მოჰქონდათ და საწყობში ყრიდნენ. ერთხელ თევზის გადმოტვირთვას შეესწარი, თევზის პატრონმა დიდი ზუთხი გადმომიგდო და მანიშნა: შინ წაიღეო. ხომ შორეული ამბავია, მაშინდელი სიხარული გულში ახლაც მაქვს შენახული. ზუთხის დანახვაზე უეჭველად სალიანი მაგონდება და სიამოვნებით ვიხსენებ იმ უცნობ მეთევზეს. ვლოცავ მის გულუხვობას.

აბა, ერთი ზუთხი რა არის, ჩემს სულში უფრო მეთევზის ღიმილმა დატოვა წარუშლელი კვალი.

ბავშვს პატარა სიკეთეც კი გულზე ებეჭდება და სამუდამოდ ამახსოვრდება.

ჩემი დეიდის ქმარი ტატო დიდებულიძე ხალისიანი ადამიანი იყო. როცა დრო ჰქონდა, გამიყვანდა ეზოში და იქ ჩემ ტოლ ბიჭებთან მაჭიდავებდა; თან ომახიანად დამძახოდა: ე, ბიჭო, ქართველები არ შეარცხვინოო. მე ძალ-ღონე მემატებოდა და ხშირად ვიმარჯვებდი. როცა ფალავნობას გამოვიჩენდი, სიამოვნებისაგან პირისახე გაებადრებოდა, აღტაცებით ამიტაცებდა და რაიმე საჩუქრითაც მაჯილდოებდა. ზოგჯერ მეზობლებსაც მოიხმობდა, რომ ჩემი „ვაჟკაცობა“ ეჩვენებინა.

აქვე მინდა მოვიგონო „ჩემი ვაჟკაცობის“ ზოგიერთი შემდეგდროინდელი ამბავი.

ადრეეც მოგახსენეთ, დედაჩემი სუსტი აგებულების ქალი იყო-მეთქი. იგი ხშირად ავადმყოფობდა და 1894 წელს გარდაიცვალა. ჩვენი ოჯახი უქალოდ დარჩა. იმხანად ჩემი უფროსი ძმა გიგო დანიშნული იყო ავლეველ ზაალ ამირეჯიბის ქალიშვილ დუშაზე. მოგეხსენებათ, იმ დროში ზოგიერთ თავადიშვილს კანონიერი ცოლის გარდა უკანონო ცოლიც ჰყავდა ხოლმე. ზაალ ამირეჯიბსაც ჰყავდა უკანონო ცოლი, ოსის ქალი და დუშა იმისაგან შეეძინა.

მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ჯერ კიდევ მგლოვიარედ იყო, იძულებული შეიქნა უფროსი შვილის ქორწინება დაეჩქარებინა.

ჩვენს ოჯახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. დუშა დაეპატრონა ოჯახს. იგი მე და ჩემს უმცროს ძმას გენოს დედობას გვიწევდა.

გიგომ ავლევში სიარულს მოუხშირა.

ჰოდა, ერთხელ მეც წამიყვანა: თან დედის სამშობლო სოფელს ეწვევი და თან ჩემს ახალ მოყვრებს გაგაცნობო.

შუა ქართლიდან ზემო ქართლში უნდა ავსულიყავით, ამიტომ ცხენები შევკაზმეთ და გავუდექით გზას.

დიდი ლიახვის გადაცურვისას ჩემმა ცხენმა წაიბორძიკა და შუა წყალში წაიქცა. კინაღამ ლიახვმა მომიტაცა. საბედნიეროდ, ცხენმა იმარჯვა, წამოდგა და გაღმა გამიყვანა.

წყალი არ მიყლაპია, შიში კი ვჭამე.

ივნისის ცხელი დღე იყო. ტანისამოსი რიყეზე გავწურეთ, ბერე ჩავიცვი, ტანზევე შევიშრე და გზა განვაგრძეთ.

ჩემს უფროს ძმას შინდისში ცოლისდა ჰყავდა. იგი შეძლებული აზნაურის თავყელიშვილის ოჯახში იყო გათხოვილი.

გიგომ მოყვრებში შეიარა. უმალვე სუფრა გაუშალეს და,

ვიდრე ქეიფით გული არ იჯერა, იქიდან ფეხი არ მოიცვალა, ძმა რომ ქეიფობდა, მე ბალს შევექცეოდი.

შინდისში კარგი ჯიშის ბალი იცოდა. იქ რიყიანი ნიადაგია და ეს ხილი ჩინებულად ხარობს.

იმხანად ბალი სწორედ ახალი დამწიფებული იყო.

ძმამ ქეიფით იჯერა გული, მე კი გემრიელი ბლით და განვაგრძეთ გზა. სოფელი ყელქცეული გავიარეთ. მდინარე ფრონის მიდამოებთან ცხენი გავაჭენე. ჭენების დროს თურმე მოსართავები მოეშვა, უნაგირი გვერდზე გადაცურდა და მე გზისპირა ძეძვებში ჩავვარდი. ცალი მხარე სულ ეკლებით დამეჩხვლიტა და დამეკაწრა. იძულებული გავხდით, ჩრდილი მოგვეძებნა და ეკლებისაგან დაჩხვლეტილი კანი მომებანა და დამეშოშმინებინა.

მერე წყალდაკლებული ფრონე გადავიარეთ და მდინარესთან მომდგარ გორაკზე დასახლებულ სოფელ დირბს მივადექით.

დირბში იყო გამოთხოვილი ჩემი უფროსი დეიდა ეფროსინე. იგი ცოლად ჰყავდა ღარიბ აზნაურს ტარასი მგალობლიშვილს, ჩვენში საკმაოდ ცნობილი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის უფროს ძმას. ტარასი ახალგაზრდობაში თურმე ვაჟკაცობით იყო განთქმული, ამით ისარგებლეს მაზრის თავკაცებმა და იგი ყაჩაღების მდევნელ რაზმში ჩარიცხეს. ერთ-ერთი შეხლის დროს ტყვია მოხვედრია და ზემოსასუნთქი გზა, ყანყრატო დაუზიანებია. ამის გამო ხშირად სუნთქვა ეკვროდა და ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა.

დეიდა ეფროსინე და მისი ოჯახი გულთბილად შეგვხვდა. აქაც მალე გაიშალა სუფრა და გიგომ კვლავ მოულხინა. ნა-

თესავები მხიარულობდნენ და სტუმარს მეტი რა უნდოდა. იმ ღამეს იქ დავრჩით.

დირბიდან რომ წამოვედით, ძმამ მითხრა:

— ძალიან კარგი კაცია ტარასი, მაგრამ სიმთვრალეში ჭირვეული ყოფილა. წუხელი არაფერი შეგიმჩნევია?! როცა დათვრება და ეფროსინე რამეზე შეეკამათება, თავის ჩახრინწულ ხმას ყელიდან უფრო ანჩხლად ამოუშვებს: ეფროსინე, აიღე შენი სკივრი და სადაც გინდა, იქ წადიო. — გიგომ გაიცინა. — რაღა დროს მაგათი ჩხუბია, ქალიშვილები გათხოვილი ჰყავთ. მაგის სიძეები ჩემი დიდი მეგობრები არიან, დღეობებში სიარული იმიტომ უფრო მიხარია, მაგის სიძეებს რომ ვხვდები იქ. აბა, ცხოვრება სხვა რა არის! ნათესავ-მოყვრებიც უნდა ინახულო ხოლმე და იქეიფო კიდეც.

გიგოს ცხოვრებასთან დამოკიდებულებაზე თავისი ფილოსოფია ჰქონდა და ამ ფილოსოფიურ მრწამსს არასოდეს არ ღალატობდა.

დედაჩემის ძმა, იასე ბადრიაშვილი, ფრიად ტკბილი ხასიათის, ნათესავების მოყვარული ადამიანი იყო. ჰყავდა კარგი მეუღლე — გერმანელი ქალი და შვიდი შვილი. თვითონ იასემ მთელი ნახევარი საუკუნე თბილისში იმსახურა — საფოსტო ოლქის სახელოსნოს გამგედ. შვილებიც კარგი გაზარდა. მისმა უფროსმა ვაჟმა გიორგიმ პეტერბურგის იურიდიულ-ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა და კარგა ხანს უანგაროდ და პატიოსნად მსახურობდა საბჭოთა საფინანსო დაწესებულებებში. უმცროსმა ვაჟმა ნიკოლოზმა ქალაქ თბილისის ისტორიული მუზეუმი დააარსა და წიგნიც დაწერა — „თბილისის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა“.

იასეს ერთი ქალი, ლიდა, ცოლად ჰყავდა ოფიცერ რამან

ჩიკოიძეს. რამანი, როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენელი, ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში პეტროგრადის რევოლუციური კომიტეტის საბჭოს წევრი იყო.

ავლევში ბიძაჩემის სახლი ფრონის ხეობას გადაჰყურებდა. აქედან თვალწარმტაცი სანახაობა იშლებოდა და მეც ხშირად ვტკბებოდი ამ სანახაობით.

მე სოფელი ავლევი განსაკუთრებით მიყვარდა. ახლაც დიდი სიყვარულით ვიგონებ.

მოგეხსენებათ, მოხუცს ყოველთვის აღეძრება ხოლმე სურვილი, კვლავ ინახულოს ის ადგილები, ახალგაზრდობისას რომ უნახავს და დღევანდელი თვალით შეხედოს მას. მეც ამ რამდენიმე წლის წინათ ვეწვიე ავლევს. იქ ყველაფერი დღევანდელ ყაიდაზეა გარდაქმნილი. ყველაფერი სასიამოვნო იყო, სოფლის კულტურული ზრდაცა და ხალხის განვითარებაც. ბიძაჩემის სახლი, რა თქმა უნდა, აღარ დამხვდა. ამან თავისებურად გულიც კი დამწყვიტა. მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება იცვლება და რაკი სიკარგისაკენ იცვლება, ჩვენ ეს ცვლილება უნდა დავლოცოთ.

რაც შეეხება მოგონებას, მე ავლევს რომ წარმოვიდგენ ხოლმე, იქ ბიძაჩემის სახლს კვლავ ვხედავ, ვხედავ ისე, როგორც ის ჩემს სიჭაბუკეში იდგა. ცხოვრება ბევრ რამეს ცვლის, სამუდამოდაც კი შლის ხოლმე, მაგრამ მოგონებებში ისინი არ იცვლებიან, მათ დრო-ჟამი ვერ შლის.

ვიდრე ცოცხლობს, ადამიანი თავის ბავშვობას და ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს არასოდეს არ ემშვიდობება. სიბერეში, პირიქით, უფრო ცხოვლადაც წარმოესახება ხოლმე.

ძმასთან ერთად მაშინდელი ხიფათიანი მგზავრობა ჩემი ბეძვებში ჩავარდნით არ დამთავრებულა.

ბადრიაანთ ოჯახიდან კოკით გამგზავნეს: ზაალ ამირეჯიბის ეზოში რომ წყაროა, მისი წყალი მოგვირბენინეო.

აბა, მე რა ვიცოდი, რომ იმ ეზოში ავი ძაღლები ჰყავდათ. თამამად შევედი. უცებ ძაღლები მეცნენ, შარვალი შემომახიეს და რამდენიმე ადგილას ხორციც გამომაგლიჯეს.

ძაღლების ნაკბენი კარგა ხანს მტკიოდა და ვკოჭლობდი. დღეს კი იმ ტკივილსაც და იმ შიშსაც სიცილით ვიგონებ.

*

ახლა საქართველოში უმაღლესი განათლებით ვერავის გააკვირვებთ. ამ ოთხმოციოდე წლის წინათ კი ასე როდი იყო. უმაღლესი სწავლა-განათლებით მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ძეველელებიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ვახსენება შეიძლება. ისინიც უმთავრესად აზნაურიშვილების წრიდან იყვნენ გამოსულნი.

მათ შორის უნდა მოვიხსენიო ლუკა ანტონის ძე ჯავახიშვილი, რომელმაც 1896 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. იგი ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ თავისი ნიჭით და ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მასწავლებლის ნიკო ლომოურის დახმარებით ცხოვრებაში გზა გაიკაფა, წავიდა მოსკოვში, წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და თორმეტ წელიწადს თავდადებით ემსახურა ქართველ ხალხს. მან თიანეთში, ახმეტასა და შულავერში იმოღვაწა. სამწუხაროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. 1908 წელს ცხენიდან გადმოვარდა და ტრაგი-

კულად დაიღუპა. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ აკადემიკოს ა. წულუკიძის წიგნში — „XIX საუკუნის ქართველი ექიმები“ — მისი სახელი გამოტოვებულია.

ღვაწლს დავიწყება არ უნდა!

აქვე უნდა მოვიხსენიო ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი, რომელმაც 1902 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და სახელმოხვეჭილი მეცნიერი გახდა, რაც ზემოთაც აღვნიშნე.

რაც შეეხება ჩვენს ოჯახს, ადრევე მოგახსენეთ, რომ მამაჩემი უსწავლელი დარჩა. ამან თავისებური გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე. ასევე სრულიად უსწავლელი დარჩა ჩემი უფროსი ძმა გიგო. იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ იგი ქეიფსა და დროსტარებას ეტანებოდა: რაღაცით უნდოდა შეევსო თავისი ცხოვრება. მეორე ძმამ, შაქრომ, მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლა და იმდენი მოახერხა, რომ შემდეგ რკინიგზის მატარებლის საფოსტო ვაგონს ფოსტალიონად დაჰყვებოდა. მესამე ძმამ, არჩილმა, წერა-კითხვა მოგვიანებით ისწავლა, ჯარში. ჩვენი მეხუთე ძმა, ნაბოლარა გენო, ალბათ, სრულიად უსწავლელი დარჩებოდა, მაგრამ ბედმა გაუღიმა — ჩემი დედის ბიძამ, დეკანოზმა მაჭარაშვილმა, გენო სამეგრელოს ერთ-ერთი მონასტრის სკოლაში მიაბარა.

როდესაც მე სასკოლო ასაკი დამიდგა, ადგილობრივ დიაკვანს, დავითაშვილს მიმაბარეს. იგი ანბანს თავისებურად გვასწავლიდა. დაგვსხამდა ბავშვებს და ჩამომარცვლით გვეტყოდა და ასევე დაწერდა:

— მ-უ-ხ-ა.

შემდეგ ცალკეულ ბგერებს თვითონვე შეაერთებდა:

— **მუხა.**

ბოლოს ჩვენც გვაწერინებდა და გვამეორებინებდა ჩამომარცვლითა და შეერთებით.

ასოების შეკრების დროს სიტყვა წამღერებით უნდა გვეთქვა.

შემდეგ თბილისში ჩამომიყვანეს და ეგრეთ წოდებულ სათავადაზნაურო ქართულ სკოლაში მიმაბარეს. მე დამსვეს მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში.

ქართლში იშვიათია ადამიანი, შერქმეული სახელი რომ არ ჰქონდეს. ბავშვობისას მეც მქონდა მეტსახელი — წიწიკო. ძეგერაში ჩემი ტოლები მეტსახელით მიცნობდნენ მხოლოდ. სკოლაში რომ მიმაბარეს, მეტსახელს, წიწიკოს, დავემშვიდობე და უცებ დიმიტრი ჯავახიშვილი გავხდი.

ამან მაგრძნობინა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი მოხდა, რაღაც გათავდა და რაღაც დაიწყო. ბავშვი ქვეშეცნეულად მივხვდი, რომ ახლა უკვე სხვანაირად უნდა დამეჭირა თავი.

აქ უკვე ახალ გარემოს და ახალ ადამიანებს ვეცნობოდი.

აქვე შეუძლებელია არ მოვიგონოთ იოსებ ლაღიაშვილის ამბავი. ჯერ ერთი, ეს ამბავი ჩემი მოწაფეობისას ცოცხალი იყო. ხშირად იგონებდნენ, მეორეც, ყველაზე უკეთ გამოხატავს მაშინდელი სკოლის ვითარებას და მკაფიოდ გვიჩვენებს საქვეყნო მდგომარეობასაც. ამას ისიც ემატება, რომ იოსებ ლაღიაშვილი ჩვენებური გლეხის შვილი იყო და მისი ამბები მე ბავშვობისას გამიგია.

ამაზე მწერალმა ანა ხახუტაშვილმა (ცქვიტმა) რომანიც კი დაწერა. სხვადასხვა მოღვაწეთა მოგონებებშიც არის ასახული.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, უმჯობესია, იპოლიტე ვართაგავას „მოგონებების“ მეორე ნაწილის (გამომცემლობა „ცოდნა“, 1962) რედაქტორს გრ. ნადარეიშვილს მოვუსმინოთ. იგი წიგნის შენიშვნებში წერს:

„სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა სემინარიის რეაქციონერი და ქართველების უსაზღვროდ მოძულე რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი მოჰკლა ხანჯლით 1886 წლის 24 მაისს.

ეს იყო საქართველოში პირველი მკვლელობა, გამოწვეული მეფის მთავრობის რეპრესიებითა და თვითმპყრობელური პოლიტიკით.

მთავრობა შეშფოთდა, სატახტო ქალაქის პრესა ალაპარაკდა, ქართველები ველურებად გამოაცხადეს, ხოლო ეგზარქოსმა პავლემ დეკანოზ ჩუდეცკის დასაფლავების დროს სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც დასწყევლა და შეაჩვენა ის ერი, რომლის წიაღიდანაც გამოვიდა მკვლელი ლაღიაშვილი. ამ სიტყვამ დიდი მღელვარება გამოიწვია მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში.

დიმიტრი ყიფიანმა ამის გამო შემდეგი წერილით მიმართა ეგზარქოს პავლეს, რომელსაც ურჩევდა, დაეტოვებინა ის ერი, რომელიც დასწყევლა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემს-მთავრული მოწყალება და, თუ გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვების გამო, რომელიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი.

ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენი მწყემს-მთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი.

1886 წ. 8 ივნისი, სადგ. მიხაილოვო" (მეფის რუსეთის დროს ხაშურს მიხაილოვო ერქვა).

ამ წერილს ასეთი შედეგი მოჰყვა: დიმიტრი ყიფიანი ქ. სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წლის ოქტომბერს მეფის მთავრობამ თავისი აგენტების საშუალებით მოჰკლა მძინარე მოხუცი.

ხოლო, როგორც „ივერია" (1886 წ, № 184) იუწყება, ეგზარქოს პავლეს კი ერთგული სამსახურისათვის ხელმწიფემ უბოძა ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზე სატარებლად.

იოსებ ლაღიაშვილი იმავე წლის 16 ივნისს გაასამართლა სამხედრო სასამართლომ. მას იცავდა ვექილი ე. ტურკევიჩი, რომელმაც წარუდგინა სასამართლოს სემინარიელების მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც აღწერილი იყო სემინარიის

საშინელი წესები, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო ეს საბუთი და საქმეს არ დაურთო. ლაღიაშვილი სიკვდილისაგან იხსნა მისმა არასრულწლოვანებამ, ის 19 წლის აღმოჩნდა.

სამხედრო სასამართლომ 20 წლის კატორღა მიუსაჯა. ის გაიგზავნა კუნძულ სახალინზე მადნებში სამუშაოდ...“

რა ბედი ეწია ამ მეამბოხე ჭაბუკს შემდეგ? ეს ყველაზე საინტერესოა.

როგორც ცნობილია, დიდმა რუსმა მწერალმა ანტონ ჩეხოვმა 1890 წლის 11 ივლისიდან 13 ოქტომბრამდე კუნძულ სახალინზე იმოგზაურა კატორღელთა ცხოვრების შესასწავლად და აღსაწერად. მან საზოგადოებას იოსებ ლაღიაშვილის ამბავიც აუწყა. მწერლის გადმოცემით, თბილისის სემინარიის რექტორის მკვლელი ცნობილი ლაღიევი აღდგომის ღამეს კატორღელ ნიკოლსკისა და ვილაც სამ მაწანწალასთან ერთად გაქცეულა. აღდგომის შემდეგ კი ხმა დარხეულა: ის სამი მაწანწალა „სამოქალაქოდ“ გადაცმული ცალკე უნახავთ, თურნე მურავიოვის საგუშაგო სანაპიროზე მიიპარებოდნენო, ლაღიევი და ნიკოლსკი მათთან აღარ იყვნენო. სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ მაწანწალებმა ჭაბუკი ლაღიევი და მისი ამხანაგი მათთან ერთად გაქცევაზე დაიყოლიეს და გზაში დახოცეს, რათა მათი ტანსაცმელი და ფული ხელთ ეგდოთ და გამოეყენებინათო.

ამ ცნობის მიხედვით, იოსებ ლაღიაშვილი კარგა ხანს დაღეპულად მიაჩნდათ, მაგრამ შემდეგ სულ სხვა რამ გაირკვა. 1890 წელს კატორღიდან გაქცეულ ლაღიაშვილს დიდი დავიდარაბის შემდეგ თავი სან-ფრანცისკოში (ამერიკაში) ამოუყვია.

იპ. ვართაგავა ეპისკოპოს ნიკოლოზთან შეხვედრას ასე იგონებს:

„დიდხანს მელაპარაკა. ვატყობდი, რომ სიამოვნებით იგონებდა საქართველოში თავის ყოფნას. „ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, მეამბნა თქვენთვის: ამერიკაში ყოფნის დროს ჩემთან მოვიდა თბილისის სემინარიის რექტორის მკვლელი ლაღიაშვილი. შეუტყვია რა, რომ მე ნამსახურევი ვიყავი თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორად, მთხოვა მიგეღო. მე მივიღე იგი. მან გულისტკივილით მიამბო ჩადენილი დანაშაულის შესახებ. განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა იმას, რომ დანაშაული მას ჩაადენინა აღმზრდელების უსულგულობამ... როგორც გადმომცა, იგი მატერიალურად ძალიან კარგად მოწყობილა, სამშობლოში ასე მოწყობას ვერასდროს ეღირსებოდა. მიუხედავად ამისა, იგი თავს გრძნობს უბედურ ადამიანად. დაღვრილი სისხლი არ ასვენებს. განსაკუთრებით სტანჯავს მარტოობა და სამშობლოდან მოწყვეტა... უნდა გაგოვტყდე, შემეცოდა ცხოვრებისაგან გათელილი, უბედური კაცი“.

წამოსვლისას მითხრა, ხშირად მივსულიყავი მასთან...“

სურათი რომ უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგეს, ახლა კვლავ გრ. ნადარეიშვილს მოვუსმინოთ:

„ლაღიაშვილის ამერიკაში ყოფნას ეპისკოპოს ნიკოლოზის გარდა ადასტურებს ქართველი მეზღვაური ალექსანდრე მამუკას ძე ჭავჭავაძე, რომლის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა არკ. ხუნდაძე თავის წერილში — „ა. ჩეხოვის ცნობა ი. ლაღიაშვილის შესახებ“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ., № 24, გვ. 4): „იოსებ ლაღიაშვილის სკოლის ამხანაგს ი. ფხოველაშვილს თვით უნახავს მეზღვაური ა. ჭავ-

ჭავაძე. თავის მოგონებაში ი. ფხოველაშვილს ნათქვამი აქვს: როცა იმ მეზღვაურმა ამიწერა გარეგნობა და თანაც დასძინა, რომ მარცხენა თვალზე პატარა თეთრი ლიბრი აქვს გადაკრულიო, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ლაღიაშვილს კატორღისათვის თავი დაუღწევია.

ჭავჭავაძე იმ დროს ჩინეთის გემის კაპიტანი ყოფილა. გემი დაღუპულა და მას ნავით ამერიკის ნაპირებთან მიუღწევია. ა. ჭავჭავაძემ ამ ფხოველაშვილს უამბო: შეეედი სასტუმროში. სასტუმროს პატრონი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ, როგორც გემის კაპიტანს, თქვენ სხვადასხვა ენები გეცოდინებათო. ჩემთან სასტუმროში არის მოჯამაგირედ ერთი ახალგაზრდა კაცი, ვამჩნევ, არც მუნჯია და არც ყრუ, ყოველ დავალებას კარგად ასრულებს, მაგრამ ლაპარაკით არ ლაპარაკობს. დაუძახეს, მოვიდა. დავუწყე ლაპარაკი ფრანგულად — ხმა არ ამოიღო, მერე გერმანულად, მერე ინგლისურად, არც მაშინ გამცა ხმა. ვცადე რუსულად — პასუხი ვერ მივიღე... ბოლოს ვუთხარი — შე რჯულძაღლო, თუ ქართველი ხარ, ხმა ამოიღე-მეთქი, ქართული რომ გაიგონა, გამოქანდა, მომეხვია და დამიწყო კოცნა“...

არკ. ხუნდაძე იქვე ერთ დეტალსაც გვაწვდის: „მაშინ, როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში ზოგიერთი მასწავლებლის ჯამაგირი 40—50 მანეთს არ აღემატებოდა, სინოდმა რექტორ ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს, მარიამს, თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა“.

თედო სახოკიას ცნობით, იოსებ ლაღიაშვილი ამერიკაში 1913 წელს გარდაცვლილა.

ვეფის რუსეთის სკოლებსა და სემინარიებში სწავლის

რეჟიმმა ასე აუბნია გზა-კვალი ქართველ ჭაბუკს, იგი ამერიკაში გადაკარგა და მშობლიურ მიწაში დამარხვა არ აღირსა...

ისევ ჩემი განათლების საქმეს დავუბრუნდეთ.

მივედი თუ არა სკოლაში, გამოირკვა, რომ მე იქ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ ვიქნებოდი. არც არავინ მაჭმევდა, არც არავინ მასმევდა, არც ჩამაცმევ-დამახურავდა და დამაბინავებდა.

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ ღარიბი ოჯახის შვილს თბილისი მკაცრად შემხვდა. სასწავლებელში შესვლიდან დამთავრებამდე მუდამ მიჭირდა. თბილისში რამდენიმე ჩვენი მოგვარე ღარიბი ოჯახი ცხოვრობდა. ხან ერთ ოჯახს შემახიზნებდნენ, ხან მეორეს. ჩემს გადაყვან-გადმოყვანას თავი და ბოლო არ უჩანდა. რამდენჯერმე უცხო ოჯახშიც დამაბინავეს. ხეტიალი ჩემს სწავლაზე ცუდად მოქმედებდა, მაგრამ გულს არ ვიტეხდი. რადგან სწავლას ვიყავი მოწყურებული, ვცდილობდი, ყოველგვარი გაჭირვება მომეთმინა. ასე მივაღწიე მეხუთე კლასამდის. მეხუთე კლასში რომ გადავედი, ჩემი დეიდის, ტერეზიას ქმრის კოტე თეთრაძის ოჯახში დავბინავდი. აქ სასწავლო პირობები გამიუმჯობესდა და მეცადინეობას მეტი ხალისით მოვეკიდე. თუმცა დეიდაჩემის ოჯახისაგან ტკბილი და გულითადი დამოკიდებულების მეტი არაფერი მიგრძვნია, რატომღაც იქ ყოფნა მაინც მეუხერხულებოდა, მეჩვენებოდა, რომ ნათესავები სამადლოდ მინახავდნენ და სადღაც გულში უსიამო ფიქრი გამკრავდა ხოლმე და მაწუხებდა. ალბათ, ეს გრძნობა სხვადასხვა ოჯახებში ხშირმა გადაყვან-გადმოყვანამ გამიჩინა.

იქნებ ჩემი სწავლის სურვილი ადრევე ჩამქრალიყო, სკოლაში მასწავლებელთა მამაშვილური დამოკიდებულება რომ

არ მეგრძნო. მარტოოდენ ჩემდამი კი არა, ისინი ყველა მოსწავლეს გულისყურით ეპყრობოდნენ. ამ მხრივ ჩვენი სასწავლებელი, მე მგონია, იმ დროში გამოირჩეოდა.

ჩვენი აღმზრდელი ღვაწლმოსილი ადამიანები ახლაც თვალწინ მიდგანან. უმრავლესობას მადლიერებით ვიგონებ. ცოდვა გამოტეხილი სჯობს, მათ ახლა უფრო ვაფასებ, ვიდრე მაშინ. შორიდან მათი მადლი უფრო დიდად მეჩვენება. ისინი ხომ დღემდე მინათებენ მე ცხოვრების გზას. რომელი ერთი მოვიგონო — ალექსანდრე ნათაძე, არისტო ქუთათელაძე, გიორგი იოსელიანი... შემდეგ: ივანე რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, იოსებ მგალობლიშვილი, ნიკოლოზ გოგუტიძე...

მათ უყვარდათ მოსწავლეები, გული შესტკიოდათ ყველა ჩვენს მარცხზე; თუ გვტუქსავდნენ, ჭკვიანურად გვტუქსავდნენ, რომ ეს ჩვენთვის სასარგებლო ყოფილიყო, ცხოვრებაში გასათვალისწინებელი. ყველა მასწავლებელი პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელი სახელმწიფო უფლებებით არ სარგებლობდა, ამ სკოლას ინახავდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო, კერძოდ, ამ სკოლის ზედამხედველი — მზრუნველი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც იმ პერიოდში ცნობილი და ფრიად განათლებული ქალი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი იყო.

მართლაც, მამა თუ მოექცევა ისე თავის შვილს, როგორც ჩე ივანე რატიშვილი მომეალერსებოდა ხოლმე. სიყვარულით დიმიტრის მაგივრად მიტრაშკას მეძახდა. ხშირად გულთბილად გამომესაუბრებოდა ან შორიდან ტკბილ სიტყვას მეს-

როდა. ეს სიახლოვე მისდამი მოკრძალებას როდი მიკარგავდა, პირიქით, უფრო თავაზიანად მეჭირა თავი, მუდამ მქონდა მისი ხათრი.

ახლაც ყურში ჩამესმის ხოლმე იოსებ მგალობლიშვილის ხმა. იგი ბერძნულ ენას გვასწავლიდა. მისი გაკვეთილები ძალიან მიყვარდა და რაკი მიყვარდა, იოლადაც ვსწავლობდი. გაკვეთილის მოყოლის ჯერი ჩემზე რომ მოვიდოდა, რუსულად შემომძახებდა:

— ნუ, მატუშკა, ვიხადი!

იმ დროს თმა შუაზე მქონდა გაყოფილი და „მატუშკას“ ამიტომ მეძახდა.

მე ძალიან მიყვარდა ჩვენი ქართული თეატრი და მოწაფეობის დროს ხშირად დავდიოდი. იმ დროს მოღვაწეობდნენ საუკეთესო მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე, საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია და სხვები.

თეატრი ყოველთვის სავსე იყო ხალხით. წარმოდგენები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა და მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებდა. გარდა მსახიობთა ოსტატობისა, თვით წარმოდგენებიც ძალიან საინტერესო იყო. ასე მაგალითად, იდგმებოდა შექსპირის „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „მეფე ლირი“, ერისთავის „სამშობლო“ და სხვა.

წარმოდგენები კვირაში ორჯერ იმართებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული თეატრი ძალზე ღარიბად გამოიყურებოდა. მსახიობები კი სრულებით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. ალბათ, ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ ზოგიერთი დიდი მსახიობის ირგვლივ თავისებური მითქმა-მოთქმა იყო ხალხში.

ცნობილია, რომ, მიუხედავად თავისი დიდი ნიჭისა და სახელისა, ეკონომიურად დიდ გაჭირვებას განიცდიდა ვასო აბაშიძე. აი რა გამიგონია მასზე: ერთხელ ის მიდიოდა თურმე გოლოვინის პროსპექტზე, სადილობის დრო იყო. ოპერის თეატრის წინ რომელიღაც კერძო პირს გაეხსნა სასადილო. ვასომ შეამჩნია ეს სასადილო, შევიდა და ისადილა. როდესაც ოფიციანტი მივიდა მასთან ანგარიშის გასასწორებლად, მან უთხრა, მე ვასო აბაშიძე ვარო, რაც გერგებათ, ჩაიწერეთ და მერე გადაგიხდითო. მეორედაც ასეთი ამბავი გამეორდა. ამჯერად ოფიციანტმა კვლავ ჩაიწერა. როცა მესამედ მივიდა სასადილოში და ისადილა, ოფიციანტმა უთხრა, სასადილოს პატრონმა მიბრძანა, ჩაწერა აღარ შეიძლებაო. ამაზე ვასო აბაშიძემ უპასუხა თურმე, მაშინ ზეპირად დაიხსომეო.

საქართველოს ისტორიასა და ფრანგულს ერთ დროს დავით კარიჭაშვილი გვასწავლიდა. მისი გაკვეთილი ოთხშაბათობით გვქონდა. სამშაბათ საღამოს ქართული თეატრის წარმოდგენები იმართებოდა, იქ რომ მივდიოდი ხოლმე, მეორე დღის ყველა გაკვეთილის მომზადებას ვერ ვასწრებდი. როცა გაკვეთილი არ ვიცოდი, დავით კარიჭაშვილი შემატყობდა, გამომიძახებდა და მეტყოდა:

— გიორგი, დღეს გაკვეთილი ვიცით თუ არა?!

იმის მაგივრად, რომ ხალისიანად ავმდგარიყავი და გაკვეთილის კითხვა და თარგმნა დამეწყო, მწყრალად მიეუგებდი:

— მე გიორგი არა ვარ, დიმიტრი მქვია.

— უჰ, დამავიწყდა! — დამცინავად გაიღიმებდა. — აბა, დიმიტრი, ვიცით დღეს გაკვეთილი თუ არა?

მასწავლებელი ისედაც მატყობდა, რომ გაკვეთილი კარ-

გად არ ვიცოდი და ზედმეტი დავიდარაბა რა საჭირო იყო, მე კრინტს არა ვძრავდი.

— მაშ, რა ვქნათ ახლა, ჰა? რაკი მე გულმავიწყი ვარ, მეშინია, შენი დღევანდელი გაკვეთილის უცოდინარობაც არ გადამავიწყდეს გულიდან, ამიტომ, ყოველ შემთხვევისათვის, ჯობია ნიშანი დავწეროთ, ხომ ჯობია?!

და დამიწერდა უზარმაზარ ერთიანს.

ერთიანმიღებული ძალიან ცუდ გუნებაზე ვდგებოდი.

შემდეგ ასეთი რამ იშვიათად მეორდებოდა. ბატონი დავითი საბოლოოდ კარგ ნიშანს მიწერდა და გულთბილადაც მექცეოდა. მისი სამართლიანობა და მომთხოვნელობა ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას კი არ ამძაფრებდა, უფრო შინაურულსა ხდიდა, შინაურულობა კი ერთმანეთთან გვაახლოებდა. ხოლო ყველაფერი ეს, როგორც ხედავთ, საბოლოოდ სასიყვარულო მოგონებად დამრჩა.

ახლა მათემატიკის მასწავლებლის, ნიკოლოზ გოგიტიძის, ამბავს აღარ იკითხავთ? იმაზე მომთხოვნი და გულცივი ადამიანი ქვეყნიერების ზურგზე თუ დადიოდა, არ გვეგონა, მაგრამ...

საქმე ის არის, რომ მეფის მთავრობა ჩვენს სკოლას აბუჩად იგდებდა და უსულგულოდ ეკიდებოდა. ეს გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ ჩვენთან ატესტატის მიღებას ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის (პაპეჩიტელის) მიერ საგანგებოდ დანიშნული კომისია სჭირდებოდა.

ჰოდა, როცა ასეთი გამოცდის ჟამი დაგვიდგა, იმ კომისიამ ურთულესი ამოცანები შემოგვთავაზა, რათა ჩვენი სკოლისათვის სახელი გაეტეხა.

ეს გაიგო ნიკოლოზ გოგიტიძემ და რა ხერხი არ იხმარა,

რომ სპეციალური „შპარგალკები“ ამოეგზავნა და ჩვენთვის ეშველა.

ჩვენი სკოლის ირგვლივ საუკეთესო ქართული ინტელიგენცია იყო შემოკრებილი. ამან ჩვენს სულსა და გონებას სრულიად გარკვეული კეთილი კვალი დააჩნია.

სკოლას ინსპექტორობდა იმდროინდელ საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილი ადამიანი ალექსი ჭიჭინაძე. მე რომ სწავლა დავიწყე, იგი მალე ერევანში გადაიყვანეს — სახალხო სკოლების ინსპექტორად. მის მაგივრად დანიშნეს შემდგომში ქართული საზოგადოებისათვის ფრიად ცნობილი პირი, შესანიშნავი მეცნიერი, ისტორიკოს-არქეოლოგი, ჩვენი ერის მოამაგე და მოჭირნახულე, აკადემიკოსი ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი.

მე რომ ცხოვრებაში გზა-კვალი არ ამებნა და საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანად ვიქეცი, ამას, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ექვთიმეს ვუმადლი, მის დიდ ადამიანურ გულსა და კაცურ კაცობას.

ცხოვრების მრავალი გაჭირვება გადავლახე და, როგორც იქნა, მეშვიდე კლასამდე მივაღწიე. ამ დროს ჩემს მფარველ ნათესავ-მოყვარეს სამსახურებრივი მდგომარეობა გაურთულდა. მე კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ვიფიქრე: ასე როდემდე ვეწვალო, რამდენ გაჭირვებას გავუძლო, ბოლოს და ბოლოს სწავლას თავს დავანებებ და სოფელში წავალ-მეთქი. ის-ის იყო, ქალაქიდან გუდა-ნაბადი უნდა ამეკრა და გავქცეულიყავი, ჩემი ამბავი ივანე რატიშვილს გავუზიარე.

— ეს რა გიფიქრია, ხომ არ გადაირიე, ბიჭო? შუა გზამდე მოსულხარ და ახლა უკან გარბიხარ?! ცოტა ხანს აქ დამე-

ლოდე, ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალო, გესმის! — მკაცრად მითხრა და წავიდა.

ნახევარი საათიც არ გასულა, სამასწავლებლო ოთახში ქმიხმეს.

მორიდებულად შევედი.

იქ დამხვდა სკოლის ინსპექტორი ექვთიმე თაყაიშვილი.

იგი აღელვებული იყო, სახე წამოსწითლებოდა.

მომიახლოვდა და დაყვავებით მითხრა:

— რა იყო, ბიჭო, რამ შეგაშინა? შენ გგონია, ჩვენ გზაზე ია-ვარდი გვეფინა და დალხინებით ვსწავლობდით? ხომ გახსოვს, დავით გურამიშვილმა რა გვიანდერძა: ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო. გაჭირვებაც თავისებური სკოლაა, თავისებური გამოცდაა. ჩვენი ბრძენი შოთაც ხომ ამას გვასწავლის: მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსაო. ა, შენ! — ექვთიმემ უცებ ფული გამომიწოდა. — ჯერ ეს ოთხი ოქრო იმყოფინე, ცოტა ხანს თავს გაიტან, მერე კარგ ადგილას მოგაწყობ საცხოვრებლად, ვიდრე სკოლას არ დაამთავრებ, არაფერი გაგიჭირდება, დამშვიდებით იქნები, მერე კი შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

— გმადლობთ!..

— მადლობა არ არის საჭირო... მადლობას იმით გადამიხდი, თუ კარგად ისწავლი და ქვეყანას გამოადგები. წადი ახლა! როცა გაგიჭირდეს, ჩემთან მოდი, ნუ მომერიდები!

არა, მე იმ ოქროებმა როდი გამახარა. ვიგრძენი, ჩემი სატკივარი ჩემს მასწავლებლებს ჩემზე ნაკლებად როდი სტკიოდათ. იმ წუთში მე მათი ოქროს გული დავინახე.

ბატონმა ექვთიმემ თავისი სიტყვა აასრულა. ამ მადლიან ადამიანს ჰაიჰარად სიტყვის თქმა არ უყვარდა. მისი ნათქვამი ყველა სიტყვა ლოცვასავით იყო.

იმ დროს თბილისში თევზის ორი მრეწველ-ვაჭარი გამოირჩეოდა — ძმები ძეგველოვები. მათ სავაჭრო დუქანი საკუთარ სახლში ჰქონდათ გახსნილი — ახლანდელ პუშკინის ქუჩაზე. მათი და ცოლად ჰყავდა ფერშალ ვასილ ყარსელაშვილს. ფერშალს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში საკუთარი ორსართულიანი სახლი ჰქონდა. თვითონ მეორე სართულზე ცხოვრობდა. ქვედა სართულის ოთახი მიწის პირიდან ერთი საფეხურით იყო ამაღლებული.

ვასილ ყარსელაშვილს ორი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა. ბიჭები სწავლობდნენ: უფროსი მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში, უმცროსი — პირველში.

ბატონ ექვთიმეს ფერშალი დაუბარებია და უთქვამს:

— შენი ბავშვები მოისუსტებენ, კარგი იქნება, თუ ვინმეს დაახმართ. ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელი დიმიტრი ჯავახიშვილი ჩინებული მოსწავლეა. მე გირჩევთ, ის აიყვანოთ. ჩაასახლეთ თქვენს ბინაში, აი, ქვედა ოთახი რომ გაქვთ ცარიელი, უფასოდ მიეცით ულუფა, ის კი შენს შვილებს სწავლაში დაეხმარება. რასაც ახლა დასთესავ, შემდგომ ათმაგად მოიმკი...

ვასილ ყარსელაშვილი უყოყმანოდ დაეთანხმა. ამით ფრიად კმაყოფილიც დარჩა და ბატონ ექვთიმეს მადლობაც გადაუხადა.

ამ ამბის შემდეგ ორი კვირაც არ გასულა, მე ფერშლის ოჯახში დავბინავდი.

დალოცვილ ხალხში მოვბვდი. ცოლიც და ქმარიც ისე მექცეოდნენ, როგორც საკუთარ შვილს.

ბატონმა ექვთიმემ განა არ იცოდა, რა ოჯახშიაც შემიღო კარი და დამაბინავა.

*

ცხოვრების გზაზე ჩვენ უამრავი ადამიანი გვხვდება. ზოგი ჩვეულებრივი მგზავრივით ჩაივლის, თვალს მიეფარება თუ არა, აღარ გვახსოვს. ზოგი კი, ჩვენგან რა შორსაც არ უნდა წავიდეს, მაინც ჩვენთან რჩება სამუდამოდ, ჩვენი სიცოცხლის ნაწილად იქცევა.

სკოლაში ყოფნისას ორი სიყრმის მეგობარი მყავდა — შალვა მესხიშვილი და ირეოდიონ სონღულაშვილი. შალვა საქვეყნოდ ცნობილი მსახიობის, ლადო მესხიშვილის, ვაჟი გახლდათ. შალვას დედა კახელი ქალი იყო, ნასიძე. ნამდვილი ქართველი მანდილოსანი. რა მიზეზით მოხდა, ეს ჩვენი საქმე არ არის, ლადომ იგი ადრევე მიატოვა, გაეყარა და რუსი ქალი შეირთო. შალვას დედას სხვა შვილი არ ჰყავდა და დედისერთა ვაჟს თავს ევლებოდა. შალვა ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ ერთმანეთთან მაინც ვმეგობრობდით.

ირეოდიონ სონღულაშვილი სამღვდელოების ოჯახს ეკუთვნოდა. ჩვენს სკოლაში თავად-აზნაურებს სწავლის გარკვეული პირობები ჰქონდათ. ამ პირობებით სარგებლობდა სამღვდელოების ოჯახის შვილი ირეოდიონიც. უფლებებით იგი თავად-აზნაურებთან იყო გათანასწორებული.

ექვთიმე თაყაიშვილს ირეოდიონი ძალიან უყვარდა. ეს სიყვარული შემდეგ დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და ამ

ბეგობრობამ თავისი კარგი ნაყოფი გამოიღო, რაზედაც შემდეგ მოგახსენებთ.

მე და იროდიონი სკოლაში ისე დავმეგობრდით, რომ ერთხელ შემოდგომაზე რამდენიმე ბიჭი რთველზე დაგვპატიჟა დიღომში.

იქ ჩვენ გავეცანით იროდიონის დედას და უფროსი ძმის შვილებს. უფროსი ძმა, ვანო, მღვდელი იყო.

რთველში ბევრჯერ ვყოფილვარ და არც აქ იყო რაიმე არაჩვეულებრივი, ვენახი დაკრიფეს და ყურძენი დაწურეს. ამ რთველიდან მე ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ერთი რამ: დიასახლისმა შემწვარ ქათამთან ერთად უცნობი საჭმელიც მოგვართვა. იროდიონის ოჯახში პირველად ვიგემე აჯაბსანდალი.

ასეა: პირველი ყველაფერი უკეთ გვამახსოვრდება ხოლმე. ეს სულ ერთია, ტკივილს ეხება, სიხარულს, თუ ისეთ ჩვეულებრივ რამეს, როგორც საჭმელია.

კინაღამ დამავიწყდა! მეოთხე კლასში დავეწიე ვანო სარაჯიშვილს. იგი თავიდანვე გამოირჩეოდა თვალტანადობით და თავისი საუკეთესო ხმით, გუნდში ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი იყო. მაგრამ მან ჩვენი სკოლა მალე დატოვა და საიუნკრო სასწავლებელში გადავიდა.

კიდევ ერთი! დეიდასთან რომ ვიყავი შეხიზნული, თეთრაძეების ოჯახში, მამადავითის უბანში ვცხოვრობდი, დღევანდელ ბესიკის ქუჩაზე. ჩვენ მეზობლად სახლი ედგა ცნობილ ინჟინერ-არქიტექტორს ნეპრინცევს. იქვე იყო საკმაოდ დიდი სახლი, რომელიც არსენას ლექსში მოხსენებულ ზაალ ბარათაშვილის შთამომავალს, დავით ბარათაშვილს, ეკუთვნოდა. სახელი ზაალი მათ გვარში, ეტყობა, ხშირად მეორდებოდა. დავითის ვაჟსაც ზაალი ერქვა.

ჩემი მოწაფეობის დროს პირველად ვნახე ავტომანქანა. იგი მაშინ, თუ არ ვცდები, ერთადერთი იყო მთელ თბილისში. მისმა გამოჩენამ არა მარტო მამადავითის უბანი, თბილისის ყველა კუთხე აახმაურა და ააჟრიამულა. მანქანას ხალხი მტრედის გუნდივით დასდევდა.

და ეს ერთადერთი მანქანა ინგლისიდან პირველად გამოიწერა ჩვენმა მეზობელმა და დიდი ზაალის შთამომავალმა ზაალ ბარათაშვილმა, რომელსაც მოფერებით ზალიკოსაც ეძახდნენ.

ა[illegible]ლა ქუჩაში რომ გავალ, მანქანების ქარავანი მოედინება, არც თავი უჩანს, არც ბოლო. რა ფერისა და რა სიდიდის ავტომანქანას არ ვხედავ. გულში მეცინება. ჯერ ერთი საუკუნეც არ გასულა, პირველ ავტომანქანას საოცრებასავით რომ ვუყურებდით, დღეს კი მათგან მოსვენება აღარა გვაქვს.

მე ურმით გავიარე ჩემი ცხოვრების დასაწყისი გზა, შემდეგ [illegible]ანქანაზე გადავჯექი, მანქანის სიჩქარემაც არ დამაკმაყო[illegible] [illegible] და თვითმფრინავს მივანდე თავი. თვითმფრინავში მჯდომს ავტომანქანის სიჩქარე უკვე ურმის სიჩქარედ მეჩვენება. მალე, ალბათ, ხალხს თვითმფრინავის სიჩქარეც აღარ დააკმაყოფილებს. საპლანეტათშორისო ხომალდების მგზავრებს რეაქტიული თვითმფრინავების მოძრაობა ურმის ღოღიალად მოეჩვენებათ.

გარბის და გარბის ცხოვრება და ჩვენც მიგვაქროლებს. წუთისოფელი უფრო ტევადი გახდა. მთელი დედამიწა კოსმონავტისათვის ერთ საათში ეტევა. მართლაც რომ სასწაულების დროში ვცხოვრობთ.

და ჩვენ მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ ცხოვრების ამ გაქროლებას მამაპაპურად გზა დავულოცოთ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩემი მოწაფეობის ამბებს.

მოწაფეობის დროს ზოგჯერ ბიძაჩემ იასე ბადრიაშვილის ოჯახს ვეწვეოდი ხოლმე. მაშინ ჩემი დიდედა ცოცხალი იყო და ბიძაჩემთან ცხოვრობდა. დიდედა მორწმუნე იყო და მარხვას ყოველთვის ინახავდა. ბიძაჩემს კი უხორცო საჭმელი არაფრად მიაჩნდა. ერთხელ, მარხვის დღეებში, სადილად ხორციანი კერძი მოიტანეს. მხოლოდ დიდედას დაუდგეს უხორცო წვენი. გემრიელად შეექცა და მერე ჰკითხა შვილს:

— შვილო, ეს რა გემრიელი კერძი იყო, რა ზეთით გააკეთეთ?

ბიძაჩემი წამით დაფიქრდა და სერიოზულად მიუგო:

— კამეჩის ზეთით არის გაკეთებული, დედი, კამეჩის ზეთით.

ბიძაჩემმა რაკი ქონი არ ახსენა, დიდედას ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს სინამდვილედ მიიჩნია და შვილს თავი კმაყოფილებით დაუქნია.

ბიძაჩემს ამგვარი ხუმრობა უყვარდა.

მას რამდენიმე ქალიშვილი ჰყავდა. მოგეხსენებათ, ქალიშვილები მამას ხან რას სთხოვენ და ხან რას.

— პაპა, კუპი მნე შლიაპუ! — ეტყოდა ერთი.

— პაპა, კუპი მნე პოლსაპოშკი! — სთხოვდა მეორე.

— პაპა, კუპი მნე ნოვომოდნოე პლატიე! — მოეხვეოდა მესამე.

ისინი რატომღაც ყველა სათხოვარს რუსულად ეუბნებოდნენ. ამდენი თხოვნით კაცს თავი მობეზრებული ჰქონდა. ერთხელ სამსახურიდან მოღუშული მოვიდა.

— ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?! — შემოეხვივნენ ქალიშვილები.

— შინ რომ მოვდიოდი, ერთი ჩიტი სკუპ-სკუპით მომდევდა, ვერაფრით ვერ მოვიშორე, ქვა ვესროლე და მაინც არ მომეშვა. მთელი გზა მომძახოდა: კუპი და კუპიო... რაღა აღარა მთხოვა, მიყიდეო. მაშ, კარგ გუნებაზე დავდგებოდი?!.

ბიძაჩემმა სიცილი ვეღარ შეიკავა. ქალიშვილებსაც ეს უნდოდათ, უმალვე გამხიარულდნენ, მიხვდნენ, ეს ყველაფერი კვიმატური ხუმრობა იყო და ამ ხუმრობას კვიმატური ხუმრობითვე უპასუხეს. მამას სეტყვასავით დააყარეს: ეს გვიყიდე და ის გვიყიდეო.

არდადეგებზე, შობა-ახალწელიწადსა და აღდგომას, შინ წასვლა მიყვარდა. ვესტუმრებოდი ძეგერას, ნათესავ-მოყვრებსა და მეზობლებში ჩამოვივლიდი.

ძეგერაში ყოფნისას უეჭველად ვეწვეოდი ხოლმე ტროფინე ჯავახიშვილის ოჯახს. გავიხსენებდით აბლაბუდათი მორჩენილ ჩემს ჭრილობას და სხვა ამბებს.

მერე ოთხკოშკიან ციხეს დავათვალიერებდი. ეს სადროშო ციხე სოფლის მშვენება იყო. მე იგი ძალიან მიყვარდა.

ეს ციხე სოლომონ ჯავახიშვილის ოჯახს ეკუთვნოდა. გული მწყდება, რომ ეს ისტორიული ძეგლი ამჟამად აღარ არის.

ბოლო დროს ბევრი პატრონი გაუჩნდა, იგი დაანგრიეს და მისი ქვები ახალი სახლების საშენ მასალად გამოიყენეს.

ახლის შენება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამას ჩვენი ისტორიული ძეგლები კი არ უნდა შევწიროთ.

მამაჩემი კვლავ წინანდებურად ებრძოდა მიწას.

მამაჩემთან ერთად მინდვრად გასული ხშირად მინახავს ჩვენი მოგვარე ქაიხოსრო ჯავახიშვილი. არც ის თაკილობდა მიწაზე მუშაობას. იგი მამაჩემის ხნისა იყო. ქაიხოსრო, იგივე ქუცნა, ძეგერელებს საუკეთესო გუთნისდედად მიაჩნდათ.

ქუცნასავით მუყაითი და გამრჯე იყო მისი ძმა გიგო. პურის მკის დროს ყანაში ვეფხვივით ტრიალებდა. მკაში შეჯიბრებას ვერავინ გაუბედავდა და თუ ამას მოიწადინებდა, უთუოდ დამარცხდებოდა.

მე მიყვარდა ამ ადამიანებთან ყოფნა. ასე მეჩვენებოდა, რომ ისინი აცოცხლებდნენ აქაურობას.

მაგრამ ჩვენს გვარში ყველა ასე მუყაითი როდი იყო. სანდრო ჯავახიშვილს მინდვრად გასვლა სასტიკად ეჯავრებოდა, სამაგიეროდ არც ერთ დღეობასა და დროსტარებას არ აცდენდა. სწორედ იმან აიყოლია ჩემი უფროსი ძმა გიგო. ისინი ერთად დადიოდნენ ყველგან და ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

სამწუხაროდ, მათი სიმღერა არც ქვეყანას ადგებოდა რამეში, არც მე.

ერთხელ, ვორიდან ძევერაში ფეხით რომ მოვდიოდი, ზედ გორის თავთან ეტლი წამომეწია. ეტლი ჩემს ახლოს გაჩერდა და იქიდან სასიამოვნო შესახედაობის მოხუცმა გადმომხედა. მას სამხედრო მუნდირი ეცვა. თქვენ წარმოიდგინეთ, უცებ შევკრთი და უკან დავიხიე.

— საით მიდიხარ, ყმაწვილო? — მკითხა ბერიკაცმა.

— ძევერელი ვარ, შინ მივდივარ, — მივუგე მე.

— მოდი, დაჯექი, კარალეთამდე მიგიყვან! — ეტლში ჩაჯდომა შემომთავაზა მან.

მე წინ ნაბიჯი ვერ გადავდგი.

— მოდი, მოდი, ნუ გრცხვენია! ჰა, მოდი, ნუღარ მაგვიანებ! — დამაჩქარა მან.

წინა სკამზე დამსვა.

— მოსწავლე ხარ? — მკითხა ბერიკაცმა.

— დიახ, თბილისში ვსწავლობ, სათავადაზნაურო სკოლაში.

— კარგია, ძალიან კარგია. ვისი შვილი ხარ?

— ვასილ ჯავახიშვილის.

— კარგია, ძალიან კარგია.

გორიდან კარალეთამდე ვაკე ადგილია. მერე კარალეთში ერთგან ხელოვნურად არის ამაღლებული. იმ ამაღლებულ ადგილზე დიდი სახლი იყო წამოჭიმული. მე გაგონილი მქონდა. რომ ეს სახლი გორის მაზრის უფროსის რევაზ ერისთავისა იყო. მას კარალეთში ჰქონდა მამული და აქვე ცხოვრობდა.

ეტლი სწორედ იმ სახლთან გაჩერდა.

მივხვდი, რომ ეს მოხუცი რევაზ ერისთავი იყო.

აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ მაზრის უფროსი ჩამისვამდა ეტლში.

უმალვე ჩამოვხტი, დიდი მადლობა გადავუხადე და გზა განვაგრძე. ძეგერამდე სულ ფრენით მივედი. შემდეგ ამ ამბავს სიამაყით ვყვებოდი ხოლმე. ახლაც სიამოვნებით მაგონდება. გორიდან ძეგერასკენ რომ მივდივარ, მეჩვენება, რომ ის ეტლი გვერდით მომყვება.

რევაზ ერისთავის სახლი ამჟამადაც შენახულია ნაწილობრივ და შიგ კარალეთის კულტურის სახლია მოთავსებული.

რევაზ ერისთავს ორი ვაჟი ჰყავდა. — მიხეილი და შალვა. მე და შალვა პირველი იმპერიალისტური ომის დროს ერთად ვმსახურობდით პირველ ქართულ ცხენოსან პოლკში, მე — პოლკის უფროს ექიმად, ის კი სამეურნეო ნაწილის გამგედ, როგორც მახსოვს, ის საკმაოდ განათლებული კაცი იყო და პოლკში დიდ პატივისცემას იმსახურებდა.

ჩემი მოწაფეობის დროს მცხეთის სადგურის უფროსად მამაჩემის ღვიძლი ბიძაშვილი ოქრო ჯავახიშვილი მუშაობდა. მამამისს, ივანეს, სხვა ვაჟი არ ჰყავდა და მთელი მამული ოქროს დარჩა. იგი თავის ბიძაშვილებზე, მამაჩემსა და ბიძაჩემ ნიკოზე მდიდარი იყო. მან შეძლო საშუალო სკოლის დამთავრება და რკინიგზაზე დაიწყო სამსახური.

არდადეგებზე ოქროსაც ვესტუმრებოდი ხოლმე.

1900 წლის აღდგომის მეორე დღეს ოქრომ სოფელ გლდანში დღეობაზე წამიყვანა.

დღეობასთან დაკავშირებით ქართული ჭიდაობა გააჩაღეს.

საქვეყნოდ განთქმულ მოჭიდავეს კულა გლდანელს თბილისიდან ფალავნები მოეყვანა. აქ იყვნენ ახალგაზრდებიც და უკვე სახელმოხვეჭილნიც. კულა გლდანელის მოყვანილი ხალხი ცალკე იდგა. ერთად იყვნენ თავშეყრილნი გლდანელები. დიდ კალოზე ეს ორი გუნდი ერთმანეთს ზვერავდა, გლდანელი და თბილისელი ფალავნები ურთიერთს ზომავდნენ თვალით. ორივე მხარე თავის გამოსაჩენად ემზადებოდა.

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო.

საჭიდაო დაფა-ზურნა დაუკრეს. ორივე მხარეს თავიანთი დამკვრელები ჰყავდა.

დაფა-ზურნა ფალავნებს სისხლს უხელებდა: დროა ჭიდაობის ეშხზე მოხვიდეთო.

გლდანელებს, ეტყობოდათ, არ მოეწონათ, კულამ თბილისიდან ფალავნები რომ მოიყვანა. იგრძნობოდა ფარული ღელვა და დაძაბულობა.

დაფა-ზურნა რომ გახურდა, გლდანელებს ახალგაზრდა ზორბა ვაჟკაცი გამოეყო.

— აბა, ჯიბგირ, მიდი შეებურად! — დაუძახა ვიღაცამ.

ეს, ალბათ, ამ ფალავნის მეტსახელი იყო.

„ჯიბგირმა“ კალოს ლამაზად ჩამოუარა, რამდენჯერმე ფეხი გაუსვ-გამოუსვა და შესძახა:

— კულა გლდანელის მოყვანილი ხალხიდან, ვისაც უნდა, გამოვიდეს, თუ მსურველი არავინ არის, თვითონ კულა გამობრძანდეს!

ამ დროს გლდანელებიდან სპეტაკწვერიანი მოხუცი გამოვარდა და „ჯიბგირისაკენ“ წავიდა.

მამამისიაო, გადმომჩურჩულა ოქრომ.

მოხუცმა შვილს აღშფოთებით სტაცა მკლავში ხელი და დატუქსა:

— კულა გლდანელისა და მისი მოყვანილი ფალავნების გამოწვევა არ გაბედო, თორემ, მე და ჩემმა ღმერთმა!..

ამ ბიჭს „ჯიბგირს“ კი ეძახდნენ, მაგრამ პატიოსანი ფალავანი იყო.

ჭიდაობა მშვიდობიანად დამთავრდა.

*

იმ პერიოდში, როცა მე თბილისში ვსწავლობდი, ჩვენი დედაქალაქი ძალიან განსხვავდებოდა დღევანდელი თბილისისაგან. მოსახლეობა იმ დროს 67 ათასს აღწევდა.

ქალაქში არ იყო წყალსადენის ქსელი. თბილისის მოსახლეობას წყლით მეთულუხჩეები ამარაგებდნენ, მათ ცხენზე გადაკიდებული ორი რუმბით კარდაკარ დაჰქონდათ წყალი. მომხმარებლის კედელზე ჩამოუსვამდნენ ხოლმე პატარა ხაზებს და იმის მიხედვით ხდებოდა ბოლოს ანგარიშსწორება. მოსახლეობა თვითონ სწმენდდა მტკვრის წყალს შაბით. მახ-

სოეს, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავზე მოაწყვეს წყლის ერთადერთი ონკანი.

სათავადაზნაურო სკოლა, რომელშიც მე ვსწავლობდი, ყოფილ ლაბორატორიის ქუჩაზე (ახლანდელი ძერჟინსკის ქუჩა) მდებარეობდა. მის ზემოთ იყო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. ქვემოთ კი გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) ქუჩაზე იდგა ეკლესია, რომლის ადგილზე ჩემს ბავშვობაში ააშენეს დიდი სამხედრო ეკლესია. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ეკლესია აიღეს და მის ადგილზე დღევანდელი მთავრობის სასახლე აშენდა. მაგონდება ამ ქუჩაზე ჩამწკრივებული კერძო პირთა სხვადასხვა სახის სავაჭროები. სულ სხვანაირად გამოიყურება დღევანდელი ლენინის მოედანი. აქ დიდი ლამაზი შენობების გვერდით მრავალი პატარა სავაჭრო დაწესებულება იყო. მაშინდელი ნაგებობებიდან დარჩენილია ქალაქის საბჭოს შენობა.

პატარა მოედანი უამრავი წვრილ-წვრილი დუქნებით იყო მოფენილი. აქ დიდმა ვაჭარმა თამაშევმა ააგო სავაჭრო დაწესებულება ე. წ. „ქარვასლა“, სადაც ყველანაირი საქონლით ვაჭრობდნენ. მათ შორის მეხსიერებაში ჩამრჩა ტკბილეულით მოვაჭრე სპარსელები. ქარვასლის ქვეშ მოთავსებული იყო საქეიფო — „ტილი პუჭურის“ სარდაფი. კარგად მახსოვს, მოედანს ამშვენებდა ცნობილი მეყვავილის მიხეილ მამულაშვილის საყვავილე სოლეიდორის სახელწოდებით. პუშკინის ბაღის მოპირდაპირე მხარეს იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობა. მის ქვემოთ კი სასულიერო სემინარიის შენობა გახლდათ, სადაც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმია მოწყობილი. კარგად მახსოვს ქართული თეატრის ლამაზი

შენობა, რომელიც შემდეგ დაიწვა და მის ადგილზე დაარსდა ქართული კლუბი. მოედანს უერთდება მოკლე ქუჩა, ადრე რომ სასახლის ქუჩა ერქვა. ამ ქუჩის ბაღში კავკასიის მთავარმართებლის სასახლე იდგა, ახლა იმ შენობაში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეა. ამავე ქუჩაზე იყო ცნობილი მდიდარი ვაჭრის ალშფანგის სავაჭრო.

მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე იდგა საოპერო თეატრი, ახლა რომ დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს. მე ვიცნობდი ზაქარია ფალიაშვილის მრავალრიცხოვან ოჯახს. მათი ერთ-ერთი ძმა ანტონი ჩემი სტუდენტობის ამხანაგი იყო, ჩვენ ერთად ვსწავლობდით ოდესაში სამედიცინო ფაკულტეტზე. მას ხშირად ვხვდებოდი ექიმად მუშაობის დროსაც. რაც შეეხება ზაქარია ფალიაშვილს, მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ პირადად დავსწრებივარ მის მიერ ბორჯომში გამართულ სიმფონიურ კონცერტებს. როდესაც ზაქარიას ერთადერთი ვაჟიშვილი გარდაეცვალა, მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ გაიზიარა მისი დიდი მწუხარება. ერთხელ მას ჩიტაძის ქუჩაზე შევხვდი. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ამ საუბარში მან მითხრა: ჩემო დიმიტრი, რომ იცოდე, ჩემზე უბედური ადამიანი არ მეგულება ამ ქვეყანაზეო. მე ცრემლი მომერია და სანუგეშო ვერაფერი ვუთხარ. მას აქეთ, როცა ამ საუბარს გავიხსენებ, ზაქარიას მწუხარე სახე მიდგას თვალწინ და უდიდეს სევდას მგვრის...

ჩემი მოსწავლეობის დროს ქალაქი მთავრდებოდა აგურის ქარხნის შენობით, სადაც დღეს პრესის სახლია. იმის იქით ქვაღორღიანი ადგილი იყო. კარგად მახსოვს 1910 წელს ცნობილი სახალხო მოღვაწე, დიდი პატრიოტი ნიკო ცხვედაძე ხალხში როგორ აგროვებდა ფულს სათავადაზნაურო გიმნა-

ზიის ასაშენებლად, რომელიც მერე უნივერსიტეტად გადაკეთდა. ზოგჯერ იგი მეორედ მიმართავდა უფრო შეძლებულ პირებს, დავით სარაჯიშვილს, ქველმოქმედ ზუბალაშვილს, ქართველიშვილს და სხვებს. როდესაც მას ეკითხებოდნენ, რად გინდა ამოდენა შენობა გიმნაზიისათვისო, ის უპასუხებდა: რა ვიცი, იქნებ უნივერსიტეტისთვისაც გამოდგესო. ამასთან უნდა ითქვას, რომ ნიკო ცხვედაძე დაუშრეტელი ენერგიის პატრონი იყო და სწორედ ამიტომ მიიყვანა ბოლომდე ეს დიდი საშვილიშვილო საქმე.

რაკი მაშინდელ თბილისზე ჩამოვარდა სიტყვა. მინდა ზოგიერთი რამ გავიხსენო: იმხანად თბილისში ეტლები და ორცხენიანი კონკები დადიოდა. ძველი თბილისის უბნები იყო: ჩუღურეთი, კუკია, ავლაბარი. ქალაქს უერთდებოდა ციციანოვის სახელობის ციცაბო აღმართით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში უფრო დაადაბლეს.

ძველ თბილისში ცნობილი უბანი გახლდათ ორთაჭალა. ცნობილი თავისი ჭალებითა და ბაღებით. ორთაჭალა ჩვენი თავად-აზნაურების დროსგასატარებელ საქეიფო ადგილად ითვლებოდა. მე მოწმე ვარ მტკვრის ორ ტოტად დინებისა. დიდ ტოტზე იყო მეფის ნაცვლის ვორონცოვის სახელობის ხიდი და მოედანი. მეორე ტოტი წყლის ნაკლებობის გამო ქუჩად გადაკეთდა. ამ პატარა ტოტთან დაკავშირებით მაგონდება ერთი სამწუხარო ამბავი. პატარა ტოტზე იანვრის ნათლიღების დღეს სახელდახელო ფიცრულ ხიდს გასდებდნენ ხოლმე ამ ერთი დღისათვის. ამ ხიდზე სომხების მღვდელმთავარი წინ უძღოდა სასულიერო პროცესიას, წყალს განათლავდა და შემდეგ მორწმუნეებს ნათლიღების წყალი შინ მიჰქონდათ. ერთხელ ამ რიტუალის დროს ხიდმა ვერ გაუძლო

მოზღვავებული ხალხის სიმძიმეს და, როცა მღვდელმთავარი წყალს აკურთხებდა, შუა ადგილას ჩაინგრა. უამრავი ხალხი ჩაცვივდა წყალში და ბევრი მლოცველი დაიღუპა. ამ შემთხვევის მოწმე მეც ვიყავი. ნათლიღება დღეს ბიძაჩემის ბინიდან დავინახეთ ეს სამწუხარო ამბავი.

ჩვენს ნათლიღებას ატარებდა ქართველთა კათალიკოსის ნაცვალი. როდესაც ის ჯვარს ჩაუშვებდა და გამოაცხადებდა მტკვრის წყალი ნაკურთხიაო, თუკი დიდი ყინვა არ იყო, მოხალისე ვაჟკაცები ნათლიღების დღის პატივსაცემად გადაეშვებოდნენ მტკვარში.

მახსოვს აგრეთვე მტკვარზე გამართული წისქვილები, ვორონცოვის ხიდის ქვემოთ ჩუღურეთისაკენ რომ იყო განლაგებული. ჩემს ბავშვობაში მტკვარი რამდენჯერმე გაიყინა. ყინული იმდენად მაგარი იყო, რომ ხალხი ერთი ნაპირიდან მეორეზე ფეხით გადიოდა. მტკვარზე გადასვლასთან დაკავშირებით ბორანიც გამახსენდა. ხიდების ნაკლებობის გამო მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარე ერთ ადგილას ბორნით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

მაგონდება თბილისელთა სხვა სასულიერო დღეობებიც. 10 ნოემბერს ქაშვეთის ეკლესიის ეზოში იხდიდნენ გიორგობას. აღდგომიდან 40 დღის შემდეგ მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესია იხდიდა მამადავითობას, სადაც თბილისის ყველა კუთხიდან უამრავი ხალხი ადიოდა. ხალხს სწამდა, რომ მამადავითის ეკლესიის კედელს სასწაულმოქმედი თვისება ჰქონდა, ისინი მოზრდილ კენჭს აუსვამდნენ კედელს და თუ კენჭი კედელზე გაჩერდებოდა, ნატვრა შეუსრულდებოდათ. ეს თუმცა ბევრჯერ მინახავს, მაგრამ მე არასოდეს მიცდია, რადგან ამდაგვარი ცრურწმენებისა არაფერი მჯეროდა.

თბილისის ქუჩები განათებული იყო 2—2,5-მეტრიან ბოძებზე გამართული ფარნებით, რომლებშიც იდგა ნავთის ლამპები. ეს ლამპები ისე ბეუტავდნენ, ქუჩებში მაინც ბნელოდა. ზოგიერთ კერძო მოსახლეს ალაყაფის კარზე ფარანი ეკიდა. ფარანზე აღნიშნული იყო სახლის პატრონის გვარი, სახელი და ქუჩის დასახელება. ხოლო სოლოლაკის უბანში, სადაც მეტწილად შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, განათება უფრო უკეთესი იყო. სოლოლაკის ქუჩა მოკირწყლული გახლდათ, ნაპირებზე ბრტყელი ქვები ელაგა და მას ტროტუარს ეძახდნენ. ოჯახები განათებული იყო შეძლებისდაგვარად სხვადასხვა ლამპებით. მაგონდება ჭერიდან ჩამოკიდებული ლამაზად გაფორმებული ლამპები. ამ დროს სოფელში იყო ძალიან პრიმიტიული განათება, ჩემს ბავშვობაში ჭრაქსაც ხმარობდნენ.

ძველი თბილისის ცხოვრებიდან მაგონდება ერთი საყურადღებო ამბავი: მახათას მთის ფერდობზე რკინიგზის მუშებს ერთი ღამის განმავლობაში ყოველგვარი ნებართვის გარეშე სახლების მშენებლობა გაუჩაღებიათ, რამაც მეორე დღეს ქალაქის მმართველობა და პოლიცია აამხედრა, მაგრამ იმ ერთ ღამეს იმოდენა უბანი გაეშენებინათ, რომ ვეღარაფერი მოუხერხეს. ამ უბანს ნაძალადევი უწოდეს. დღეს იგი თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და კეთილმოწყობილი რაიონია.

აქვე უნდა მოვიგონო ძველი თბილისის ერთ-ერთი ქუჩა ავჭალის სახელწოდებით, რომელიც შემდეგში ყორღანოვის სახელს ატარებდა, რადგან მის დროს ამ ქუჩაზე გაიყვანეს ორცხენიანი კონკა. ამ ქუჩაზე დაგებული იყო ქვაფენილი.

დიდი წვიმების დროს მახათას მთის ფერდობიდან ჩამოდიოდა ნიაღვარი და მოძრაობას წყვეტდა. ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ამ დროს აქ გაჩნდებოდნენ ყარაჩოღელები, კინტოები. მათ მოსახლეობა ერთი მხრიდან მეორეზე დროგებით გადაჰყავდათ და ფულს იღებდნენ. რაღა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს მცხოვრებთა ეს გასაჭირი მოისპო. ამ ქუჩამ სახელი მრავალჯერ შეიცვალა და ახლა მას საბჭოს ქუჩა ეწოდება.

•

სწორედ იმ წელს, სკოლა რომ უნდა დაგვემთავრებინა, ისტორიის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა რამდენიმე მოსწავლე თავის ბინაზე მიგვიწვია. იგი მთაწმინდის უბანში ახლანდელ ბესიკის ქუჩაზე ცხოვრობდა. მასწავლებელთან ოთხი მივედით: გიგო აბდუშელიშვილი, რეზო გაბაშვილი (ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი), ეროდიონ სონღულაშვილი და მე.

— ვაჟკაცებო, — გვითხრა ივანე რატიშვილმა, — საღამოს ჩემთან მოვა ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. მან სინას მთაზე იმოგზაურა სამეცნიერო მიზნით და ამ მოგზაურობის ამბებს მოგვიყვება. თუ გაინტერესებთ, დაესწარით.

ჩვენ მისი წინადადება დიდი სიამოვნებით მივიღეთ.

ეს ახალგაზრდა კაცი ჟამგამოვლილი ბრძენკაცივით ლაპარაკობდა. უბრალოდ კი არ გვესაუბრა, ფრიად შინაარსიანი და საინტერესო მოხსენება წაგვიკითხა.

ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

იმ საღამოს მიღებული შთაბეჭდილება კარგა ხანს გვეყო სულის საზრდოდ.

ძალიან ბევრი რამ ახალი გავიგეთ.

მას შემდეგ ივანე ჯავახიშვილს სადაც შეეხვდებოდი, მინდოდა თაყვანი მეცა. მაგრამ თვითონ მას ყველგან თავმდაბლურად ეჭირა თავი, უბრალოდ იქცეოდა და არავითარ დიდებაზე არ ფიქრობდა. ბუმბერაზი მეცნიერი ძალიან გულისხმიერი და კეთილშობილი ადამიანი გახლდათ.

ერთხელ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის გამგებლობის პერიოდში ექიმებმა დამავალეს, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის მეთხოვა მათთვის ლექცია წაეკითხა საქართველოს ისტორიიდან. მე მას ბინაზე დავურეკე. ტელეფონთან მისი შვილი შემხვდა, რომელსაც ვთხოვე ბატონ ივანესთვის ეკითხა როდის შეიძლებოდა მისი ნახვა. მან ბატონ ივანეს პასუხი გადმომცა, რომ მაშინ მოვიდეს, როცა თვითონ მოახერხებსო. იმავე საღამოს, ხუთ საათზე ვეწვიე. იგი ღრმა სავარძელში იჯდა. გულითადად მომესალმა, მომისმინა და შემპირდა, რომ, როგორც კი მოიცლიდა, ლექციას უეჭველად წაგვიკითხავდა. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

აქვე არ შემიძლია კარგი გრძნობით და სიყვარულით არ მოვიგონო სახელმოხვეჭილი Გწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. იმ დროს ჩვენ გვაერთიანებდა საერთო საზოგადოებრივი განწყობა. მიხეილ ჯავახიშვილი მაშინ უკვე აქვეყნებდა სასიამოვნო შინაარსის მცირე მოცულობის მოთხრობებს ადამაშვილის ფსევდონიმით. მე ახალგაზრდა ექიმი ვი-

ყავი. მაგრამ ის განსაკუთრებული ნდობით მეკიდებოდა. ხშირად ვმკურნალობდი ხოლმე მას და მისი ოჯახის წევრებს.

ასეთი ადამიანები გვინათებენ ცხოვრების გზას, ალამაზებენ მას.

*

ხშირად გამიგონია: მოგზაურობა და ხალხში გასვლა რამდენიმე კვირითაც კი ათასი წიგნის წაკითხვას უდრის, სკოლაში მიღებული ცოდნის შემოწმებაა, სწავლის თავისებური გაგრძელებაა; მოგზაურობა ჯახს ადუღაბებს, ჭკუა-გონებას უფრო მახვილსა ხდის და ადამიანს ნათელი ფიქრებით ამდიდრებსო; მოგზაურობა ახალგაზრდას ავაქკაცებს, სხეულს უკაქებს და სულს უფაქიზებსო.

ჰოდა, ვიდრე სასწავლებელს დავამთავრებდით და ხელში ატესტატებს დავიჭერდით, სამმა ამხანაგმა — რეზო გაბაშვილმა, გიგო აბდუშელიშვილმა და მე გადავწყვიტეთ, წუთისოფლისაგან დაწესებული ეს კეთილი ბეგარა ადრევე მოგვეხადა, ფეხით შემოგვევლო საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი მაინც, გავცნობოდით ხალხის ცხოვრებას და ადგილებზევე დაგვეთვალიერებინა ჩვენი ისტორიული ძეგლები.

ეს იყო 1901 წელს. მაშინ ჩვენ 18—19 წლისანი ვიყავით.

სამოგზაუროდ შევკრიბეთ ხუთ-ხუთი მანეთი, წვიმიან ამინდში თავდასაცავად შევიძინეთ ლაბადები, ჩანთებში ჩავალაგეთ მოგზაურობისათვის აუცილებელი წვრილმანი და დილაადრიან გავუდექით გზას.

ავჭალა გავიარეთ, აღმართს ავყევით, ზედაზნის მონასტერი მოვინახულეთ, უღელტეხილი გადავიარეთ, საგურამოში ჩავედით, ილია ჭავჭავაძის სახლი და მისი შემოგარენი დავათვალიერეთ, არაგვის ხეობას მივადექით და ღამე საგურამოს ახლობელ სოფელ ჭოპორტაში გავათენეთ. მასპინძლობა გაგვიწია ერთმა ღარიბმა გლეხმა. მართალია, მას ხორბლის პური არ ჰქონდა და ქერის პურით გვავახშმა, ეს ქერის პური ისე გულწრფელად და სიამოვნებით მოგვიტანა, მისი სუფრა მეფურ ვახშამს გვერჩია.

მაშინ დავრწმუნდი, რომ ღარიბი კაცის მიერ ალალად მორთმეულ ლუკმას სულ სხვა გემო აქვს.

მეორე დღეს გადავედით ძაგნაკორას. ალბათ, ამ სოფლიდან იყო საშუალო საუკუნეების მწერალი ძაგნაკორელი. საღამო ჟამს ავედით მაღლობზე და გადავხედეთ ჩამავალი მზით განათებულ ბაზალეთის ტბას. გავიხსენეთ ჩვენი სასიქადულო პოეტის ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბა“. გავიხსენეთ ეს ლექსი და ჩამავალი მზის შუქზე, მართლაც, მოგვეჩვენა, რომ იმ ტბაში ჩაკიდებული იყო ოქროს აკვანი. ამ ხილვამ დაგვატკბო და კარგა ხანს თვალი ვერ მოვაშორეთ.

მეორე საღამოს ერწოში მეცხვარეებს ვესტუმრეთ. ცხვარიჭამიაში გულუხვად გავვიმასპინძლდნენ და კარგადაც მოგვასვენეს.

დილით ადრე გეზი თიანეთისაკენ ავიღეთ. იქ ნაცნობი გვეგულებოდა — ივანე როსტომაშვილი. მისი ოჯახის წევრებს ჩვენ ადრევე ვიცნობდით. საღამო ჟამს თიანეთს მივადექით და ვინაიდან მასპინძელი უკვე გვყავდა, ღამის თევა კიდევ უფრო გაგვიადვილდა.

თიანეთიდან ახმეტისაკენ გავემგზავრეთ. მაშინ ლოპოტის მარმარილოს დამუშავება ახლად დაწყებული იყო და იქ ცოტა ხნით შევჩერდით.

ჩვენ თან გვქონდა პედომეტრი. ამით გავიგეთ, რომ ფეხით ყოველდღე ოცდაათიოდე კილომეტრს გავდიოდით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გზა მთებზე ადი-ჩამოდიოდა, პატარა მანძილი არ იყო.

ახმეტაში რამდენიმე თავად-აზნაურის ოჯახი ცხოვრობდა. მალე გაიგეს, ვინც ვიყავით და პატიჟი დაგვიწყეს. იქ ჩვენ სათავადაზნაურო სკოლელი ამხანაგი ნოდარ ჯანდიერი დაგვხვდა და სხვას როგორ წავყვებოდით.

მგზავრობის დროს ყოველი ლუკმა გემრიელია, ქერის პურიც კი ნაზუქივით ტკბილი ხდება. ჯანდიერებთან კი ისეთი უხვი სუფრა გაგვიშალეს, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. სხვა რაღა ვთქვა, ივნისში გოზინაყიც კი მოგვართვეს. იქ სამ დღეს დავრჩით.

თელავში ისტორიული ძეგლები და სიძველენი დავათვალიერეთ. მაშინ ერეკლე მეფის სასახლე პირველად ვნახე. დილით ალაზნის ველს გადავხედეთ და განსაკუთრებულად დავტკბით. დიდებულად გამოიყურებოდა შორიდან ალავერდის მონასტერი.

გავედით თურდოს ხეობის გაღმა და მივადექით იყალთოს. აქ მოხუცი ფირუზა მაყაშვილი შემოგვეგება. იგი სიძველეთა ჩინებული მცოდნე გახლდათ. ფირუზამ იყალთოს აკადემიის ნანგრევები დიდი გულმოდგინებით დაგვათვალიერებინა.

— უმაწვილებო, აქ ბევრი ბრძენი სწავლობდა და მოღვაწეობდა. შოთა რუსთაველიც იმ უკვდავ სიბრძნეს აქ ეზიარა. აქ ყველა ქვა მათი ხელშენახებია და ყველას მათი ხელის

სითბო აქვს შემონახული. თაყვანი ეცით ამ ქვებს, ეს უბრალო ლოდები არ არის!

თვითონაც სცა თაყვანი და ჩვენც მას მივბაძეთ.

— ვინც თავის წინაპრებს არა სცემს პატივს, შთამომავლობა იმას არასოდეს არ დააფასებს, ეს გულზე დაიბეჭდეთ, ყმაწვილებო! კარგი ბიჭები ხართ, ასე ფეხდაფეხ რომ ათვალიერებთ ყველაფერს. ქვეყნის სიყვარული ასე იწყება. სადაც ფეხი დაგიდგამს, ის მიწა-წყალი ყოველთვის განსაკუთრებულად გიყვარს. თქვენ გაიხარეთ, როგორც მე გამახარეთ!

აქედან ფირუზ მაყაშვილმა თურდოს კლდის პირას აშენებულ ძველ მონასტერთან აგვიყვანა.

— აი, ეს მუხის ჩარჩოები, მრავალი ჭირის მომსწრე და მნახველია, ექვსასი წლისა მაინც იქნება, — გვითხრა მან. — ქვებზე გამძლე კი გამოდგა. მტრის შემოსევების ჟამს როგორც ხალხი, ასევე მონაზვნები მონასტერში შემოიხიზნებოდნენ და თავს იფარავდნენ. სინათლე მხოლოდ ამ ფანჯრებიდან შემოდიოდა. ბევრი ავბედითი ჟამი გადავიტანეთ ქართველებმა, ბევრი! ამიერიდან მაინც გვეღირსოს მშვიდობა!

იყალთოში სიბერეშიც მომიხდა ყოფნა. დიდი სიხარული და სიამოვნება განვიცადე, როცა ჩვენი დიდი მგოსნის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით რესტავრირებული იყალთოს ტაძარი ვნახე. იყალთო 1901 წელთან შედარებით დიდად სახეშეცვლილია. ყველგან ჩანს თანამედროვეობის ხელი. აქ დაუარსებიათ სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორს, გიორგი შათირიშვილს, დიდი ამაგი გაუწევია სიძველეების შეგროვების საქმეში. ჩამოუყალიბებიათ საზოგადოებრივ საწყისებზე მუზეუმი. სიძველეებთან ერთად

აქ ასახულია თანამედროვე მწერლებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების შემოქმედება.

დავუბრუნდეთ ისევ მოგზაურობის ამბებს.

იყალთოში ყოფნისას გენერალ მაყაშვილის ოჯახში მიგვიწვიეს სადილად. სუფრას შემოუსხდნენ თვითონ მასპინძელი, მისი მეუღლე და იმ ოჯახის რამდენიმე ახალგაზრდა.

უხვ პურმარილს კიდევ უფრო აგემრიელებდა შესანიშნავი ღვინო. იყალთოურიაო, გვითხრეს.

მე და რეზო გაბაშვილი ცოტას ვსვამდით. გიგო აბდუშელიშვილი ჩვენზე მოსული ვაქკაცი იყო და ჩვენზე მეტადაც ვაქკაცობდა, ღვინოს ეტანებოდა, ყველა სადღეგრძელოს ცლიდა. რაკი მასპინძელმა ეს შეამჩნია, ალავერდს მასთან გადადიოდა.

კნეინამ გენერალს გადაულაპარაკა:

— ღვინოს ნუ აძალებ, ჯერ ბავშვია, არ აწყინოსო.

ეს გაიგონა ჩემ გვერდში მჯდომმა გიგომ და დიასახლისის სიტყვა არ ეჭაშნიკა. მე მუჯლუგუნიც კი გამკრა, დახე, რას ამბობსო.

გიგოს კახური ღვინო განსაკუთრებით უყვარდა და სუფრიდან ბოლოს ადგა, არც ერთი სადღეგრძელო არ გამოუტოვებია.

ფირუზ მაყაშვილის რჩევით იყალთოდან ალაზნის ველს გავუყევით და, უპირველეს ყოვლისა, ალავერდის მონასტერი დავათვალიერეთ კარგად. კედლებში დატანებული კიბეებით მაღლა ავედით და შემოგარენს გადავხედეთ.

იქიდან თუშების სოფელ ალვანში გავიარეთ, მერე ერეკლე მეფის საზაფხულო სასახლე ცხრაკარა ვინახულეთ. იგი უკვე დანგრეულიყო, მხოლოდ ფანჯრები და კარადების ჩარ-

ჩოები იყო შემონახული. ნაფარეულში საუფლისწულო ვენახები დავათვალიერეთ. იგი, მართლაც. სანიმუშო იყო ყოველმხრივ.

მერე კვლავ თელავს დავუბრუნდით. აქედან შუამთის მონასტერში ავედით. აქ ნამდვილ მასპინძლად მოგვეელინა ბერმონაზონი ტარასი. მან მონასტრის ისტორიული მნიშვნელობა დაწვრილებით გაგვაცნო და სუფრაც გაგვიშალა. ახმეტის სამონასტრო ვენახების ღვინო მოგვართვა.

— ჰო, ეს ღვინო ახმეტურია, — გვითხრა ტარასიმ, — ოდითგანვე მონასტრებს მამულები ჰქონდათ. ამ მამულებს თვითონ ბერმონაზვნები ამუშავებდნენ. შუამთის მონასტერს ვენახები ახმეტაში აქვს. ამ მონასტრის ბერმონაზვნები იმ ვენახებით ცხოვრობენ, საკმაოდ დიდი ვენახები გვეკუთვნის.

ტარასი ფრიად განათლებული ადამიანი იყო. შემდეგ ისიც გავიგეთ, რომ იგი თურმე ქართულ გაზეთებში წერილებსა წერდა ხოლმე, „ივერიის“ კორესპონდენტად ითვლებოდა.

ტარასის ძალიან გაუხარდა, რომ ჩვენ ასე გვაინტერესებდა საქართველოს სიძველეთა დათვალიერება. ჩვენ ასეთი ამბის თითქმის პირველწამომწყები ახალგაზრდები ვიყავით. ჰოდა, შემოგვთავაზა: ცხენებით გაგაცილებთო.

უარი ვუთხარით. თან დავძინეთ, რომ ჩვენ დათქმული გვაქვს, აქაურობა ფეხით შემოვიაროთ.

ერთ დღეს გავშალეთ გაზეთი „ივერია“ და ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ. შიგ ჩვენი გვარები და ჩვენი ამბავი ეწერა. წერილს ხელს აწერდა ბერმონაზონი ტარასი. იგი სწორედ იმას გვიწონებდა, რომ ჩვენ ყველა ისტორიული ძეგლის ნახვით ვიყავით დაინტერესებული და ცხენებით კი არ დავდიოდით, არამედ — ქვეითად.

კახეთში მოგზაურობის დროს დავათვალიერეთ წინანდლის საუფლისწულო მამული, ის საუკეთესოდ მოვლილი და დამუშავებული იყო, იქვე დავლიეთ 1880 წლის ღვინო. ვნახეთ ჩვენი სასიქადულო პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული. ახლა იქ პოეტის სახლმუზეუმია დაარსებული, რომელსაც ჩვენი მთავრობა დიდი ყურადღებით ეკიდება, როგორც ისტორიული კულტურის ერთ-ერთ ძვირფას საუნჯეს.

მე კახეთში კიდევ ბევრ რამეს ვნახავდი მაშინ, მაგრამ ამბავი მომივიდა, დეიდა ტერეზია, თეთრაძის მეუღლე, გარდაგეცვალაო და...

მოგზაურთა გზა ორად გაიყო. ჩემი ამხანაგები სიღნაღისაკენ წავიდნენ, მე თბილისისაკენ გამოვწიე.

•

კახეთში მოგზაურობამ საქართველოს სხვა კუთხეების დათვალიერების სურვილი აღმიძრა. მეორე და მესამე გაზაფხულს ხევსურეთს ვესტუმრე. ორივეჯერ ჩემი ბიძაშვილის, ლუკა ჯავახიშვილის დახმარებით. იგი თიანეთის მაზრის ექიმი იყო. ლუკას ამ დროს თავის ამხანაგ ექიმ ვასილ წერეთელთან ერთად ხევსურეთში წასვლა მოუხდა და მეც წამიყვანა. მაშინ პირველად ვნახე თავისებური სოფლები და თავისებურად ჩაცმული ხალხი. პირველად გავეცანი ხევსურთა წესჩვეულებებს, მათ ადათებს.

აქ თვითეული სოფელი წარმოადგენდა ძლიერ ორიგინალურ პატარა წოწოლა სახლების გროვას და მათი განლაგება ერთიანი ციხისმაგვარი შენობის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ იმ დროს შენარჩუნებული იყო

ყველგან ფარდაგის მსგავსი მოქსოვილი ტანისამოსი, რომლებშიც მრავლად იყო ჩაქსოვილი ჯვრის გამოსახულება, როგორც ამბობდნენ, ჯვაროსნული ომის გადმონაშთი.

ბარისახოში ყოფნისას პატარა მდელოზე წამოვწექით დასასვენებლად. ჩვენ ახლოს 13—14 წლის ბიჭი წამოწვა. ტალავარზე ეტყობოდა, რომ ხევსური იყო. ახალგაზრდას უშველებელი იარაღი ეკიდა — დაშნასავით გრძელი, ოღონდ უფრო მძიმე და ბრტყელი. ეს იარაღი უზარმაზარ ხანჯალს უფრო ჰგავდა. ცნობისწადილმა წამძლია და ვკითხე:

— ასე ახალგაზრდას რისთვის გჭირდება ეგეთი დიდი იარაღის ტარება?

— მაშ, როგორ?! — გაიკვირვა ბარისახოელმა ხევსურმა. — თოთხმეტი წლისა ვარ უკვე. მეც ვოქაც ვარ.

მერე უფრო დაწვრილებით გაგვიმარტა: ხევსურებს ჩვენი წესი და ადათი გვაქვსო, თემის სავალდებულო ჩვეულების თანახმად მე უკვე თემის სრულუფლებიანი წევრი ვარ და ეს იარაღი მტერთან ანგარიშის გასასწორებლად მჭირდებაო. ჩვენს ოჯახს სისხლი აქვს ასაღები და, თუ სადმე მტერს გადავეყარე, ეს სისხლი უნდა ავიღოო.

1903 წლის გაზაფხულს კვლავ ჩემს ბიძაშვილს ლუკას რომ ვეწვიე თიანეთში, თბილისიდან ამბავი მოუვიდა: ხევსურეთში საექსკურსიოდ დიდ-დიდი ხალხი მიდის და, როგორც მაზრის ექიმი, შენც უნდა გაჰყვეო.

საქმე ის არის, რომ თბილისის სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს ფეოდოროვს (ბიუხედავად ასეთი დიდი თანამდებობისა, შედარებით პროგრესულ ადამიანს) ხევსურეთის დათვალიერება მოუწადინებია. ამ საქმის მოგვარება კი სასა-

მართლოს პალატის ერთ-ერთი წევრისათვის, ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის, დაუვალებია.

ფეოდოროვი თიანეთს ოცამდე მხლებლით ეწვია. მოვიდნენ ცხენებითა და ჯორებით, თან უამრავი სანოვაგე და ვეებერთელა კარავი მოიტანეს.

ხევსურეთისაკენ მიმავალ გზას რომ უნდა დავდგომოდით, მოხუცმა თავადმა ჩოლოყაშვილმა ლუკას ჰკითხა ჩემზე:

— ესეც ხომ არ მიგყავს?

— დიახ.

— გირჩევ, არ წაიყვანო. ისეთი ვიწრო ბილიკებია, ბეწვის ხიდსა ჰგავს. შეიძლება თვალები აუჭრელდეს და სადმე ხრამში გადაიჩეხოს. ცოდვას ნუ დაიდებ!

ლუკა ჯავახიშვილი თავად ჩოლოყაშვილს ყოველთვის უჯერებდა სიტყვას. შემეშინდა, ახლაც არ დაეთანხმოს-მეთქი. რატომღაც კრინტი ვერ დავძარი და ამან უფრო შემაწუხა, თვალზე ცრემლი მომადგა .ეს შემნიშნა ჩოლოყაშვილმა და ლუკას უთხრა: წაიყვანე, წაიყვანეო.

გადავიარეთ თვალიზე, ჩარგალზე და მივედით ბარისახოში. ორიოდეჯერ შევისვენეთ და ხახმატის გავლით საღამოზე სოფელ შატილს მივადექით. ერთ სახლზე ვნახეთ სოფლის სახელწოდების წარწერა ფრანგულად „შატილიონ“, რაც ნიშნავს ციხეს.

ამ მოგზაურობისას გვახლდა მისი ერთ-ერთი მომწყობი თავადი გენო ქობულაშვილი, თელაველი მემამულე, რომელსაც თბილისში დიდი სახლი ჰქონდა (დღევანდელი სამხატვრო აკადემიის შენობა). იგი ხალისიანი კაცი იყო, თბილისში დოღი მისი თავკაცობით იმართებოდა ხოლმე. ასეთი ამბები ძა-

ლიან უყვარდა. ხევსურეთში მისი ინიციატივით სანიმუშო ფარიკაობა გამართეს.

ოციოდე კაცი ორ წყებად დადგა. ყველაფერს ამ საქმის მცოდნე მოხუცი ხელმძღვანელობდა. ყველა მოფარიკავეს ხმლის გამოყენების ოსტატობა უნდა ეჩვენებინა.

გახურდა ფარიკაობა.

მეწინავე მოხუცმა უცებ ხელი აღმართა, ერთ-ერთ მონაწილეს ხმალი ხელიდან გააგდებინა და იმ ხმალს ფეხი დაადგა.

— დიაც ყოფილხარ! — შესძახა მან.

მოხუცის თვალებმა ისე გაჰკვესეს, თითქოს ახლა ხმლის პირები იმ თვალებში შეეჯახნენო.

ფარიკაობა უმალვე შეწყდა.

სტუმრებს გაუკვირდათ, რა მოხდაო.

გამოირკვა, რომ ერთს ამ საჩვენებელი ფარიკაობის დროს მართლა დაუჭრია მოფარიკავე, წესი დაურღვევია.

ფარიკაობა აღარ განაახლეს.

ერთი მოფარიკავის ხმალზე რაღაც წარწერა შევამჩნიე და იარაღი გამოვართვი. ზედ ლათინურად ეწერა: „დეი ეტ სოლეი“ — „ღმერთისა და მზის სახელისათვის“.

შატილში ასულებმა ღამის გასათევად კარავი გავშალეთ და პურის საჭმელად მოვემზადეთ.

ვხედავთ: შორიახლოს ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ხევსური ჭაბუკი დგას და გვითვალთვალებს. ხელში თოფი უჭირავს.

— ვაჟკაცო, ეგ თოფი რად გინდა? — ჰკითხა ექსკურსიის ხელმძღვანელმა.

— სანადიროდ, — მიუგო ჭაბუკმა, — დამავალეს, სტუმრებს ნადირი მოუტანეო, ხალხი გაახალისეო. თუ პურისჭამა

ძალიან არ გეჩქარებათ, პატარა მომიცადეთ და ნანადირევს მალე მოგართმევთ.

მართლაც. პურისჭამა ჯერ დაწყებულიც არ გვქონდა, რომ იმ ყმაწვილმა მხარზე გადაკიდებული ახლად მოკლული ჯიხვი მოიტანა და კარავთან დააგდო.

სტუმრები ამან ფრიად გაახარა.

ის ჭაბუკი უცებ ჩვენს თვალში ზღაპრის გმირს დაემსგავსა.

■

ძალიან შორს ხომ არ წავედით? დავუბრუნდეთ სასწავლებელს.

მე რომ ვსწავლობდი, მაშინ ქართველი მოსწავლეები ხშირად არასახარბიელო მდგომარეობაში ვარდებოდნენ. მახსოვს, რა დღეში აგდებდა სკოლებს პირწავარდნილი მეფის მოხელე, ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი. სათავადაზნაურო სასწავლებელში, მის პანსიონში ქართულად ლაპარაკი აკრძალული იყო. შემოღებული იყო ფირფიტა. ვისაც ქართული სიტყვა წამოსცდებოდა, ამ ფირფიტას გადასცემდნენ, ხოლო ვისაც იგი ბოლოს შერჩებოდა ხელში, საუზმეს კარგავდა.

გარდა ამისა, ამ სკოლას არა ჰქონდა მინიჭებული ატესტატის მიცემის უფლება. მას მეფის მთავრობა ისე უცქეროდა, როგორც დედინაცვალი გერს.

ერთ დღეს ექვთიმე თაყაიშვილმა მე და ირეოდიონ სონღულაშვილი ცალკე გაგვიხმო:

— ასე უატესტატოდ ხომ არ დარჩებით? რამე უნდა მოვახერხოთ. ერევანში ვერ წახვალთ?

ჩვენ გავიკვირვეთ:

— ერევანში რა გვინდა?!

— იქ ვიცე-გუბერნატორად ნაკაშიძეა. მიგიწერთ. იგი გიმნაზიის მერვე კლასში მოგაწყობთ და ატესტატებს მიიღებთ. რამ ჩაგაფიქრათ? განა არ ვიცი, რომ ხელმოკლედ ხართ. ვიდრე იქ იქნებით, თვეში თითო თუმანს გამოგიგზავნით. შუა გზაზე ხომ არ შეჩერდებით, კიდევ უნდა ისწავლოთ.

იმ წუთში, ჩემთვის რომ ეკითხათ, ღმერთის ხატად ამ ადამიანს დავახატვინებდი.

როგორ ზრუნავდა იგი ყველა მოწაფეზე, განსაკუთრებით კი ირონდიონსა და ჩემზე!

სწორედ ბატონი ექვთიმეს შემწეობით მოხდა, რომ მე და ირონდიონს თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ სტიპენდია დაგვინიშნა შემდეგ. ეს ამბავი სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველ დაწესებულებას ჰქონდა მინდობილი. ადრევე მოგახსენეთ, რომ მზრუნველი კომიტეტის თავმჯდომარე იმხანად გახლდათ საბელოვანი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის, შვილი, ფრიად განათლებული საზოგადო მოღვაწე, მარიამ ორბელიანი.

ბატონმა ექვთიმემ წერილი მიგვიწერა და ჩვენც თამამად წავედით მასთან ბინაზე. გულთბილად შეგვხვდა და საქმე მოგვიგვარა.

აი ასეთი ყურადღებიანი იყო ექვთიმე თაყაიშვილი. სამაგიეროდ, როცა საქმე სწავლას ეხებოდა, იგი მკაცრი და დიდად მომთხოვნი იყო.

მეოთხე კლასიდან ბატონი ექვთიმე ლათინურ ენასაც გვასწავლიდა. მოწაფეთა უმრავლესობას ამ ენის სწავლა უძნელდებოდა, მაგრამ მასწავლებელი შეღავათს არავის აძლევ-

და: რაც უფრო ძნელად დაძლევთ ამა თუ იმ საგანს, მით უფრო კარგად დაგამახსოვრდებათო. ლათინური ენა ისეთია, ცხოვრებაში ყოველთვის გამოგადგებათო.

განსაკუთრებით მკაცრად გამოჰკითხავდა გაკვეთილებს სწორედ იმ მოწაფეებს, რომლებიც უფრო უყვარდა და რომლებისაგანაც მეტს მოელოდა. ამ მხრივ იგი იმდენად სამართლიანი იყო, რომ საყვედური არავისგან გამიგონია.

შეუძლებელია, მოვლენებს წინ არ გავუსწრო და ბატონი ექვთიმეს დიდსულოვნების დასახასიათებლად შემდგომი ამბები აქვე არ გავიხსენო.

როდესაც მენშევიკების მთავრობა საქართველოდან გაიქცა საზღვარგარეთ, მათ თან წაიღეს საქართველოს საგანძური. ეს საგანძური უპარტიო, მაგრამ უპატიოსნეს ადამიანს ექვთიმე თაყაიშვილს ჩააბარეს.

ექვთიმე თაყაიშვილთან მიმოწერის უფლება მხოლოდ ეროდიონ სონღულაშვილსა ჰქონდა. ეროდიონი თავის მასწავლებელს საზღვარგარეთ უგზავნიდა ყველა იმ წიგნს, რაც ექვთიმეს აინტერესებდა,. როგორც მეცნიერს.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით დიდი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოს დაუბრუნდა... მაგრამ არა ხელცარიელი. საქართველოს დაუბრუნდა მისი საგანძურიც. დაუბრუნდა და მერე როგორ? ამ დიდ პატრიოტსა და უსპეტაკეს ადამიანს ქართული კულტურის უძვირფასესი საუნჯე ხელუხლებლად შეუნახავს. ზოგი რამ მიუმატებია კიდეც.

მე და ეროდიონმა ბატონი ექვთიმე სამშობლოში დაბრუნებისთანავე ვინახულეთ.

გაგვახარა და თვითონაც გაიხარა.

— ბატონო ექვთიმე, ნუთუ საზღვარგარეთ არ გიჭირდათ

ცხოვრება, როგორ შესძელით, რომ განძს არაფერი დაეკელით?! — ვკითხეთ ჩვენ.

— მიჭირდა კი არა, მეტიც... მაგრამ ეს სიმდიდრე ხომ ჩემი არ იყო, იგი ერს ეკუთვნოდა და მე რა უფლება მქონდა... ეს განძი ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში დააგროვა და ათას ქარცეცხლში გამოატარა... ჩვენ ამ განძს კი არ უნდა დავაკლოთ, უნდა მივუმატოთ... პარიზში რამდენიმე მნიშვნელოვან ქართულ საუნჯეს წავაწყდი, შემეშინდა, არ დაიკარგოს-მეთქი, წვითა და დაგვით შევიძინე და... ამიერიდან, იმედია, აღარ დაიკარგება.

ასეთ ადამიანებს სიკვდილი არ უწერიათ, ბატონ ექვთიმეს მე ყოველთვის ცოცხლად ვიგონებ.

მე, როგორც ექიმმა, ბატონ ექვთიმეს ჯანმრთელობა მოვიკითხე. გამოირკვა, რომ მკურნალობა სჭირდებოდა. ამისათვის მივაკითხე ცნობილ აკადემიკოსს, თერაპევტს, აწ განსვენებულ ნიკოლოზ ანდრიას ძე ყიფშიძეს, რომელმაც ინახულა ექვთიმე და შემდეგში მუდმივად მკურნალობდა კიდეც მას.

ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება მიანიჭეს. ეს ამბავი მან თავის დღეობას დაუკავშირა და წვეულება გადაიხადა. მიწვეული ჰყავდა თითქმის ყველა დარგის აკადემიკოსები, მიგვიწვია მე და ირეოდიონ სონღულაშვილიც. როცა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის სადღეგრძელო შესვეს, ექვთიმე თაყაიშვილმა ღიმილით გაიხსენა მისი ყოფილი მოწაფის ბავშვობა და მეტად კმაყოფილი იყო მისი ასეთი დიდი წარმატებებით.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით ატესტატების მისაღებად მე

და ირეოდიონ სონღულაშვილი იძულებული გავხდით ერევანში წავსულიყავით. ექვთიმე თაყაიშვილის ამაგი დაფასდა, ჩვენ ატესტატები მივიღეთ.

•

დაუდგრომელია ახალგაზრდა კაცის გული.

იმ დროს ქართველი ახალგაზრდობის უმეტესობა ნოვოროსიის უნივერსიტეტს (ახლანდელი ოდესის უნივერსიტეტს) ეტანებოდა.

მეც ეს გზა მეძახდა, შორეული გზა, ჭაბუკური ოცნებებით და იმედებით სავსე გზა.

მე და ირეოდიონ სონღულაშვილი ამ გრძელ გზასაც ერთად დავადექით.

ჩვენს გზას გამოჰყვა შალვა მესხიშვილიც.

დედამისს ჩემი ოდესაში წასვლის განზრახვა შეუტყვია და შვილი მე ჩამაბარა: უფროსი ხარ და ყური უგდეო.

ოდესაში ჩასვლისთანავე, უპირველეს ყოვლისა, ქალაქი დავათვალიერეთ.

ქუჩები მოკირწყლული იყო საგანგებო ქვით, ირგვლივ ყველაფერი საკმაოდ კეთილმოწყობილად გამოიყურებოდა. შაღლობზე გაშენებული ქალაქიდან ზღვა ლამაზად ჩანდა.

ჩვენ ადრევე გვქონდა გაგებული, ოდესაში არის მთელ რუსეთში საუკეთესო საოპერო თეატრიო.

აბა, გული როგორ მოგვითმენდა, რომ ესეც არ გვენახა.

მოგვხიბლა ოდესის მშვენიერმა ბულვარმა.

მაგრამ ჩვენ იქ სილამაზის საყურებლად როდი ჩავედით.

მე შევედი სამედიცინო ფაკულტეტზე, ირეოდიონი — საბუ-

ნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ხოლო შალვა მესხიშვილი — იურიდიულზე.

საცხოვრებლად ჩვენ ერთ სახლში დავბინავდით. მე და შალვამ ოთახიც კი ერთი ვიქირავეთ. მე მუდამ მახსოვდა დედამისის დანაბარები, შვილს შენ გაბარებო და ეს ნდობა მავალდებულებდა, შალვასთვის ყური მეგდო.

მაგრამ მალე ჩვენი ერთად ყოფნის საწინააღმდეგო ბიზეზები გაჩნდა.

ჩემი დაკვირვებით, საქმე ის იყო, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები მხოლოდ სახელმოხვეჭილი პროფესორების ლექციებს ესწრებოდნენ, სხვებისას კი ხშირად აცდენდნენ და ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ. რა თქმა უნდა, შალვაც ასე იქცეოდა. თავისუფალ დროს ბილიარდისა და ქალალდის თამაშს ანდომებდა და თვალი ახალგაზრდა სტუდენტ ქალებისკენაც გაურბოდა ხოლმე.

ჩემი ყველა დღე კი თავიდანვე საოცრად დაიტვირთა. ყოველდღე უნდა მევლო ლექციებზე, პრაქტიკული მეცადინეობაც არ უნდა გამეცდინა. ფუჭად დასახარჯავი დრო სადა მქონდა?!

ჩვენ შორის რეჟიმის სხვადასხვაობა ჩადგა.

დაღლილ-დაქანცული დაღამებისთანავე ვიძინებდი, გასართობებით გაბრუებული შალვა კი შინ შუაღამისას ბრუნდებოდა. დარეკავდა ზარს, ზეზე წამომაგდებდა, ძილს დამიფრთხობდა.

დილის ცხრა საათზე მე ლექციებზე გავრბოდი, შალვას კი ორ საათამდე ეძინა.

მერე კი შუაღამისას კვლავ რეკავდა ზარი.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

ერთხელ შევბედე და საყვედური ვუთხარი.

ჩემი დიდი ხათრი ჰქონდა, უმალვე იგრძნო დანაშაული და ბოდიშიც მომიხადა, ამიერიდან ძილს აღარ დაგიფრთხობო.

იმ დღიდან ზარს მორიდებით რეკავდა. მაგრამ ზარი ზარია და მაინც მეღვიძებოდა. თუ არ გამეღვიძებოდა, შალვას კარს ვინ გაუღებდა?

— მოდი, ნუ დაკეტავ კარს! — მთხოვა შალვამ. — მოსაპარავი მაინც არაფერი გვაქვს.

დავიწყე კარის ღიად დატოვება. შალვა ზარს უკვე აღარ რეკავდა. შინ ისე შემოდიოდა, ვერ ვიგებდი. მაგრამ ოთახში სიბნელე იყო და იგი იძულებული ხდებოდა სინათლე აენთო. მძინარე კაცს რომ სინათლე დააშუქებს უცებ, შეუძლებელია, მაშინვე არ გაეღვიძოს.

ბოლოს შალვამ სინათლის ანთებაზეც აიღო ხელი. ღია კარში ფეხაკრეფით შემოიპარებოდა, კარის ზღურბლთან ფეხსაცმელებს იხდიდა, მერე ტანსაცმელსაც რიგრიგობით იხდიდა და გზადაგზა ყრიდა. ამას დილით რომ ვხედავდი, გულში მეცინებოდა.

ანე ვიცხოვრეთ ერთ წელიწადზე მეტხანს. შალვა ლექციებს კვლავ აცდენდა, მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კი აქტიურად მონაწილეობდა. ამ ხანებში დავიდარაბაც ბევრი შეხვდა.

ერთ დღეს მეუბნება:

— დიმიტრი, მე სხვაგან უნდა გადავიდე საცხოვრებლად.

— რატომ? გეხათრება? მე შენი შინ გვიან მოსვლა აღარ მაწუხებს.

— მე თვითონ ვგრძნობ თავს უხერხულად... შენ ღამით მოსვენება გინდა. გადავალ, ასე აჯობებს.

ვეხვეწე, დარჩი-მეთქი. რაკი წამოსცდა, სიტყვა აღარ გადათქვა.

შალვა წავიდა, მაგრამ ჩვენი გზები როდი გაიყარა. შემდგომ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.

კიდევ უფრო განმტკიცდა ჩემი და იროდიონ სონღულაშვილის მეგობრობა ოდესაში. ჩვენ იქ მუდამ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარენი ვიყავით.

იროდიონი ბავშვივით გულუბრყვილო იყო მუდამ, მის საზრიან თვალებში მხოლოდ სიკეთე კიაფობდა. ეს ხმელ-ხმელი და ტანადი ვაჟკაცი უსაქმოდ არასოდეს მინახავს. მაგრამ თავის სიცოცხლეში ერთხელ არსად წამოსცდენია, მე ესა და ეს კეთილი საქმე გავაკეთეო. მას თავისი სახელის განდიდებაზე არასოდეს არ უფიქრია. პატიოსნებით ხომ ცასა სწვდებოდა. მისი ღმერთი სამართლიანობა იყო. საზოგადოებრივი საქმისადმი ისეთ ერთგულებას იჩენდა ხოლმე, ზოგჯერ მისი საქციელი ანეკდოტურიც კი ხდებოდა.

ჩვენ ერთნაირ პირობებში ვიყავით, ერთნაირი სტიპენდია გვქონდა და შალვა მესხიშვილის ჩემი ოთახიდან გადასვლის შემდეგ მე და იროდიონი ერთ ოთახშიც კი ვცხოვრობდით. ჰოდა, ასე რომ ვართ, ერთხელ პეტერბურგიდან თბილისელი სტუდენტი ჩამოვიდა ოდესაში. იმ სტუდენტმა მაცნობა: ამა და ამ დროს პეტერბურგში რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების კონფერენცია უნდა შედგეს და შენ დელეგატად ხარ არჩეულიო. ეს, რა თქმა უნდა, მესიამოვნა. მერე იმ სტუდენტმა სათხოვარიც შემომაპარა: შინ დასაბრუნებლად ფული აღარ მყოფნის და იქნებ მასესხო. სტიპენდია ახალი მიღებული მქონდა და ოცი მანეთი ვასესხე.

სტუდენტს გასაყოფი ლუკმა, აბა, სადა აქვს. მალე მე თვითონ დავრჩი უფულოდ.

ამ დროს ირეოდიონი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მოლარე იყო, ფული შინ ჰქონდა და ვთხოვე, ხუთი მანეთი მასესხე-მეთქი. ვერ გასესხებო, ეს ფული სულ სხვა დანიშნულების არის და ხელს ვერ ვახლებო.

მაშინ ცოტა კი დამწყდა გული, მაგრამ ახლა ვამართლებ ირეოდიონს. საზოგადოებრივ მოვალეობას ყველა ასე მტკიცედ რომ ასრულებდეს ყოველგვარ პირობებში, ყოველ წვრილმანში, ამას რა ჯობია!

ასეთი ბუნება ჰქონდა ირეოდიონ სონღულაშვილს და ეს ბუნება-ხასიათი მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნა, რამაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთებინა ქვეყნისათვის. იგი მართლაც რომ ღირსეული მოწაფე იყო ექვთიმე თაყაიშვილისა.

ზოგჯერ ცხოვრების პატარ-პატარა წვრილმანები მომავალი თაობებისათვის თავისებურ მნიშვნელობას იძენენ, ამიტომ მინდა ოდესაში გატარებულ იმ დღეთაგან ზოგიერთი რამ მოვიგონო.

ერთი ოთახის ქირად თუმანს გვახდევინებდნენ.

სმა-ჭამა შედარებით იაფი იყო. ოდესას არც ხორცი აკლდა, არც სხვადასხვა ხარისხის თევზეული.

ოდესა ინტერნაციონალური ქალაქი იყო. ყველა ეროვნების კაცს შეეძლო დუქანი გაეხსნა და თავისუფლად ევაჭრა. მდიდრებს სავაჭრო ბირჟა ჰქონდათ. ვაჭრების ოჯახებისა და სხვა შეძლებული ინტელიგენციისაგან საქველმოქმედო ხასიათის ეგრეთ წოდებული სამზრუნველო კომიტეტი შედგა. ჩვენს სტუდენტურ სასადილოს სწორედ ეს კომიტეტი მზრუნვე-

ლობდა. ეს სასადილო საკმაოდ დიდ და კარგ დარბაზში იყო მოთავსებული. იქ გაშლილი იყო გრძელი სუფრა. სასადილოდ შევდიოდით ორიდან ხუთ საათამდე. პური უფასოდ გვეძლეოდა. შაქრიანი ჩაი ორი კაპიკი ღირდა. წვნიანში ხუთ კაპიკს ვიხდიდით, ერთ მათლაფა „გრეჩიხაში“ სამ კაპიკს, ამდენივე ღირდა ჭიქა რძე. ასე რომ, სტუდენტს შეეძლო ორიოდე შაურით ესადილა.

ვახშამს უკვე შინ შევექცეოდით. გირვანქა შაქარი თხუთმეტი კაპიკი ღირდა, თეთრი პური — სამი კაპიკი, ძეხვი — ოცი კაპიკი, ამდენივე ღირდა გირვანქა ხალვა (სხვათა შორის, ოდესაში მაშინ პირველხარისხოვანი ხალვა მზადდებოდა). ყველაზე იაფი იყო ყველი „ბრინზა“.

ოთახის პატრონი ჩაისათვის წყალს გვიდუღებდა, სხვა სამსახურსაც გვიწევდა, ოთახს გვითბობდა და გვინათებდა.

სრულიად გაჭირვებული სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი არსებობდა.

უნივერსიტეტში სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა სათვისტომოები არსებობდა. იყო წრეებიც ქართველთა, სომეხთა, უკრაინელთა და სხვათა.

სამედიცინო ფაკულტეტზე ლექციებზე სტუდენტთა დასწრება სავალდებულო იყო. ამას თვალყურს ადევნებდა საგანგებოდ გამოყოფილი ადამიანი, რომელსაც „პედელს“ ვეძახდით.

ოდესაში იმ დროს უცნაური ამბები ხდებოდა. ერთხელ გაზეთში საოცარი თვითმკვლელობის ამბავი ამოვიკითხე. თეატრში საიდანღაც ჩამოსულმა ნიჭიერმა მევიოლინემ კონცერტი გამართა. უამრავი ხალხი დაესწრო. კონცერტი დამთავრდა. საზოგადოება თეატრიდან დაიძრა და... რას ხედა-

ვენ? კართან გდია ამ კონცერტის ერთი მსმენელი ახალგაზრდა. მას რევოლვერით თავი მოუკლავს და იქვე პატარა ბარათი დაუგდია. ამიერიდან სიცოცხლე აღარ მინდა, ვინაიდან ამგვარი სიამოვნება ჩემთვის აღარასოდეს გამეორდებაო.

მახსოვს მეორე უცნაური თვითმკვლელობაც.

ოდესაში ერთი ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე ცხოვრობდა. მას ჰყავდა უფროსი და. და კუზიანი იყო. ამ ინჟინერმა თავისი და მოკლა და თვითონაც მოიკლა თავი. მან დატოვა ბარათი. მე ძლიერ განვიცდიდი ჩემი დის ავადმყოფობას, მის ფიზიკურ სიმახინჯეს, ვგრძნობდი, ჩემი დის განკურნება შეუძლებელი იყო, ამ სატანჯველს ვეღარ გაეუძელ და ყველაფერი ეს ამიტომ ჩავიდინეო.

ჩვენს წრეში ზოგი ამართლებდა მას, ზოგიც სულელსა და გიჟს ეძახდა.

ერთი უცნაურობა ისიც იყო, რომ ერთი ხანობა მთელი ქალაქი, მეტადრე ახალგაზრდობა, არაყში იხრჩობდა თავს.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ფინანსთა მინისტრად იმ დროს საკმაოდ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ვიტე გახლდათ. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეს კაცი შეგნებულად ცდილობდა, ხალხს ბევრი ჰქონოდა არაყი და ამავე დროს იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა მყიდველისათვის. ამისათვის ასეთ ხერხს მიმართავდნენ: არყის ჭურჭელს თითქმის ყველა ზომისას უშვებდნენ. მაგალითად: „მერზავჩიკ“ ყველაზე მცირე ზომის ჭურჭელი იყო, დაახლოებით ერთი ჩაის ჭიქის ტოლა. მერე ჭურჭელი თანდათან იზრდებოდა.

არყის წერტები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა სმის მადაზე მოსული მუშტარი, რომელი ზომის ჭურჭელზეც ხელი მიუწვდებოდა, იმით იყიდდა არაყს, გავიდოდა გარეთ,

იქვე მოაძრობდა საცობს და გადაჰკრავდა. ზოგჯერ აზარტში შესული მეორეჯ და მესამედ შეეიდოდა, ზეზეულად მოთავ-დებოდა და იქვე, საღმე მიიძინებდა. მაგრამ ვაი იმას, ვისაც ყინვაში მოუწევდა ამგვარი ძილი...

ისე რომ, ვიტე ხელს უწყობდა ხალხის გალოთებას და გაუბედურებას, მას მხოლოდ შემოსავალი აინტერესებდა, ხალხის ჯანმრთელობა არ ენაღვლებოდა. ამიტომაც ზოგიერთ-ნა დეპუტატმა სახელმწიფო სათათბიროში საყვედურები გა-ითქვა ვიტეს მიმართ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ორიოდე სიტყვით უნდა დავახა-სიათოთ, რა იყო სათათბირო. იგი შედგებოდა ბურჟუაზიულ-რეაქციულ წარმომადგენლებისაგან და ხალხს სასიკეთოს არაფერს უქადდა. ოდესაში ერთ-ერთმა სოციალ-დემოკრატ-მა ასე მონათლა სათათბირო: «Либеральный недоносок буржуазии».

ოდესამ და სტუდენტობამ ერთი საინტერესო ამბავი გა-ახსენა. ოდესის ქალაქის თავი გვარად ზელიონი იყო. სწო-რედ ამ ხანებში ცირკის ასპარეზზე უკვე დიდი სახელი ჰქონ-და მოხვეჭილი დუროვს. ერთ-ერთი საცირკო წარმოდგენის დროს, რომელსაც მეც ვესწრებოდი, დუროვმა დაუძახა მსა-ხიობს: ახლა ზელიონი შემოიყვანეთო. გავიხედეთ და რას ვხედავთ, მწვანედ შეღებილი ვეებერთელა ღორი მოჰყავთ... იფეთქა ტაშმა, ხმაურისაგან და სიცილისაგან ლამის დარბაზი დაიქცა.

მეორე დღეს ქვეყანამ იცოდა, რომ დუროვი დაიჭირეს და რამდენიმე დღით ციხეში მოათავსეს. იმას ცირკის ხუმარაც მიაყოლეს, რადგან დუროვზე ნაკლები ამბავი იმ საღამოს

ერც მას ჩაუდენია. ერთ-ერთ ხუმარას ხელში ვერცხლის მანეთიანი ეჭირა და ვითომ გატეხვას ცდილობდა. მივიდა მასთან მეორე ხუმარა და ეუბნება, რას აკეთებო. რას ვაკეთებ და ვერცხლის მანეთიანი უნდა გავტეხოო. იმ ხუმარამ ხელი ჩაიქნია და ხმამაღლა ჩაილაპარაკა, გაანებე თავი მაგ სულელის გატეხვასო. ასეთი მოქმედება პოლიციამ იმპერატორის შეურაცხყოფად ჩათვალა, რადგან ვერცხლის მანეთიანზე ნიკოლოზ მეფის სურათი იყო გამოსახული და, როგორც გითხარით, ის ხუმარაც დუროვს მიაყოლეს...

ოდესაში ჩემი სტუდენტობის წლები რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებს დაემთხვა. იქ მშვიდი ცხოვრება თითქმის არცა მღირსებია.

1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომი რომ დაიწყო, იმხანად სტუდენტობას სულ იმ ომის ამბები ეკერა ენაზე. ყველა დეპეშასა და ახალ ცნობას დიდი ინტერესით ვუსმენდით. პროგრესულად განწყობილ სტუდენტობას გულით ეწადა, რომ რუსეთი დამარცხებულიყო. მეფის მთავრობა თავისი წყობილების უვარგისობაში დარწმუნდება და რაიმე ცვლილებები მოხდებაო, ძველი რეჟიმი შეიცვლებაო.

ამ თვალსაზრისზე ვიდექით ქართველი სტუდენტებიც.

დამთავრდა რუსეთ-იაპონიის ომი. ამ ომში თვითმპყრობელური რუსეთი სამარცხვინოდ დამარცხდა. დაიდო საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა ბევრი რამ წააგო. მთავარი მაინც ის იყო, რომ ხალხი ააღელვა. დაიძრა უკმაყოფილების ტალღები და იგი მთელ ქვეყანას მოედო.

ჩახმახზე დადგნენ შავრაზმელებიც. ისინი ცდილობდნენ უკმაყოფილების ყველა ტალღა მოესპოთ, ხიშტებით დაეხიათ ყველა უკმაყოფილო ადამიანის გული. რატომღაც ებრაელთა ხოცვა-ჟლეტაც გააჩაღეს.

ოდესა მაშინ ფაქტიურად ებრაელთა ქალაქად იყო მიჩნეული, მისი მოსახლეობის ოთხმოცდ პროცენტს ებრაელობა შეადგენდა.

და, აი, ერთ ღამეს მთელი ოდესა აზრიალდა. ებრაელთა ანრანახული ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ეს ამბავი სამი დღე-ღამე გრძელდებოდა. ამან ინტელიგენციასა და სტუდენტობაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ებრაელების დასაცავად დარაზმულმა სტუდენტობამ მიტინგი მოაწყო.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის პროფესორ შჩეპკინის თანამონაწილეობით ჩვენ ვიშოვეთ იარაღი და შავრაზმელებს შევებრძოლეთ. ხშირად ხელჩართული ბრძოლებიც კი იმართებოდა. ჩვენ ვიპერდით შავრაზმელებს და უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ერთ-ერთ შენობაში ვამწყვდევდით.

სამ დღე-ღამეს ქალაქს ოფიციალური პატრონი არ ჰყავდა. ხოცვა-ჟლეტის ბევრი აქტიური მონაწილე გადაცმული დაიარებოდა. მთელი საკვადმყოფოები დაჭრილებითა და დახარალებულებით გაივსო. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, იმ სამი დღე-ღამის განმავლობაში ათი ათასზე მეტი ადამიანი დაიჭრა და მოკვდა, რა თქმა უნდა, უმრავლესობა ებრაელი.

შემდეგ ქუჩებში იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის გენერალ კაულბარსის ხელის მოწერით გამოაკრეს განცხადება: ვისაც იარაღს უპახავენ, ყველა სასტიკად დაისჯებაო.

ქალაქში სამხედრო წესები შემოიღეს. ხოცვა-ჟლეტა შეწყდა. მახსოვს, ებრაელებს რა აქტიურად ვიცავდით მე, შალვა მესხიშვილი და ირეოდიონ სონღულაშვილი. პროგრესულად განწყობილ პროფესორებს მხარში ედგნენ ქართული ინტე-

ლიკვენციის წარმომადგენელნი, შესანიშნავი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი (შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და პროფესორი იასონ მოსეშვილი.

შავრაზმელებთან ბრძოლაში ჩვენგან ორი ქართველი დაიღუპა: სტუდენტი ზაქათალელი ბაირამოვი (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო) და საბა კლდიაშვილი (რომელიც უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში უფროს ლაბორანტად მუშაობდა).

საბა კლდიაშვილი საქართველოში გადაასვენეს. მახსოვს, მის გასაცილებლად უამრავი ხალხი მოვიდა. ასეთი დიდი პროცესია მე არასდროს მენახა.

აღსანიშნავია, რომ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორთა მეტი წილი რეაქციას უჭერდა მხარს. ლექტორთა და პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტთა შორის წინააღმდეგობა გამწვავდა. ზოგიერთი მემარჯვენე პროფესორი მათი წოდებისა და მეცნიერული დონისათვის შეუფერებელ პოლიტიკას ადგა. ერთ-ერთი პროფესორი მოუწოდებდა დანარჩენებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ სტუდენტებისათვის და, მართლაც, პროფესორებმა უარი თქვეს ლექციების წაკითხვაზე.

როგორც იტყვიან, აირია მონასტერი და უნივერსიტეტი დაიკეტა.

ვინაიდან სწავლა შეწყდა, ოდესაში ქართველებს რა უნდა გაგვეკეთებინა? მე და შალვა მესხიშვილმა დავკარით ფეხი და საქართველოსკენ გამოვწიეთ.

ოდესიდან ბათუმში ზღვით მოგზაურობისას ერთი უცნაუ-

რობის მოწმე გავხდი. გემი, რომლითაც მე ვმოგზაურობდი, პირველხარისხოვანი იყო. კაპიტანმა ის იყო გეზი სევასტოპოლისკენ აიღო, რომ უეცრად ზღვამ ფერი იცვალა და ამას დიდი ღელვაც მოჰყვა. ზღვის შორეულ ჰორიზონტზე ტალღები მთებად აიზნიქებოდნენ ხოლმე. მგზავრების მეტი წილი გემბანზე ვიდექით. უცებ შევნიშნეთ, რომ ვეებერთელა ტალღა ააგდებს პატარა შავი ფერის წერტილს და ისევ ჩამოაგდებს. ვერავინ მიმხვდარიყო რას წარმოადგენდა ეს წერტილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ წერტილს მიუახლოვდა ბათუმიდან მომავალი დიდი სამგზავრო გემი და მის ირგვლივ დაიწყო ტრიალი, მაგრამ ეს წერტილი გემს ახლოს არ გაეკარა.

ყველას გაგვიკვირდა, ვერ გაგვეგო რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. ჩვენი ცნობისმოყვარეობა ერთ-ერთმა გამოცდილმა ბეზღვაურმა დააკმაყოფილა, აგვიხსნა რაც ხდებოდა. ის შავი წერტილი მეთევზის ნავი გაბლავთო. ის მეთევზე უარყოფს დიდი გემის დახმარებასო. რატომაო, ვკითხეთ გაოცებულებმა.

— თუ მეთევზე დახმარებაზე დაყაბულდება, — გვითხრა მან, — მაშინ მას, წესის მიხედვით, ოდესაში წაიყვანს. გემის კაპიტანი ვალდებულია ოდესის პოლიციას განუცხადოს, მეთევზე განსაცდელისგან ვიხსენიო. მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი. პოლიციაში უნდა შეადგინონ ოქმი, რომ ესა და ეს მეთევზე აყვანილ იქნა გემზე. მეორე დღეს დაიბარებენ ოქმის ასლის მისაღებად, ისე რომ მან დიდი დრო უნდა დაჰკარგოს. ახლა უკან დაბრუნებას ორი დღე-ღამე ხომ მაინც სჭირდება. ამიტომ გაურბის გემის დახმარებას და ცდილობს როგორმე უშველოს თავს.

*

ნოემბრის მიწურულს ქუთაისში ჩავედი. აქ 1905 წლის რევოლუციის ტალღას გადაევლო და უამრავი რამ შეეცვალა. იმხანად თითქოს ქალაქში მთავრობის დაწესებულებები აღარც არსებობდა. ქუთაისის გუბერნიას სათავეში ედგა სტაროსელსკი. იგი ცნობილი იყო, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. სპეციალობით აგრონომი გუბერნატორად დანიშვნამდე საქარის სასოფლო-სამეურნეო სანერგეს განაგებდა. ვიცე-გუბერნატორად ცნობილი პუბლიცისტი და ისტორიკოსი ალექსანდრე ყიფშიძე მუშაობდა. ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს მოეყარა აქ თავი. აქ იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმდევრები და მოთავეები: ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ექიმი ვანო გომართელი, პეტრე და სერგო ქავთარაძეები, ძმები გობეჩიები, მიხაკო წერეთელი, გოგელია და სხვები.

აქვე ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს აღვნიშნო დიდი სიამოვნებით, რომ ამჟამად ღრმადმოხუცებული დიდად პატივცემული სერგო ქავთარაძე, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო, დღესაც დღეგრძელობს.

ყველა ცდილობდა ქუთაისის გუბერნიაში თავისებურად ახალი წესრიგი დაემყარებინა. თითქმის ყოველდღე საჯარო კამათი, მიტინგი და შეხლა-შემოხლა იმართებოდა. ქალაქში სახელმწიფო სასამართლოები ფაქტიურად გაუქმებული იყო და მის მაგივრობას სახალხო სასამართლოები სწევდა.

სტაროსელსკი ცდილობდა, ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციას უსისხლოდ ჩაევლო. თითქმის ყოველდღე ვიკრიბებო-

დით მასთან და იგი გვაცნობდა, რაც იმ დროს საქართველოში ‹დებოდა. ქუთაისის ამბებს ხომ სულ არ გვიმალავდა.

ერთხელ გვითხრა, რიონს გაღმა კაზაკთა რაზმია, ხაპიორთა პოლკი დაბანაკებული, ადგილობრივ მოსახლეობაში მდგომარეობა გაუმწვავებულია და ვაითუ იმ რაზმმა რაიმე ხულიგნობა ჩაიდინოს და მდგომარეობა უფრო გააუმწვავოსო. მოგვიწოდა, თავდაცვისათვის ბარიკადები ააგეთო.

ასეც მოვიქეცით, მაგრამ შიში არ გამართლდა.

შემდეგ, სტაროსელსკისთან რომ შევიკრიბეთ, მდგომარეობა გაგვაცნო და ბოლოს დასძინა:

— კიდევ კარგი, მდგომარეობა არ გამწვავდა, თორემ ვერ გადავრჩებოდით. თქვენი ბარიკადები ისე უწესრიგოდ იყო გაკეთებული, რაიმე რომ მომხდარიყო, მოწინააღმდეგე მას თავის სასარგებლოდ უფრო გამოიყენებდა.

მერმე გვასწავლა:

— შვეიცარიიდან არალეგალურად „ისკრა“ და „რევოლუციონნაია როსია“ მოდის, გირჩევთ წაიკითხოთ, იქ აღწერილია, კარგი ბარიკადები როგორ აიგოს.

მალე გავიგეთ, რომ რევოლუციას ფრთები დააჭრეს და სამაგიეროდ შავბნელმა რეაქციამ გაშალა მხრები.

რეაქცია ჩვენშიც ბობოქრობდა. ხშირი იყო ეგზეკუციები, დაჭერა-გადასახლებები. მახსოვს, რეაქციით ისარგებლა მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ნიკო სულხანიშვილმა. თავის მშობლიურ სოფელში ეგზეკუციის ჩაყენება მოითხოვა, ყაზახების სამხედრო ნაწილი გამოითხოვა და მისი მოწინააღმდეგე რამდენიმე კაცი მოაკვლევინა. ნიკო სულხანიშვილის ეს სამარცხვინო საქციელი პროგრესულმა

სტუდენტობამ დაგმო, მას ბოიკოტი გამოუცხადეს და იძულებული გახადეს რუსეთში გადაკარგულიყო.

ქუთაისისკენ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით დამსჯელი ექსპედიცია გამოემგზავრა. იგი გზადაგზა სწვავდა სოფლებს და მოსახლეობას ანადგურებდა. გუბერნატორი სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე უკვე თავთავიანთ ადგილზე აღარ იყვნენ. შეიქმნა სავალალო მდგომარეობა. ერთსულოვანი რევოლუციური განწყობილება არც მანამდე სუფევდა და რევოლუციური ჯგუფები ახლა კიდეე უფრო დაიქსაქსნენ.

მე და შალვა მესხიშვილმა თბილისში წასვლა გადავწყვიტეთ. დეკემბრის მიწურულში ავიკარით გუდა-ნაბადი და...

სად მიხვალ? რკინიგზელები გაფიცულან თურმე.

იქით ვეცით, აქეთ ვეცით, ერთი ნაცნობი მემანქანე ვიპოვეთ, ორთქლმავალში ჩაგვსვა და თბილისში გამურულები ჩავედით.

თბილისი კვლავ ღელავდა. აქ რევოლუციური ტალღა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. თითქმის ყველა უბანში კრებები და მიტინგები იმართებოდა.

1905 წლის აპრილი. ეს ის პერიოდია, როცა პარტიები ეწევიან პროპაგანდას და აგიტაციას მეფის ჩამოსაგდებად. იყო მითითება, რომ ახალგაზრდები სოფელ კუმისში გაეგზავნათ მიტინგის გასამართავად, საერთო რევოლუციური აგიტაციისათვის. ნესტორ კლიმიაშვილი, შალვა ამირეჯიბი, დოთიკო როსტომაშვილი და მე — აი, ვინ უნდა წავსულიყავით კუმისში. ყველანი სტუდენტები გახლდით.

დავალებული გვქონდა კუმისსა და სხვა ახლომახლო სოფლებში კვირა დღეს ჩაგვეტარებინა მიტინგი.

კონსპირაციისათვის ნესტორ კლიმიაშვილს ოთხი ფარაჯა ეშოვნა. ჩავიცვით ის ფარაჯები და საღამოს ექვს საათზე თბილისიდან კუმისისაკენ გავწიეთ. ღამე გავათიეთ მინდორში, სოფელ შინდისის მახლობლად. ციოდა. აპრილის სუსხი იდგა. ყველა ერთად დავწექით და ერთმანეთს ვეხუტებოდით.

კვირა დილით ადრიან ჩავედით კუმისში. ხალხი უკვე შეგროვილიყო. მიტინგი შალვა ამირეჯიბმა გახსნა და ხალხს მოუწოდა, მეფის რუსეთი უნდა დავამხოთო. ბევრი შეკითხვა ბოგვცეს, მათ შორის ერთი ხანში შესული მოხუცის შეკითხვა დამამახსოვრდა; თქვენ გვეუბნებით, რუსეთის მეფე ჩამოვაგდოთო, მერედა ვისი ზეწარი უნდა გადაეფაროს საქართველოს ხალხსა? თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ ბაგრატოვანთა გვარისა? ამაზე შალვა ამირეჯიბმა უპასუხა: მეფე კი უნდა ჩამოვაგდოთ, მაგრამ ბაგრატოვანთა გვარის აღდგენა არ დაგვჭირდებაო.

შალვას პასუხი ხალხს ძალიან მოეწონა.

*

მოვიდა 1906 წელი. იანვრის ერთი დღე ყუმბარის გასროლამ შეაზანზარა. მერე მთელ საქართველოში გავარდა ხმა:

— არსენა ჯორჯიაშვილმა მეფის რუსეთის სატრაპი, გენერალ-გუბერნატორი გრიაზნოვი ჩააძაღლა!

ამან დიდი რეპრესიები გამოიწვია, თბილისში სამხედრო წესები შემოიღეს. ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა.

სწორედ იმ წელს ბელგიის ანონიმურმა საზოგადოებამ მამადავითზე ფუნიკულიორის მშენებლობა დაასრულა. ამან თავისებური აჟიოტაჟი გამოიწვია.

ეს წელიწადი საოცრად არეული იყო ჩემთვის. ჯან სად მიხდებოდა ყოფნა და ხან სად. მართალია, უპარტიო ვიყავი, მაგრამ რევოლუციონერებთან კავშირი არასოდეს არ გამიწყვეტია. ისინი მე მენდობოდნენ და ზოგჯერ საპასუხისმგებლო საიდუმლო ამბავსაც კი მიმჟღავნებდნენ.

მაგალითად, ადრევე გამანდეს, რომ ქუთაისში იმ შეჩვენებული ალიხანოვ-ავარსკისათვის უნდა ესროლათ. ამასთან დაკავშირებით ქუთაისში წინასწარაც კი გამაგზავნეს. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის, მართლაც, ესროლეს ყუმბარა, მაგრამ, სამწუხაროდ, გენერალი გადარჩა, ქუთაისში კი თბილისის ქუჩას ცეცხლი წაუკიდეს და მისი ნაწილი გადაწვეს.

თბილისში სტუდენტ ლენკო ხერხეულიძეს პოლიცმეისტერ მარტინოვისათვის უნდა ესროლა ყუმბარა. ამასთან დაკავშირებით მე ლენკოს ნახვა დამავალეს. ივნისი იყო. ამ დროს იგი სოფელ ერგნეთში ცხოვრობდა. ეს სოფელი ლიახვის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ჯერ ძევერაში ჩავედი და ლენკოს იქიდან მივაკითხე. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, რუსულად მომაძახა: ამას ვის ვხედავო. მთელი დღე ოხუნჯობდა. თეთრი ბალი იყო მწიფე მაშინ, ბავშვებივით ავედით ზედ და გემრიელად შევექეცით.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი მხიარული შეხვედრა უკანასკნელი გამოდგა.

ლენკო ხერხეულიძემ პოლიცმეისტერ მარტინოვს ყუმბარა მართლაც ესროლა, მაგრამ მარტინოვი გადარჩა, თვითონ ლენკო კი დაიღუპა.

თბილისში ზაფხულობით შევივლიდი ხოლმე ოქრო ჯავახიშვილის სიძის, დიმიტრი გურგენიძის ოჯახში. ჩემი სტუდენტობის ხანაში დიმიტრი ობსერვატორიაში მუშაობდა

დამკვირვებლად. იმ პერიოდში ობსერვატორიაში დამკვირვებლად მუშაობდა ი. ბ. სტალინი. იგი 1906 წელს რამდენჯერმე შემხვედრია დიმიტრი გურგენიძის ოჯახში.

ერთხელ დიმიტრის ოჯახში რომ ვარ, მოვიდა სტალინი. ხან მოიტანა ერთი ბოთლი სამშაურიანი დაბეჭდილი კახური ღვინო, კიტრი, პამიდორი და პური. აბა, მოდით და პური ვჭამოთო.

ეს 1906 წლის აგვისტოში მოხდა. მახსოვს, ძალიან ცხელი დღე იყო. სტალინს იმ ოჯახში შემდეგაც ვხვდებოდი ხოლმე და ისიც ვიცოდი, რომ იგი დიმიტრი გურგენიძეს პარტიულ დავალებებს აძლევდა ხშირად.

*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია გამძვინვარდა. დაიწყო ხალხის დაპატიმრება. 1906 წელი იყო. ზაფხულის არდადეგები იწურებოდა. მე ჯერ ისევ თბილისში ვიყავი. ერთ დღეს, ბიძაჩემის, იასე ბადრიაშვილის ბინაზე რომ ვბრუნდებოდი, ჭიშკართან ვიღაც ოფიცერი დამხვდა ორი ჟანდარმით. მტაცეს ხელი და ჟანდარმერიაში წამიყვანეს, ახლანდელ ძერჟინსკის ქუჩაზე. ოფიცერმა დამკითხა. ვუთხარი, ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვარ და ბიძაჩემ იასე ბადრიაშვილის ბინაში ვცხოვრობ-მეთქი. რაც შეეხება რევოლუციას, მასთან არავითარი საერთო არა მაქვს-მეთქი. არ დამიჯერა. ბრძანა, ჩემი ბინა გაეჩხრიკათ. ეგ არის და, ორი ფეხით გავები-მეთქი, ვიფიქრე, რადგან შინ საეჭვო წიგნებთან ერთად აკრძალული გაზეთებიც მეგულებოდა, კერძოდ: „ისკრა“ და

„რევოლუციონნაია როსია“. იღბლად ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ მიხსნა. ის ოფიცერი, რომელმაც ბინა გაჩხრიკა, ჩემი ბიძაშვილის ბავშვობის ამხანაგი გამოდგა, ერთად ესწავლათ თბილისის გიმნაზიაში. ჰოდა, პოლკოვნიკს მოახსენა, გაჩხრეკისას ჯავახიშვილის ბინაზე არაფერი საეჭვო არ აღმოჩნდაო, და გამათავისუფლეს. შინ რომ დავბრუნდი, შეშინებული ქალები ჩემი წიგნების დაწვას აპირებდნენ და სულზე მივუსწარი.

1905—1907 წლებში რამდენიმე სახელმოხვეჭილ პირთან ჰქონდა ურთიერთობა. აი თუნდაც იოსებ გედევანიშვილი, ცნობილი ქართველი მწერალი. იმ დროს იგი შტაბის ოფიცერი გახლდათ, კაპიტნის ჩინი ჰქონდა, ამავე დროს ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი მოწინავე წევრი იყო. მე, რევოლუციურად განწყობილი სტუდენტი, გათვითცნობიერებული ვიყავი სხვადასხვა პარტიების მუშაობაში.

ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრი არ ვიყავი, იოსებ გედევანიშვილმა საიდუმლოდ დამავალა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტი, ვლადიკავკაზში უნდა წახვიდე და გაეცნო იქაურ ქართველ ინტელიგენციას, კერძოდ ფედერალისტების ჯგუფის მუშაობასო. სამოგზაურო ფული მომცა და მეც აღარ დავაყოვნე, გზას გავუდექი.

სექტემბერი იყო. მაშინ მოგზაურობა სახელმწიფო დაწესებულების საფოსტო უწყების „რაზგონნაია ფოსტის“ მეშვეობით შეიძლებოდა. მისი სამმართველო გოლოვინის პროსპექტზე მდებარეობდა. საფოსტო სადგურები, სულ მცირე, ოცი კილომეტრით იყო ერთმანეთისაგან დაშორებული. იმ სადგურებში შეუნაცვლებდნენ ხოლმე ცხენებს. გარდა დილიჟანებისა და კაბრიოლეტებისა, რომლებშიც ოთხი-ხუთი კაცი თავსდებოდა, მოგზაურობა ეტლებითაც ხდებოდა. იმ

ორცხენიან ეტლში სამი კაცი ეტეოდა. ეს იყო ყველაზე პრიმიტიული და ამავე დროს მასიური ტრანსპორტი.

ჩვენთან ერთად კავკავში ერთი გრძელ წვერულვაშიანი მოხუცი რუსი მოდიოდა. ვიფიქრე, ნეტავ რა საქმეზე მიდის-მეთქი და კიდეც გავიგე. მისთვის უთქვამთ, შენი შვილი თბილისში მსახურობს ოფიცრადო, მაგრამ ეს ცნობა ტყუილი გამომდგარა და ურჩევიათ, პიატიგორსკში წადი, შენი შვილი იქ იქნებაო. იგი პირველად მგზავრობდა საქართველოს სამხედრო გზით და აღტაცებული იყო საოცარი პეიზაჟებით.

ყოველ სადგურში იყო დუქანი. მოხუცს ანცვიფრებდა ცადაწვდილ კლდეებშუა მიმავალი გზა და ეტყობა. ეშინოდა კიდეც. ყოველ გაჩერებაზე არაყს სვამდა და წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა. როცა ფასანაურს გავცდით და კავკასიონის უღელტეხილს მივუახლოვდით, მან ლოცვა დაიწყო, ხოლო როცა ყველაზე ციცაბო გზა გავიარეთ და ყაზბეგის სადგურზე შევჩერდით, არყით გამოთვრა. აჰა, დაიწყო ვაკე ადგილები, უკვე უსაშიშრო გზა, და ჩვენმა მოხუცმა მხიარულად შემოაძახა: «Было дело под Полтавой».

ორიოდე სიტყვა იოსებ გედევანიშვილის დავალებაზე. კავკავში იმ დროს საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ერთი ქართული სკოლა იყო, სადაც ორი ქართველი მასწავლებელი მუშაობდა. იყო აგრეთვე ერთი ქართველი მღვდელი, გვარად ნათაძე. ეს იყო და ეს კავკავის „რევოლუციურად განწყობილი ქართველობა“ — დიდი იმედი გედევანიშვილისა.

მესამე დღეს თბილისში დავბრუნდი და დაწვრილებით ვუამბე გედევანიშვილს ყოველივე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში რევოლუციუ-

რი ტალღა თანდათან ნელდებოდა. რეაქციულად განწყობილ თავადაზნაურობას იმედი მიეცა, რევოლუცია დამარცხდებაო. ეს განწყობილება უკვე იგრძნობოდა. კაბრიოლეტით ჩემთან ერთად მოდიოდა ქართველი ბობოლა, სასამართლოს წევრი. მეუღლეც თან ახლდა, ანდრონიკაშვილის ქალი. ბობოლა აღელვებული იყო, მამულების ღალა რევოლუციის გამო შეწიწყვიტესო. ისინი მიხვდნენ, რომ მე რევოლუციას თანავუგრძნობდი და ირონიულად მიყურებდნენ.

რაკი მგზავრობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა აღვნიშნო, რომ ასეთივე წესით ხდებოდა მიმოსვლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სტუდენტობის დროს ზოგჯერ კახეთშიც მიხდებოდა წასვლა. დილის ექვს საათზე ავლაბრის მოედანზე უნდა გავსულიყავი, რომ დილიჟნებისათვის მიმესწრო. სიღნაღისაკენ მიმავალი დილიჟნები ჩერდებოდა ვაზიანში, სართიჭალაში, საგარეჯოსა და მელაანში. თელავისაკენ კი მარშრუტი იყო ნავთლუღი — ვაზიანი — უჯარმა — თეთრი წყლები და თელავი.

თბილისიდან თელავამდე ან სიღნაღამდე მგზავრობას 12 საათი უნდოდა.

*

1906 და 1907 წლების ზაფხულში ფილოქსერის საწინააღმდეგო პარტიას გავყევი კახეთში.

მუშაობა სხვადასხვა სოფელში გვიხდებოდა. სოფლებში კი იმ დროს ხშირად ხალხი კრებებს მართავდა და იმ კრებებზე რამდენჯერმე მეც გამოვედი. რასაკვირველია, რევოლუციური სიტყვა ვთქვი.

ერთხელ, ხალხში სიტყვის წარმოთქმის შემდეგ თელავის სასტუმროში მივედი დასასვენებლად და ჯერ კიდევ მზე არ იყო ჩასული, რომ დამიჭირეს. მაშინვე გამჩხრიკეს კიდეც.

ბადრაგამ საპატიმროში წამიყვანა.

მკითხეს, ვინა ხარო.

მეც ვუთხარი, ესა და ეს ვარ და ფილოქსერის საწინააღმდეგო პარტიაში ვმუშაობ-მეთქი.

არ დამიჯერეს.

მე მეგონა, კრებაზე რომ სიტყვა ვთქვი, იმისთვის დამატუსაღეს, შემდგომ კი სხვა რამ გამოირკვა.

თურმე ორიოდე დღის წინათ თელავში განლაგებული ბაშკათ ეგლარის სამხედრო ბატალიონის ოფიცერი მოუკლავთ, ჩინით კაპიტანი. ამის გამო თელავის მაზრაში გენერალ-გუბერნატორის რეჟიმი შემოუღიათ. მეც თურმე ამიტომ გამჩხრიკეს.

საპატიმროში მე მოვითხოვე, რომ ფილოქსერის პარტიის უფროსთან დალაპარაკების საშუალება მოეცათ. ჯერ უარი მითხრეს, მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვე:

— თუ არავისთან დამაკავშირებთ და აქ გამომამწყვდევთ, ან თქვენ როგორ უნდა გაიგოთ სიმართლე, ან მე როგორ დავამტკიცო, ნამდვილად ვინცა ვარ?!

ჩემმა დაჟინებამ გასჭრა. უფროსს დავუკავშირდი. შემდეგ მან ჩემი ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა დეპეშით თბილისის გუბერნიის მთავარ აგრონომს დემენტიევს და დემენტიევმაც დეპეშითვე უპასუხა: სტუდენტი ჯავახიშვილი ნამდვილად მუშაობს ფილოქსერის პარტიაშიო.

ამ დეპეშის მიღებისთანავე გამათავისუფლეს.

სხვათა შორის, თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორი, ბალო მაყაშვილი, არც ისე მკაცრი კაცი იყო.

მაგონდება ერთი ამბავი.

თელავში ბავშვის ნათლობაზე დამპატიჟა ილიკო ვახვახიშვილმა. გაიშალა მდიდრული სუფრა. ყველაფერი უხვად იყო. თერთმეტი საათისათვის მოვიდნენ სტუმრები და შემოუსხდნენ სუფრას.

ვახშამზე გენერალ-გუბერნატორი ბალო მაყაშვილიც იყო დაპატიჟებული. თავის დროზე მობრძანდა და მაშინვე სუფრის თავში დასვეს, უნდა გვითამადოო. უარი არ უთქვამს, მოვალეობის შესრულებას ხალისიანად შეუდგა.

იმ დროს საქართველოში მრავლად იყო საზღვარგარეთიდან—საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და შვეიცარიიდან ჩამოსული ქართველი ინტელიგენცია. ამ ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი რევოლუციურად იყო განწყობილი. ზოგი სოციალ-დემოკრატებს თანაუგრძნობდა, ზოგი ბოლშევიკებს ემხრობოდა, ზოგი მენშევიკებს, ზოგიც სოციალ-რევოლუციონერებს.

ასეთი ხალხი არც იმ სუფრას აკლდა.

ყველაზე მეტად სახელმოხვეჭილი ანარქისტი მიხაკო წერეთელი აქტიურობდა. გვერდით მეუღლე უჯდა — მარიამ რევაზის ასული ვახვახიშვილი.

ნამდვილი კახური ლხინი გაჩაღდა. მეინახენი ღვინომ აღაგზნო. სვამდნენ შესანიშნავ კახურ ღვინოს და ქეიფში ილეოდა კახური ღამე.

უცებ სადღეგრძელოს თქმის ნება მიხაკო წერეთელმა ითხოვა, ასწია ჭიქა და მგზნებარედ დაიწყო:

— ეს გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუ-

მარჯოს მეფის რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას!

ჩვენ, ყველანი, მოველოდით, რომ ეს სიტყვა გენერალ-გუბერნატორის უფლებამოსილებით აღჭურვილ თამადას, თავად ბალო მაყაშვილს, გულზე ყუმბარასავით მოხვდებოდა და უმალვე ააფეთქებდა, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია, ქართველი ჭარმაგი მხედრის თავშეკავება და სიმშვიდე გამოიჩინა და მიხაკოს სიტყვა ხუმრობაში გადაიტანა:

— თქვე ოჯახქორებო, ჩააქრეთ სინათლე, ფანჯრები დახურეთო!

ეს სიტყვა მაშინ ყველას სასიამოვნოდ დაურჩა.

თამადა ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ, ლხინი გაფუჭდებოდა და ყველა განაწყენებული წავიდოდა შინ.

ბედნიერია, ვისაც უნარი აქვს, თავისი მრისხანება ხუმრობად აქციოს საჭიროების შემთხვევაში. ეს თავისებური სიმდიდრეა. იგი ყველას არ გააჩნია.

*

იმ წელს კახეთში ბევრი რამ მოხდა, მაგრამ მოსაგონებლად ყველაფერი როდი გამოდგება. ერთ რამეს კი ნამდვილად ვერ ვივიწყებ.

თელავიდან შვიდიოდე კილომეტრზე არის პატარა სოფელი გულგულა. გავიგე, რომ იმ სოფელში კომუნა დაეარსებინათ და, ვიდრე არ ვინახულე, ვერ მოვისვენე.

მანამდე ყური მქონდა მოკრული, რომ სოფელ სამთავისში მეურნეობის საწარმოებლად ხალხური კოოპერაცია ჩამოაყალიბეს და ამ კოოპერაციას კომუნას ეძახიანო. ეს იყო

ქართლში. ახლა კი თურმე კომუნა კახეთშიც გაჩნდა. იგი დაუარსებია იმ მხარეში საკმაოდ ცნობილ ადამიანს კოლელიშვილს (სახელი აღარ მახსოვს). კომუნის ხელმძღვანელობაც თვითონვე უკისრია.

გულგულას ვესტუმრე და კომუნის თავკაცს გავეცანი. იგი ფრიად განათლებული კაცი გამოდგა. უმაღლესი სასწავლებელი შვეიცარიაში დაემთავრებინა და სამშობლოში დაბრუნებულს ეს საინტერესო ამბავი წამოუწყია.

სოფელს გაუერთიანებია სახნავი მიწები, ვენახები, ხარკამეჩი, ცხენები და სამეურნეო ინვენტარი.

ჩვენ კომუნა აგვისტოს დამდეგს ვინახულეთ. ხორბალი უკვე გაენაწილებინათ და ყველას დამაკმაყოფილებლად შეხვედროდა. კომუნას ჰქონდა ყოველდღიური და პერსპექტიული გეგმა. მუშაობის ორგანიზაციაში კულტურა იგრძნობოდა. ყველაფერი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხალხი კმაყოფილი იყო.

კომუნის ხელმძღვანელს მთელი სოფელი პატივსა სცემდა. ყველაფერში ენდობოდა და მისი ავტორიტეტული სიტყვის შესასრულებლად თავს არავინ იზოგავდა. აქ შრომა არავის ეზარებოდა. ყველა ერთისათვის იყო და ერთი — ყველასათვის.

კოლელიშვილს მთელ მაზრაში ჰქონდა სახელი გავარდნილი.

ამ გამრჯე და პატიოსან კაცს ერთი თავისებური ბუნებახასიათიც ჰქონდა. ჩვეულებრივად გამომცხვარ პურთან ერთად მოხალულ ხორბალს შეექცეოდა, საქონლის ხორცს კი პირს არ აკარებდა. ამ მხრივ ტოლსტოის მიმდევარი იყო.

კომუნამაც და მისმა თავკაცებმაც მოგვხიბლა სტუმრები.

სამწუხაროდ, შემდეგ, როცა რეაქცია გაძლიერდა, გულ-გულას კომუნა დაურბევიათ, გაუუქმებიათ და თვითონ თავ-კაცი კოლელიშვილი კი გადაუსახლებიათ.

იმ შავბნელ დროში, ვინ იცის, რამდენი ასეთი კეთილი წამოწყება ჩაკლეს და დამარხეს.

ქიზიყში ჩვენთან ერთად მუშაობდა საქობოელი თომა კევლიშვილი, თომა რევოლუციის იდეებით იყო გატაცებული და ხშირად გამოდიოდა ხოლმე მიტინგებზე. სიტყვას ყოველთვის ასე ამთავრებდა: „ძირს მეფის მთავრობა, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!“. მე მას მხარში ვუდექი და მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს სტიპენდიანტი ვიყავი, თვითმპყრობელობის რეჟიმის დამხობისაკენ და რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისაკენ მოვუწოდებდი ხალხს. სიამოვნებით უნდა მოვიგონო, რომ პოეტი სანდრო შანშიაშვილი იზიარებდა ჩვენს რევოლუციურ განწყობილებებს და მუდამ ჩვენთან იყო.

ახლახან ტიბაანში ლევან დოლმაზაშვილის ოჯახში შევხვდი ჩემს საყვარელ, ძვირფას, სიყრმის მეგობარს აწ ღვაწლმოსილ სანდრო შანშიაშვილს. ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვიგონეთ ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელი ოცნებები და საქმეები. მაგრამ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან სანდროს განზრახული აქვს ჩვენი წარსულის შესახებ გვესაუბროს.

*

რეაქციის დროს ისე აირია ყველაფერი, ყველას ნდობა უკვე აღარ შეიძლებოდა, ზოგჯერ მოგვარესა და ნათესავ-მოყვარეს ვერ გაუხსნიდი გულს. სულ რომ არ მოელოდი,

ისეთი ადამიანი გაგაკვირვა. ასეთი კაცი ჩვენს გვარშიც გამოჩნდა — სანო ჯავახიშვილი. იგი წვრილშვილი იყო და ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. ადრე იგი რაღაცაზე წაეჩხუბა ტროფინე ჯავახიშვილის ოჯახს, მერე რატომღაც გაბოროტდა, რევოლუციის დაწყებისთანავე გორის მაზრის პოლიციაში შეძვრა და ავკაცობას მიჰყო ხელი. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ტროფინეს ოჯახის გამწარება განიზრახა და მისი უფროსი შვილი ექვთო დააბეზღა. ექვთოსთან ერთად მისი თანატოლი გლეხი კაცი ბუხრაძე დააჭერინა და ციმბირში გადაასახლებინა ორივე. ისინი გადასახლებიდან ვეღარ დაბრუნდნენ. მალე მოვიდა ცნობა, დაიხოცნენო.

ვინაიდან ამ ორი ოჯახის მტრული ურთიერთობის ამბავს ვეღარ შემოვუბრუნდებით, აქვე მოგიყვებით, რაც შემდეგ მოხდა.

ტროფინეს უმცროსმა შვილმა დათიკომ, იმ დროს რკინიგზის დეპოს მუშამ, ეს ამბავი რომ გაიგო, სანო ჯავახიშვილს ოჯახში მიუხტა და რამდენიმე სული სიცოცხლეს გამოასალმა. შემდგომ თავი მიანება ოჯახსაც, დეპოსაც და ტერორისტი გახდა. პირველად რკინიგზის ჟანდარმებს ხოცავდა, მერე, საერთოდ, არც ერთ პოლიციელს არ ინდობდა. პროფესიონალ ტერორისტს პოლიციელები დასდევდნენ, მაგრამ ამაოდ. მთავრობამ რა არ იღონა მის გასანადგურებლად, მაგრამ ყოველთვის მოეცარა ხელი.

ბოლოს დათიკოს სიცოცხლე სულ უბრალო შემთხვევამ შეიწირა. მან ძეგვის მამასახლისს ესროლა და დაჭრა, ამ დროს საიდანღაც პოლიციელები შემოეჯარნენ და ტყვია სეტყვასავით დაუშინეს. სასიკვდილოდ დაჭრილმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა და სული დალია. რევოლუციურმა გლეხკა-

ცობამ მისი გვამი გაიტაცა. დათიკო რკინიგზის ლიანდაგთან დაასაფლავეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, მის საფლავზე წითელვარსკვლავიანი ძეგლი დადგეს. მთავრობამ დათიკოს დედას — ლიზას — პენსია დაუნიშნა.

აქვე მინდა მოვიგონო ჩემი კარგი მეგობარი, რევოლუციის აქტიური მონაწილე ვანო ციციშვილი. მას უმაღლესი სწავლა-განათლება შვეიცარიაში ჰქონდა მიღებული. დიდი მემამულე იყო. დედის მხრიდან სამაჩაბლოში ჰქონდა სახნავ-სათესი ადგილები და დიდი ტყე (14 ათასი დესეტინა). 1917 წლის რევოლუციის დასაწყისში ვანო ციციშვილმა თავისი მამულები გლეხობას დაუტოვა, თვითონ თბილისში გადასახლდა და საბიბლიოთეკო საქმეს მოჰკიდა ხელი. ეს მდიდარი მემამულე თავისი შრომით ცხოვრობდა. მან დაგვიტოვა მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის შრომა „ჩაცმულობა ძველ საქართველოში". ვანო ციციშვილი კუჭის კიბოთი იყო დაავადებული და, როდესაც ამის შესახებ შეიტყო, საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან გადმოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა.

•

1906 წლის შემოდგომაზე გავიგე, რომ ოდესის უნივერსიტეტში სწავლა განახლდა. იქ წასვლამდე ძევერაში მივედი.

მთავრობის კაცები მაშინ ყველა სტუდენტს ეჭვის თვალით უყურებდნენ, მეამბოხედ ნათლავდნენ და პირში მისჩერებოდნენ, მეფის საწინააღმდეგოს ხომ არაფერს ამბობსო.

სწორი გითხრათ, იმ ხანებში არავითარი დავიდარაბის თა-

ვი არ მქონდა, უეჭველად ოდესაში უნდა ჩავსულიყავი და ზედმეტ თავდაჭერილობასაც კი ვიჩენდი.

ერთ დღეს შინ, მშვიდად რომ ვარ, ჩემი უფროსი ძმის მეუღლე, დუშა, გაფითრებული მოიჭრა. ყველაფერზე ეტყობოდა, შეშინებული იყო.

რამ დაგაფრთხო-მეთქი, ვკითხე.

დუშამ გულისხეთქვით მიამბო:

— მეჯვრისხევიდან ორი ცხენოსანი „სტრაჟნიკი" გამოუგზავნიათ, შენ გკითხულობენ!

— ვის გამოუგზავნია? — მშვიდად ვკითხე მე.

— იქაურ ბოქაულს და ვიღაც ჩვენებურს.

— არაფერია.

— შენი დაპატიმრება და მეჯვრისხევში წაყვანა აქვთ ნაბრძანები!

— დამშვიდდი, დაწყნარდი! ერთი პატარა სუფრა გაუშალე, ასვი, აჭამე და ჩემზე უთხარი, შინ არ არის, გუშინ ოდესაში წავიდა-თქო. მეტი არაფერი არ გინდა, ვიცი მაგათი ამბავი, გამოძღებიან და წავლენ.

მე სოფლიდან გავედი.

დუშა კი თურმე მაშინვე დატრიალდა, სუფრა გაშალა, „სტრაჟნიკები" დაათრო და ღიღინით გაისტუმრა მეჯვრისხევში.

მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი დაპატიმრება მეჯვრისხევის საბოქაულოსა და სანო ჯავახიშვილს განუზრახავთ.

მალე დადგა ჩემი ოდესაში გამგზავრების დღე.

ეტლში ვზივარ და გორის რკინიგზის სადგურისაკენ მივდივარ. ჩემს ეტლს წინ პოლიციელი გადაუდგა:

— ჩამოდი, დაპატიმრებული ხარ!

— რატომ, რა დავაშავე?

— სტუდენტო რევოლუციონერო, თავს ნუ იკატუნებ! განა თვითონ არ იცი, რა დააშავე?!

— ის მაინც მითხარი, ვინ მაპატიმრებს? ვინა ხარ შენ?

— მე ვინცა ვარ, ეგ შენ არ გეკითხება. დაპატიმრებული ხარ, მორჩა და გათავდა! გორის მაზრის უფროსის პოლკოვნიკ გოგოხიას განკარგულებაა! იქნებ გორის მაზრის უფროსს არ ემორჩილები?!

თავს ზევით ძალა არ მქონდა, პოლიციელს გავყევი.

იგი მაზრის უფროსთან შევიდა და მოახსენა:

— ბატონო პოლკოვნიკო, რევოლუციონერი სტუდენტი დიმიტრი ჯავახიშვილი დავიჭირე და მოგგვარეთ!

— მე როდის გითხარი, აქ მომგვარე-მეთქი? ეხლავე ციხეში გაგზავნე! მე აქ რევოლუციონერი სტუდენტების საკრებულო არა მაქვს! — მკაცრად ესროლა მაზრის უფროსმა პოლიციელს.

პოლიციელი, ეტყობა, ჯილდოს თუ არა, მადლობას მაინც ელოდა და უფროსის მკვახე სიტყვამ გაანაწყენა.

იქვე გავიგე, რომ ეს პოლიციელი სანო ჯავახიშვილი ყოფილა.

იმ უბედურს თურმე თავის გამოჩენა უნდოდა და თუ სადმე სტუდენტს დაიგულებდა, ყველას რევოლუციონერობას აბრალებდა და იჭერდა. მაშინ სტუდენტებზე ბევრი ნადირობდა და სანოც ცდილობდა, იმ მონადირეებს არ ჩამორჩენოდა.

იჭერდნენ სტუდენტებს და ზოგჯერ არც არაფერს ეკითხებოდნენ, ისე ასახლებდნენ სადღაც გადასაკარგავში. იმ დღესაც მეჯვრისხევში დაუჭერიათ ერთი კურსით ჩემი მომდევ-

ნო სტუდენტი, დათიკო პარკაძე, და მაშინვე ვიატკის გუბერ-ნიაში გაუგზავნიათ, სადაც მან შვიდი თვე დაჰყო (იგი შემ-დეგ ცნობილი პედაგოგი, მათემატიკოსი გახდა). მეც, ალბათ, დათიკო პარკაძის გზას გამიყენებდნენ, ერთ შემთხვევით ამ-ბავს რომ არ გადავერჩინე.

მაზრის უფროსს სანომ ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ მოახსენა, იმ დროს იქ ყოფილა სოფელ კარბის მემამულის ბაგრატ დავითაშვილის მეუღლე ანეტა კეცხოველი.

ამ მანდილოსანს მე კარგად ვიცნობდი და ისიც მიცნობ-და. ტყვიაველ კეცხოველებთან ჩვენს ოჯახს ახლო ურთიერ-თობა ჰქონდა. მთელ ჩვენს ოჯახს გული ჩაგვწყვიტა იმ ამ-ბავმა, როცა გავიგეთ, მეფის რუსეთის ჯალათს მეტეხის ცი-ხეში ჩამწყვდეულ რევოლუციონერ ლადო კეცხოველისათვის ტყვია უსვრია და მოუკლავსო.

ლადოს უფროსი ძმა, ნიკო, უფრო მიწის მოყვარული კა-ცი იყო. იგი ისაია ფურცელაძესთან ერთად ქართლის ბაღე-ბის გარდაქმნაზე ოცნებობდა. მათ ევროპიდან შემოჰქონდათ ხეხილის საუკეთესო ჯიშები და გორის მაზრის მიწა-წყალზე რგავდნენ. ხალხი მათ სახელს ლოცავდა და ადიდებდა.

ნიკო კეცხოველმა კეთილი სახელი დატოვა ხალხში იმი-თაც, რომ სახელოვანი შვილები აღზარდა, ერის მოამაგენი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, მაზრის უფროსთან იმ დროს ნიკო კეცხოველის და ყოფილა-მეთქი. ჩემი გვარი და სახელი რომ გაუგონია, ცუდად გამხდარა.

— ქალბატონო, რა დაგემართათ?! — გაჰკვირვებია გო-გოხიას.

— ის სტუდენტი, დიმიტრი ჯავახიშვილი, ჩემი ახლობე-

ლია! — უთქვამს. — ნუ დაღუპავთ! მე ვუთავდებებ და გაუშვით!

ასე რომ, ნიკო კეცხოველის და ჩემს ამბებში ჩაერია და საქმე წაღმა შეტრიალდა.

უმალვე მაზრის უფროსთან მიხმეს. შევედი. მაზრის უფროსს რომ მივესალმე, იქვე ნაცნობი მანდილოსანი დავინახე და ცოტა არ იყოს, დავიბენი, აქ რა უნდა-მეთქი, მერე მანდილოსანსაც მივესალმე მოწიწებით და კედელთან მორჩილად დავდექი.

— ყმაწვილო, შენზე ამბობენ, სოფელში გლეხებს აბუნტებსო. მართალია? — მკითხა მაზრის უფროსმა.

— ბატონო, ჩემი სოფელი შორს არ არის, გაგზავნეთ კაცი და, ვისაც გნებავთ, ჰკითხოს, თუ მე რამეში დამნაშავე ვარ!.. — მივუგე მე.

— შენ ახლა სად მიდიხარ? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ჯერ თბილისში უნდა ჩავიდე, იქიდან კი ოდესაში გავემგზავრო. გავიგე, უნივერსიტეტში სწავლა განუახლებიათ.

— ნამდვილად სტუდენტი ხარ?

— თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს სტიპენდიანტი გახლავართ! — ეს სიტყვა უცებ მომადგა ენაზე და მეც თქმა არ დავაყოვნე. მერე გულში ჩემ თავზე გამეცინა, როცა თავად-აზნაურებს ეკამათებოდი რევოლუციის ამბებზე კახეთში, მათ სტიპენდიას რომ იღებდი, მაშინ რატომ არ გაგონდებოდა-მეთქი.

მეტი აღარაფერი უკითხავთ, უმალვე გამათავისუფლეს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კეცხოველების ოჯახთან მე შემდეგშიც განვაგრძობდი მეგობრობას. არ შემიძლია არ გა-

ვიხსენო ნიკოლოზ კეცხოველის მეუღლე, ამ ოჯახის დედა მაშო კორინთელი, მეტად სათნო, კეთილი და ოჯახის დიდი მოამაგე ქალი. მე მას ხშირად ვხვდებოდი, რადგან მისი მკურნალი ვიყავი.

*

ჩავედი ოდესაში. კვლავ სტუდენტობის დღეები დამეწყო, მაგრამ ეს წინანდელ სტუდენტობის დღეებს აღარ ჰგავდა, უნივერსიტეტის პროფესორთა შორის ძალიან ცუდი დამოკიდებულება იყო. ისინი გაყოფილნი იყვნენ მემარჯვენეებად და მემარცხენეებად. პირდაპირ სჭამდნენ ერთმანეთს. მემარჯვენე პროფესორები რეაქციას უჭერდნენ მხარს და შავრაზმელებივით იქცეოდნენ. ისინი უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტთა ჩვეულებრივ შეკრებებსაც კი კრძალავდნენ. ყველგან რაღაც საფრთხე ელანდებოდათ. ეს ძალიან ცუდად მოქმედებდა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე. რაც ძთავარია, პროფესორების დავა, კინკლაობა და ურთიერთმტრობა აბნევდა სტუდენტებს. ყველა მოითხოვდა, რომ სტუდენტობას მისთვის დაეჭირა მხარი. ამან გამოიწვია ის, რომ გაჩნდა მემარჯვენე და მემარცხენე სტუდენტთა ჯგუფები. სტუდენტთა ცხოვრებაში პოლიტიკა ჩაერია. მან გათიშა ადამიანები და ბევრს გონება და თავგზა აუბნია. თუ ვინმე სტუდენტთა კრებაზე რევოლუციურ სიტყვას იტყოდა, სასტიკად სდევნიდნენ. მაშინდელი რუსეთის განათლების მინისტრი, კასო, უნივერსიტეტის ცხოვრებას არა თუ აწყნარებდა, პირიქით, სტუდენტთა შორის შუღლსა და სიძულვილს აღვივებდა.

დრო-ჟამი წუთისოფლის ბორბალს ატრიალებდა და ჩვენც

იმ ბორბლის ტრიალს მივყვებოდით. ზოგს ჩვენ ვებრძოდით, ზოგი ჩვენ გვებრძოდა.

ასე გაიარა ჯერ 1906 წელმა, შემდეგ კი 1907 წელმაც.

1908 წელი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა.

პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა არალეგალური კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. ოდესიდან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ოთხი სტუდენტი გაგვგზავნეს.

ამ დროს შევხვდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს შურა ხუდადოვს, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისში ვიცნობდი. მამამისი სახელმოხვეჭილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო. ის ღირსშესანიშნავი ტყე თბილისში, სადაც მოთავსებულია ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მან გააშენა. ხალხმა იმთავითვე იმ კაცის სახელი დაარქვა და ეს სახელი სამუდამოდ შერჩა.

ასეა: კეთილი საქმე უკვდავყოფს ადამიანის სახელს.

ეს კონფერენცია იმითაც არის ღირსსახსოვარი, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდა მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, შემდგომ პარტიისა და სახელმწიფოს სახელგანთქმული მოღვაწე კუიბიშევი. მან შესანიშნავად გაგვაცნო რუსეთის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება.

— ამხანაგებო, ახლა ისეთი მდგომარეობაა მეფის რუსეთში, საჭიროა სიფრთხილე, მაგრამ არა მოდუნება, საჭიროა აქტიური სიფრთხილე, როცა მოქმედების ყველა ნაბიჯი გამოზომილი იქნება. რევოლუციურ ბრძოლაში ადამიანმა თავი უგუნურად არ უნდა წააგოს. დაუკვირვებელი თავგანწირვით ვერავითარ სასიკეთო საქმეს ვერ გავაკეთებთ.

ასეთი იყო მისი სიტყვის დედააზრი.

კონფერენციის შემდეგ გავიგე, რომ შურა ხუდადოვი კუიბიშევის ამხანაგი იყო.

კონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა. პეტერბურგში რამდენიმე დღეს დავრჩი. ზამთარი იყო და ქალაქს განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა, სამხრეთიდან ჩამოსული კაცის თვალისათვის უჩვეულო.

ტროიცკის ხიდის გასწვრივ, ნევაზე გაყვანილი იყო ელექტროტრამვაი. მას ქვეითად მოსიარულე ხალხი გადაჰყავდა. ასეთი რამ მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. ამ ტრამვაით და ისედაც გაყინულ ნევაზე უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა. ეს სანახაობა დღემდე მაქვს გულზე დაბეჭდილი და მუდამ სიამოვნებით ვიგონებ. ეს იყო რაღაც მკაცრი სილამაზე. ბუნებას თითქოს განგებ შეებორკა ყინულით მდინარე, რომ ზედ ხალხს ევლო.

კიდევ ერთი.

პეტერბურგის გარეუბანში, ნევის ახლოს შარაგზა გადიოდა. იმ შარაგზის გადაღმა ხორბლით სავსე უზარმაზარი ბეღლები იყო განლაგებული. ეს ბეღლები უამრავ ვირთაგვას ამრავლებდა. თურმე იმ ვირთაგვებს საოცარი ჩვეულება ჰქონდათ. წყალი რომ მოუნდებოდათ, ბეღლებიდან ჯოგებად დაიძრებოდნენ და ნევას მიადგებოდნენ.

ჰოდა, პეტერბურგში ჩემი ყოფნის დროს საოცარი ამბავი მოხდა.

თურმე დილაადრიან ერთი მეეტლე ნევისპირა შარაგზაზე ერთცხენიან ეტლს მიერეკებოდა. სწორედ ამ დროს ვირთაგვების რამდენიმე ჯოგი წყლის დასალევად მიეშურებოდა. ისინი მეეტლეს მიესივნენ. მეეტლემ ვერ მოასწრო გაქცევა, არც

მშველელი გამოუჩნდა ვინმე და კაცი ვირთაგვებმა დაღრღნეს.

ეს ამბავი გაზეთში წავიკითხე და შემაძრწუნა.

რამდენადაც მომხიბლა პეტერბურგში პირველად ჩასული კაცი ნევაზე მოსიარულე ხალხმა, იმდენად მძიმედ დამაწვა ეს ამბავი გულზე.

*

იმავე წელს რუსეთის ზოგიერთ ქალაქში ხოლერა გაჩნდა. ოდესის ნავსადგურში საკარანტინო პუნქტები შეიქმნა. ამ მუშაობაში მეოთხე კურსის სტუდენტებიც ჩააბეს. ვიდრე გემი ნავსადგურში შემოვიდოდა, იმ გემს საკარანტინო ექიმი ამოწმებდა, შემდეგ სანაპიროზე ბრუნდებოდა და გემის მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებდა. თუ იქ ხოლერით იყო ვინმე დაავადებული, საგანგებო ზომებს ღებულობდნენ.

ზოგჯერ კარანტინის ექიმები გემებს მთელ გზაზე მიჰყვებ-მოჰყვებოდნენ.

ამ მუშაობაში მეც ჩამაბეს. ოდესიდან ბათუმში მიმავალ გემს გამაყოლეს ექიმად. ზამთარი იყო. ისეთი ყინვა, კაპასი ქარი და კირჩხლიანი ამინდი შავ ზღვაზე, ალბათ, საუკუნეში ერთხელ არის. ოდესასა და სევასტოპოლს შუა ზღვა გაყინული იყო, ყინულმჭრელი სჭირდებოდა. ნოვოროსიისკისაკენ რომ ავიღეთ გეზი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა ისე მძლავრად, ჩვენს გემს წინსვლა გაუჭირდა. ქარი ზღვის ტალღებს გემზე ისროდა და წყალი იალქნებსა და გემბანზე იყინებოდა. ნავსაყუდელში ძლივს შევედით. იქ მე პატაკი ჩავაბარე, ხოლერის ავადმყოფობა არავის გამოსჩენია-მეთქი.

ხოვოროსიისკიდან გამოსვლისას კვლავ სუსხიანი ამინდი იყო. მეორე დღეს ბათუმს მივადექით და...

სადღაა ის საშინელი ტაროსი!

სანაპიროზე ხალხი უპალტოოდ სეირნობდა.

შავი ზღვის ჩრდილოეთში გაყინული ძვლები სამხრეთში გავითბე.

შემდეგ გემზე მუშაობა თანდათან გამიადვილდა. ეს საინტერესო იყო მატერიალურადაც. ხელფასი ასი მანეთი გვქონდა, ჭამა-სმა უფასო. ფული მეზოგებოდა და ორიოდეჯერ ჩემს ღარიბ ოჯახსაც კი გავუგზავნე. მაგრამ გემზე მუშაობა მაინცადამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა. ისევ უნივერსიტეტს დავუბრუნდი. აქ პროფესორ-მასწავლებლები კვლავ ერთმანეთს ჭამდნენ. ამით ვზარალობდით ჩვენ, სტუდენტები. აქლემები ჩხუბობდნენ და კოზაკები იჭყლიტებოდნენ.

ოდესის უნივერსიტეტში აუტანელი პირობები შეიქმნა. მოსკოვში წასვლა გადავწყვიტე: სწავლას იქ დავასრულებმეთქი. ჩემი გადაწყვეტილება მოგვარესა და ნათესავ ექიმს ლუკა ჯავახიშვილს ვაცნობე და რჩევაც ვკითხე. მომწერა: არაფრის შეგეშინდეს, მატერიალურად მე დაგეხმარები, თვეში ერთ თუმანს მაინც გამოგიგზავნიო.

მოსკოვში რამდენიმე სტუდენტი წავედით. ერთი ებრაელი იყო. ეს განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ მთავრობა ებრაელებს სხვანაირი თვალით უყურებდა. თუ ებრაელი გილდიის ვაჭარი არ იყო, მოსკოვში ჩასვლისას არც ერთ სასტუმროში არ ჰქონდა ჩაწერის უფლება. ჩვენი თანამგზავრი, მეოთხე კურსის სტუდენტი ებრაელი, მოსკოვის გარეუბანში ერთ აფთიაქარს შეეხიზნა.

მე ჩემს ბიძაშვილს, ალექსანდრე ჯავახიშვილს, მივაკით-

ხე. იგი მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის ქიმიისა და ანთროპოლოგიის დარგში მუშაობდა უფროს მასწავლებლად. მან თავშესაფარი კი მომცა, მაგრამ ერთი საცრემლო ამბავიც მაცნობა: ექიმი ლუკა ჯავახიშვილი გარდაიცვალაო.

მისი სიკვდილი გულზე მეხივით დამეცა.

ლუკა რომ მატერიალურად მეხმარებოდა ხოლმე, მაშინ ეს სულაც არ მომგონებია. მე დავკარგე საუკეთესო ნათესავი და მეგობარი, მრჩეველი და იმედის მომცემი ადამიანი...

1909 წელს, ნოემბერში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დავამთავრე. ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდებიც. ლუკა ჯავახიშვილის შემდეგ მე მხარში ამომიდგა ჩემი ბიძაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი. მაშინ დავრწმუნდი, რომ ადამიანი მარტო არასოდეს არა რჩება.

*

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე საქართველოდან სტიპენდიის გამოგზავნა შემიწყვიტეს. მე განზრახული მქონდა კიდევ ერთი თვე დავრჩენილიყავი მოსკოვში. ეს რომ ალექსანდრეს გავუზიარე, მან თავის ბინაზე გადასვლა შემომთავაზა. მეც მასთან გადავსახლდი. ჩემი სურვილი იყო, მცირე ხნით მოსკოვის რომელიმე საავადმყოფოში ორდინატორად წამემუშავა. სამუშაოზე მოწყობაში ალექსანდრეც მეხმარებოდა, მაგრამ ჩემი ფიქრი და ცდა ამაო გამოდგა. თვით მოსკოვის მკვიდრთათვისაც ძნელი იყო ორდინატორად მოწყობა და ახალგაზრდა ექიმები იძულებულნი იყვნენ უხელფასოდ ემუშავათ.

იმ ხანებში (1909 წ. დეკემბერში) მოსკოვში მიმდინარეობდა რუსეთის ექიმ-თერაპევტთა პირველი და რუსეთის ქირურგთა პიროგოვის სახელობის მე-9 სამეცნიერო ყრილობები. მე დავესწარი ერთ-ერთ გაერთიანებულ სხდომას, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ იმ დროისათვის ცნობილი ქირურგები საპეშკო, ოპელი, სპასოკუკოცკი და სხვ. თერაპევტებიდან ლევაშოვი, პოპოვი, ობრაზცოვი და სხვები. მოხსენებებს შორის ძალიან საინტერესო იყო კიევის უნივერსიტეტის პროფესორის ობრაზცოვისა და მისი ორდინატორის, შემდეგში გამოჩენილი აკადემიკოსის სტრაჟესკოს მოხსენება, რომელიც ეხებოდა გულის მიოკარდიის ინფარქტის ავადმყოფის სიცოცხლეშივე პირველ დასმულ დიაგნოზს.

რაკი მოსკოვიდან თბილისში წამოსვლის დრო მომიახლოვდა, ალექსანდრესაგან ვისესხე 25 მანეთი, გავისტუმრე წვრილი ვალები, შევიძინე რკინიგზის ბილეთი, ვიმგზავრე ოთხი დღე და ღამე და მოვედი თბილისში. ეტლის ფული 30 კაპიკი ჩემმა დეიდაშვილმა გადაიხადა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ ჯერჯერობით აქ ჩემი ადგილი არ იყო, გამოცდილებისათვის რომელიმე მაზრაში უნდა წავსულიყავი. მაგრამ წინასწარი სასწავლო პრაქტიკა ჯერ თბილისში უნდა გამევლო. უხელფასოდ დავიწყე მუშაობა ყოფილ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში, რომლის მთავარი ექიმიც მაშინ იყო საკმაოდ სახელმოხვეჭილი გურკო.

მაზრაში ან სოფელში მომუშავე ექიმს ბევრი რამის ცოდნა ევალება. მოგეხსენებათ, მაშინ ხალხს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ, თუ ადამიანს ექიმი ჰქვია, მან ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველა ტკივილის მორჩენა უნდა შეეძლოს.

მე საამისოდ უნდა მოვმზადებულიყავი. ამიტომ გადავწყვიტე, ცოტა თუ ბევრად გამოცდილება მიმეღო სხვადასხვა დარგში: პრაქტიკულად გავცნობოდი შინაგან სნეულებათა რაობას, ქირურგიას და შეძლებისდაგვარად პათოლოგიური მშობიარობის შემთხვევებსაც.

მიხეილის სახელობის საავადმყოფოში დღისით დავდიოდი. უმთავრესად თერაპიულ განყოფილებაში ვტრიალებდი. აქ მორიგეობის უფლებასაც მაძლევდნენ ხოლმე. ზოგჯერ ქირურგიულ განყოფილებას მივაკითხავდი და ოპერაციებს ვესწრებოდი.

საღამოობით და ისიც დღეგამოშვებით ოლგინის სამეანო ინსტიტუტში გავრბოდი. იქ პათოლოგიური მშობიარობის შემთხვევებს ვეცნობოდი. სხვათა შორის, მაშინ რატომღაც ასეთი მშობიარობა ისე ხშირად ხდებოდა, მე რომ ინსტიტუტში გამოვჩნდებოდი, მორიგე მეანები ერთმანეთს გასძახებდნენ ხოლმე: ექიმი ჯავახიშვილი მოვიდა და მოემზადეთ, ამაღამ პათოლოგიური მშობიარობაა მოსალოდნელი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო. ადამიანი რაც უფრო მეტ უბედურებას ხედავს, ცდილობს ეს უბედურება სიცილით გააქარვოს...

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს თბილისში ძალიან ცოტა იყვნენ ქართველი ექიმები. მათგან შემიძლია მოვიგონო საგუბერნიო საექიმო სამმართველოს უფროსი მედიცინის დოქტორი ტ. ს. ქიქოძე, ქალაქის მთავარი ექიმი გეგე მაღალაშვილი, პოლიკო კიკალიშვილი, შალვა მიქელაძე, სანდრო მაღალაშვილი, ვახტანგ მუსხელიშვილი, იაშვილი.

ჩემი სახელდახელო პრაქტიკა მალე დამთავრდა.

1910 წლის აპრილში სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანის ახლად დაარსებულ სასოფლო ამბულატორიის გამგედ დამ-

ნიშნეს. ამბულატორიასთან ათსაწოლიანი საავადმყოფოს გამართვა იყო გათვალისწინებული.

გურჯაანში ამბულატორიისა და ათსაწოლიანი საავადმყოფოსათვის დაექირავებინათ თავად ანდრონიკაშვილის ქვრივისაგან ორსართულიანი სახლი. მეორე სართულზე მე დავბინავდი, ამბულატორია და საავადმყოფო კი დაბლა მოვათავსე.

თავადი გიორგი ანდრონიკაშვილი ადრე პეტერბურგში განლაგებულ გვარდიის ნაწილში მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით. შემდეგ სამხედრო სამსახურს თავი ღაანება და დაღესტნის ოლქის უფროსის თანამდებობაზე დანიშნეს. იმ დროს მაჰმადიანი მთიელები მთავრობის კაცებსა და სამხედრო ხალხს ძალიან ემტერებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გაითქვა სახელი ყაჩაღად გავარდნილმა ზელიმხანმა, რომელსაც უამრავი თანამოაზრე ჰყავდა.

სწორედ იმ წელს, მე რომ გურჯაანში მუშაობა მომიხდა, ჩემ ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთი შეტაკების დროს გიორგი ანდრონიკაშვილი ზელიმხანმა მოკლა.

გიორგის დედა, კნეინა დარია ანდრონიკაშვილი, და მთელი ოჯახი ძაძებით იყო შემოსილი.

დარია მოხუცი იყო, მაგრამ მხნეობა არ აკლდა. დიდი მამულები ჰქონდა და მოურავის წყალობით კარგად უვლიდა.

გიორგის ახალგაზრდა ქვრივს, ყოფილ გენერალ სლივიცკის ქალს, რომელიც ძალიან ლამაზი იყო, ჰყავდა აგრეთვე საკმაოდ ლამაზი ოთხი შვილი, უფროსი 16—17 წლის თამარი ხერხემლის ტუბერკულოზით იყო დაავადებული, სამკურნალოდ პარიზში წასული სამუდამოდ იქ დარჩა. მეორე შვილი ნატო გახლდათ, ძვირფასად მოსაგონარი, შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი კინოვარსკვლავი, მესამე კი კირა, საკმა-

ოდ ლამაზი და მოხდენილი ასული, შემდეგში აგრეთვე მსახიობი (იგი რუსმა მწერალმა პილნიაკმა შეირთო). მეოთხე ვაჟიშვილი იყო, სანდრო, რომელიც სამამულო ომში ოფიცერი გახდა.

*

საჭიროდ მიმაჩნია ჩემს მოგონებებში შევეხო კახეთის ზოგიერთი სოფლის მდებარეობის თავისებურებას და გამოვთქვა აზრი ამ საკითხის ირგვლივ. მაშინდელი დაკვირვებით ეს განლაგება გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით. სოფლების უმეტესი ნაწილი მდებარეობდა მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, ციგვომბორის ქედისაკენ. პირველ ყოვლისა, ხალხი უპირატესობას აძლევდა მთაგორიან ადგილებს, რადგან იქ სუფთა, მთის ჰაერი ჭარბობდა და ნაკლებად იყო კოღოები, ბუზები და სხვადასხვა მწერები. ამით უნდა აიხსნას, რომ მარჯვენა მხარე ალაზნის ველისა დაწყებული სიღნაღიდან თელავის მიმართულებით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული.

დროთა განმავლობაში ხალხი თანდათან მრავლდებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი ცდილობდნენ დაბლობში ჩამოსულიყვნენ, ამას ხელი შეუწყო აგრეთვე კახეთის რკინიგზის მშენებლობამაც.

იმხანად მთელი ტყე, გურჯაანიდან თელავამდე ეკუთვნოდათ კერძო მესაკუთრეებს: ვაჩნაძეებს, ჯორჯაძეებს, ანდრონიკაშვილებს და სხვ. ისეთი დრო დადგა, რომ ჯორჯაძეებმა და ანდრონიკაშვილებმა გაჰყიდეს ნაწილი ალაზნის ველისა, სადაც დიდი ადგილი ეჭირა ტყეებს. ალბათ, ამან გამოიწვია

Სამხრეთ ოსეთიდან ხალხის ლტოლვა კახეთისაკენ. ისინი დასახლდნენ ალაზნის გაღმა-გამოღმა. ცხადია, რომ ადგილის გაფართოების მიზნით გადმოსახლებული მცხოვრებნი კაფავდნენ ტყეს.

სოფელ ბაკურციხეში ცხოვრობდა ერთი საკმაოდ მოხუცებული თავადი ჩოლოყაშვილი. მას ჰყავდა შვილი, რომელმაც უმაღლესი საფრანგეთში დაამთავრა. იგი თავის დროზე სწავლობდა სათავადაზნაურო სკოლაში და ჩემი ამხანაგი იყო. როგორც კი საფრანგეთიდან დაბრუნდა, აკადემიაში მიიღეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. მის მამასაც უმაღლესი განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული.

გურჯაანში ექიმად მუშაობის დროს ერთხელ ავადმყოფთან მომიხდა წასვლა ბაკურციხეში, ზემოხსენებული მოხუცის ოჯახში. მისი ავადმყოფი ცოლი რომ გავსინჯე, მან თავისი სახლის წინ საკმაოდ დიდი ვენახი მაჩვენა. გაოცებული დავრჩი მისი დიდი გემოვნებით გაკეთებული ხეივნებით, რომელშიც სხვადასხვა ჯიშის ყვავილები იყო გაშენებული. იმ თავადმა მითხრა, ალაზნის ველზე დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობაში მიკრორაიონებსო. მე ექიმი ვიყავ და ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ იმ დროს ერთი აგრონომი შეგვესწრო და იმან განმიმარტა, სავენახე ადგილებს ახასიათებს მიკრორაიონული განსხვავებაო. აი, მაგალითად, ერთერთ ანდრონიკაშვილს რამდენიმე ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული ვენახი. მისი ვენახის ყურძენი რომ დაიწურებოდა, სირაჯები წინასწარ აძლევდნენ თურმე საპალნე წითელ ღვინოზე დიდ საფასურს. მათ შორის ნამდვილი შეჯიბრი იმართებოდა, ვინ მეტს მისცემდა. ამ დროს კი სხვა ვენახის პატრონები იძულებული იყვნენ ძალზე იაფად გაეყიდათ ღვინო.

თელავში 1913 წელს გაიმართა სარაიონო მევენახეთა ყრილობა. იქ მეც ვიყავი მიწვეული, როგორც რაიონის ექიმი. იმ ყრილობაზე ჯიშების საკითხს იხილავდნენ. ბევრი დაბეჯითებით ამტკიცებდა, საჭიროა საფრანგეთიდან ჩამოვიტანოთ კაბერნე, ალიკოტე და სხვა ჯიშებიო. ყრილობაზე ამაღელვა ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლის ნიკოლოზ თვარელიშვილის დიდად პატრიოტულმა სიტყვამ. ის ამ დროს უკვე ორთავ თვალით ბრმა იყო. რას მიქვია კაბერნე ან ალიკოტე, მგზნებარედ ამბობდა იგი, როცა გვაქვს დალოცვილი რქაწითელი, მწვანე და სხვა ჯიშებიო. რა მართალი ყოფილა თვარელიშვილი. დღეს ამ დარგის სპეციალისტები უკვე ერთხმად ასაბუთებენ საქართველოს ღვინოების უპირატესობას და მართლაც, რომელი ქვეყნის ღვინოები შეედრება ჩვენს წინანდალს, გურჯაანს, ახაშენს, ახმეტას, კარდანახს, ყოველ კონგრესზე რომ მედალს მედალზე იღებენ. ამ ღვინოების თვისებასთან არის დაკავშირებული საქართველოს სახელგანთქმული კონიაკის ღირსებაც.

*

გურჯაანში ახალი ჩასული ვარ. შუაღამე იქნება. აივანზე ჩვილი ბავშვის ხმა მომესმა. მალე კაცის ხმაც გავიგონე. იგი ჩვილს აწყნარებდა:

— შვილო ნიკოლოზ, გენეცვალოს მამაი, გაჩუმდი გაჩუმდი!

სასწრაფოდ გავედი აივანზე და ისინი შინ შევიყვანე.

ბავშვი ექვსი კვირისაა, სიცხე არა აქვს, არც რაიმე მძიმე ავადმყოფობის ნიშნები ემჩნევა, მავრამ ტირის და ტირის.

ჩვილს ადვილად, აბა, რას გაუგებ, რისთვის ტირის, ან რისთვის იცინის. ხშირად კი ჩვილს უბრალო მუცლის გვრემა ატირებს.

გავუსინჯე მუცელი. ცოტა გაბერილია. რაიმე გართულება მოსალოდნელი არ არის. გული დავიარხეინე და ბავშვის მამასაც დავუწყე დამშვიდება:

— ნუ გეშინიათ, ბატონო, ცოტა მუცელი აწუხებს, ტკივილი მალე გაუვლის და აღარ იტირებს. ზოგჯერ ჩვილი უმიზეზოდაც კი ტირის. წაბრძანდით შინ, საშიში არაფერია.

—ვითომ, ექიმო?! — შევატყვე, იმედი მიეცა, მაგრამ მაინც იკითხა.

— ნამდვილად, ამბელა კაცი ბავშვის ერთმა წამოტირებამ შეგაშინა? ვაჟკაცი არა ხარ! — ახლა სხვა მხრიდან შემოვუარე.

— ეჰ, ექიმო, ჩემი ამბავი რომ იცოდეთ... ხუთი გოგო მყავს ერთმანეთის მიყოლებით. როგორც იქნა, ვაჟი გამიჩნდა და ამისმა ტირილმა იმიტომ შემაშინა და გამამწარა, თორემა ვაჟკაცი როგორ არა ვარ!

მეორე დღეს ის კაცი კვლავ მომადგა. შემომხედა და გაბიღიმა.

— მადლობთ, ექიმო! ჩემი ბიჭი, მართლაც, ისე კარგად არის, რომა... ხალხში გავიკითხ-გამოვიკითხე და ყველამ შენსავით დამაიმედა!..

იმ კაცის გულახდილმა საუბარმა მე დამარწმუნა, რომ ხალხი მარტოოდენ ექიმს არ ენდობოდა. ეს ამბავი რამდენიმე დღეში კიდევ უფრო დავინამდვილე.

იმ დროს კახეთის სოფლებში უამრავი რელიგიური დღეობები იცოდნენ: გიორგობაო, ამაღლებაო, სამებობაო, ღვთის-

ვშობლობაო... და ვინ მოთვლის კიდევ. ერთი ასეთი დღეობის შემდეგ თორმეტიოდე წლის ბიჭი მომიყვანეს. მისთვის ურემს გადაევლო და მარჯვენა კიდურის მხარი ისე დაესახიჩრებინა, რომ მისი დამსხვრეული ძვალი, კუნთები და სისხლ-ძარღვთა სისტემა ნეკროზის წინაშე იყო. მე მშობლებს წინადადება მივეცი მკლავის მოკვეთაზე დამთანხმებოდნენ. მაგრამ მათ უარი მითხრეს და მთხოვეს ექიმბაშის მოწვევის ნება მიმეცა. იმ დროს თვითნასწავლ ექიმს დიდი ნდობით ეკიდებოდნენ. ექიმბაშმა ჩემი აზრი დაადასტურა და მე ამპუტაცია გავაკეთე. ბავშვი გამოჯანმრთელდა და მალე შინ წაიყვანეს.

სოფელ გურჯაანში ექიმობის დროიდან მაგონდება ზოგიერთი იქაური ადათი. კვირა დღე იყო. ჩემთან მოვიდა ერთი შეძლებული, კარგი ოჯახის პატრონი და მთხოვა: პატივი მეცი და შვილის ქორწილში მეჯვარედ წამომყევიო. ეს ჩემს პატივისცემად ჩავთვალე, თანაც ნათელმირონობაზე უარს როგორ ვეტყოდი და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. პატარძალი სოფელ კარდანახიდან უნდა მოგვეყვანა, რომელიც გურჯაანიდან რვა-ცხრა კილომეტრით იყო დაშორებული.

კარდანახში შემოგვეგება ხალხის პატარა ჯგუფი. მათ შორის ერია სოფლის მღვდელიც. ის მეთაურობდა ამ ადათის ორგანიზაციას. ეს იყო 1912 წელი. როდესაც ხალხი შეგროვდა, გურჯაანის მღვდელმა მე მომმართა: ექიმო, გვიანდება და გთხოვთ ცოტა აჩქარდეთო. მე გამიკვირდა მღვდლისაგან ასეთი უსაფუძვლო, დაუმსახურებელი საყვედური. შევკრთი, რადგან ხამი ვიყავ და არ ვიცოდი, რა იყო მეჯვარის მოვალეობა. მღვდელმა მითხრა, როგორც მეჯვარე, თქვენ

მოვალე ხართ გამოისყიდოთ პატარძალი, რომელსაც ქალები საქორწილო ტანსაცმელს აცმევენო.

ჯიბიდან ოქროს ხუთმანეთიანი ამოვიღე. 1910 წლიდან გურჯაანში ხელფასს ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ვღებულობდი, რომლის გამგე მეტად კარგი ადამიანი ნიკოლოზ იაშვილი გახლდათ. ხელფასს იგი მეტწილად ოქროთი მაძლევდა, თუმც შეიძლებოდა ქაღალდის ფულითაც მოეცა. ოქრო იმ ქალებს მივაწოდე, რომლებიც პატარძალს რთავდნენ. ოქროს ფულმა ქალების გაოცება და აღტაცება გამოიწვია.

პატარძალი ძალზე ლამაზად იყო მორთული. შევასრულეთ ჯვრის წერის სავალდებულო წესი და გურჯაანისაკენ გამოვეშურეთ.

გურჯაანში დიდი საქორწინო სუფრა გაიშალა. ერთ-ერთმა თავადმა — ანდრონიკაშვილმა ოფიციალურად გამომიცხადა, რომ ადათის მიხედვით, როგორც მეჯვარე, თქვენ უნდა იყოთ თამადა ამ დიდი სუფრისაო. ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო და უნდა გამოვტყდე, შევკრთი კიდეც, ასეთ დიდ სუფრაზე არასოდეს მეთამადა. აივანზე დაახლოებით 120 კაცი იქნებოდა, ეზოში — სამასი და აბა წარმოიდგინეთ რა გასაჭირში იქნებოდა თამადა, მით უმეტეს გამოუცდელი. წვეულება ნაშუადღევის ოთხ საათზე დაიწყო. რასაკვირველია, შიგადაშიგ სრულდებოდა კახური მრავალჟამიერი და სხვადასხვა საუკეთესო სიმღერები. ეზოში უკრავდა დაფაზურნა და დროდადრო ცეკვავდა ხალხი. იქნებოდა ღამის თორმეტი საათი, ხალხი წავიდ-წამოვიდა. ის იყო მეც უნდა წამოვმდგარიყავი, რომ ქვედა სუფრიდან მოვიდა ჩემი თანაშემწე და მოიტანა ოთხი ჩაის ჭიქა ღვინო, მთხოვა თქვენს

სუფრაზე მიმიღეთო. შევწუხდი ძალიან. უკვე შუაღამეა და ჯერ სუფრა დამთავრებული არ არის. ამ გასაჭირიდან ჩემმა მეუღლემ მიხსნა. მოვიდა და მითხრა: ბავშვი ცუდად არის და სასწრაფოდ უნდა წამოხვიდეო. ეს ხერხი ჩემმა მეუღლეº განზრახ მოიგონა, რომ თავი დამეღწია ამ გასაჭირიდან.

ამით დამთავრდა ჩემი პირველი მონაწილეობა ქორწილში, რომელიც იმდროინდელი ადათის მიხედვით ჩატარდა.

*

ახალგაზრდა ექიმს მოსავლელად დიდი უბანი ჩამაბარეს. დღევანდელი გეოგრაფიულ-ტერიტორიული დაყოფით მასში შედიოდა სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონების ნაწილი და გურჯაანის რაიონი მთლიანად. ამ უბანზე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამკურნალო პროფილაქტიკური მუშაობა ძირითადად მე მეკისრებოდა და ყველაფერზე პასუხისმგებელი მე ვიყავი. მყავდა ორი ექთანი, ერთი მათგანი მეანი იყო. გარდა ამისა, ალაზანს გაღმა, სოფელ კაბალში, ჩემი ხელმძღვანელობა-მეთვალყურეობით საფერშლო პუნქტი მუშაობდა. ჩვენ ჯამაგირს სახელმწიფო გვაძლევდა. ჩვენს უბანში სამი ექიმი საზოგადოებრივ ხარჯზე მკურნალობდა ხალხს. ერთი ბაკურციხეში იდგა, მეორე — ველისციხეში და მესამე — ანაგაში.

ჩემი საექიმო უბნის მოსახურე პერსონალი დღევანდელ ვითარებას რომ შევუდაროთ, საოცრად კონტრასტულ სურათს დავინახავთ. მარტოოდენ გურჯაანის რაიონში დღეს 360 ექიმი მუშაობს.

ასე სამარცხვინო იყო მშრომელი ადამიანების საექიმო დახმარება მეფის რუსეთის იმ წყეულ დროში.

ექიმების სამუშაო პირობებიც სავალალო იყო. მაგრამ ჩვენ ყოველგვარ გაჭირვებას ვიტანდით და მოსახლეობას პატიოსნად ვემსახურებოდით.

ახლა ექიმები მეტწილად მანქანით დადიან, მაშინ კი სოფლის ექიმებს რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა გვიხდებოდა დარსა თუ ავდარში, ღამით თუ დღისით.

ამას მე დღევანდელი ახალგაზრდა ექიმების გასაგონად ვამბობ.

ზოგჯერ შენ თვითონ თუ არ გამოსცადე გაჭირვება, სხვის გაჭირვებას ვერ გაიგებ, სხვისი ტკივილი მაინცადამაინც არ შეგაწუხებს.

მაშინ სოფლის ექიმებს მარტოოდენ ავადმყოფი ადამიანების მკურნალობა როდი გვევალებოდა, ხალხი საზოგადოებრივი ამბების მოგვარებასაც ჩვენგან მოითხოვდა ხოლმე.

როდესაც მე გურჯაანში ჩავედი, იქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობდა. იყო მხოლოდ ორი ეკლესია, სადაც ორი მღვდელი სწირავდა, ერთი უბადრუკი სკოლა.

ბიბლიოთეკის სახსენებელიც არსად იყო.

ბიბლიოთეკის დასაარსებლად ვიღაცას ინიციატივა უნდა გამოეჩინა.

შევკრიბე ადგილობრივი ინტელიგენცია, ესენი იყვნენ — ოთხი მასწავლებელი, ერთი ბოქაული, საფოსტო განყოფილების სამი მუშაკი, და ეს ამბავი გავუმჟღავნე.

— სოფელში ბიბლიოთეკა ნამდვილად საჭიროა, მაგრამ უფულოდ არ გაკეთდება, — მითხრა ბოქაულმა.

— ფულს ვიშოვით! — მივუგე მე.

მოვაწყვეთ დიდი საქველმოქმედო საღამო. საღამოზე მო-

ვიპატიჟე პოეტები იოსებ გრიშაშვილი და სანდრო შანშიაშვილი. ორივემ დიდი თანაგრძნობით მიიღო მონაწილეობა ამ კეთილშობილურ საქმეში. ამ საქმეში ჩავრიე აგრეთვე იმდროინდელი თავადაზნაურული საზოგადოება. სტუმრად მოვიწვიეთ თითქმის მთელი სიღნაღის ხალხი.

ამან თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ყველამ გვითანაგრძნო და ათას ორასი მანეთი შევაგროვეთ. ამ ფულით საკმაოდ დიდდარბაზიანი შენობა ავაგეთ და წიგნებიც შევიძინეთ. ასე გაიხსნა გურჯაანის ცენტრში სახალხო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მშენებლობაში ძალიან დაგვეხმარა იმ დროისათვის საუკეთესო ინტელიგენტი, საზღვარგარეთ განათლებამიღებული თავადი ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა. მან აგრეთვე გვირჩია, სოფელში მოგვეწყო მოკლევადიანი საკრედიტო დაწესებულება. ასეთი დაწესებულება მისი თაოსნობით, მართლაც, მალე დაარსდა.

წინათ, მოგეხსენებათ, სოფლებში ჰიგიენური წყალსადენები არ არსებობდა.

მე კარგად ვიცნობდი სახელმოხვეჭილ სამოქალაქო დარგის შესანიშნავ ინჟინერს გიგო ქურდიანს, რომელიც წარმოშობით საგარეჯოელი იყო. იგი დიდი პატრიოტი იყო, ვისაც კი სოფლებში სასმელი წყლის გაყვანა ეწადა, ყოველნაირად ხელს უწყობდა. შევხვდი მას და ვთხოვე:

— ჩამოდი გურჯაანში, ნახე უწყლობა როგორ აწუხებს ხალხს. იქნებ რამე უშველო! სამუდამოდ შენი მადლობელი დარჩებიან.

უარი არ უთქვამს, ჩამოვიდა და... გურჯაანში კარგი სასმელი წყალი აჩუხჩუხდა.

იმ დროს კახეთის სოფლებში ბევრი საჭირბოროტო საკითხი იყო გადასაჭრელი. ჩვენ საზოგადოების მხარდაჭერა გვჭირდებოდა. ჰოდა, ვცდილობდი, ეს ყველაფერი ხალხს გაეგო. იმ დროს გამოდიოდა გაზეთი „კახეთის ხმა“. იმ გაზეთის რედაქციამ თანამშრომლობა შემომთავაზა და მეც დიდი სიამოვნებით ვბეჭდავდი კორესპონდენციებს სათაურით: „ექიმის წერილები“.

მაშინ კახეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში ბევრი სამკურნალო წყალი უპატრონოდ იყო მიგდებული. ზოგ წყალს ხალხი იყენებდა, მაგრამ არაკანონზომიერად. ხშირად, არასწორი გამოყენების გამო, სამკურნალო წყალს სარგებელზე მეტი მავნებლობა მოჰქონდა. რაც ერთი ადამიანისათვის წამალია, მეორისათვის შხამად იქცევა ხოლმე. ამას ვერ ითვალისწინებდა ხალხი, მრჩეველი სპეციალისტი ექიმი კი ყველადით არ ჰყავდა და იმ წყაროებს ბრმად ეწაფებოდა.

ექიმის უმეთვალყურეოდ ბევრი ავადმყოფი თვითონ ისწრაფებდა სიცოცხლეს სწორედ სამკურნალო წყლით ან სამკურნალო ტალახით.

მაშინ უმეთვალყურეოდ იყო გურჯაანის ახლომდებარე სამკურნალო ადგილი ახტალაც.

როგორც ექიმმა, მე ახტალას მივხედე და იქაური ბუნებრივი სამკურნალო ტალახის გამოყენებას სწორი გეზი მივეცი. მართალია, მაშინ ეს ყველაფერი პრიმიტიულ პირობებში ხდებოდა, მაგრამ მაინც უკეთესი შედეგები მოჰყვა. მის ექსპლოატაციას უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

1912 წელს შედგა ამიერკავკასიის სამოქალაქო სამსახურის ექიმების პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე მეც გამოვედი

მოკლე მოხსენებით. გურჯაანისა და მისი შემოგარენის სანიტარული მდგომარეობა აღვწერე და ახტალის ტალახით მკურნალობის საკითხსაც შევეხე.

ვინ იყო პატრონი, თორემ აქ ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი — მოსაწესრიგებელი. არც ახტალა იყო კარგ დღეში, არც გურჯაანის შემოგარენი და არც სხვა უბნები.

ერთი ან ორი ექიმი უზარმაზარ უბანს როგორ მოუვლიდა.

ეპიდემია ხან სად იფეთქებდა და ხან სად! შველა კი... ეჰ, მოსაგონებლადაც კი ძნელია.

ალაზანს გაღმა ქართლიდან და სხვა რაიონებიდან მიწის სივიწროვის გამო გადმოსახლებული ოსები ესახლენ.

თბილისის გუბერნიის საექიმო სამმართველომ მომწერა: ალაზანს გაღმა ახალდასახლებულ სოფლებში ხალხი ციმბირის წყლულით დაავადებულა და ნახეო. დიახ, ასე შემომითვალეს, ნახეო, თორემ უშველეო, ეს არ წამოსცდენიათ, ასე არ გაკადნიერებულან, იცოდნენ, რომ ცარიელი ხელებით მე მათი შველა არ შემეძლო.

დასამალი რა არის, იმ უბნებს განათლებაც აკლდა და კულტურაც. ღარიბები იყვნენ და რასაც მოიხელთებდნენ, ჭამდნენ. როგორც გამოვარკვიე, ციმბირის წყლულით დაავადებულ პირუტყვს ისინი კლავდნენ, ატყავებდნენ და მერე... ტყავს ტყავად იყენებდნენ და ხორცს — ხორცად...

იქ მიმავალს ბოქაულმა საერობო დარაჯი გამაყოლა. მიველი და გულს შემომეყარა. ამ საშინელი დაავადების ყოველგვარი სახე დამხვდა იქ. მაგრამ ჩემს განკარგულებაში არც რაიმე ტრანსპორტი იყო, რომ დაავადებულნი სადმე წამეყვანა, არც სამკურნალო ღონისძიების ჩასატარებელი საშუალე-

ბანი. მარტოოდენ დაავადებულთა სიის შედგენით დავკმაყოფილდი.

ამიერკავკასიის იმდროინდელი სამედიცინო სამმართველოს უძლურება და თითქმის არარაობა ასეთი ეპიდემიების გავრცელებას ვერაფრით ვერ უშლიდა ხელს. ყველა ჭირი და ავადმყოფობა თავის ნებაზე დასეირნობდა ყველგან.

ექიმს თუ ხელში წამლებიც არ უჭირავს, ცარიელი კარგი სიტყვით და კეთილი სურვილებით ჭირს ვერ მოსპობს.

მაშინდელმა ჩემმა უმწეობა-უსუსურობამ ბევრჯერ ჩამწყვიტა გული: რაღა ექიმი ვარ, თუ ავადმყოფს ვერ დავეხმარები-მეთქი?

ერთხელ ველისციხიდან მოვიდა კაცი და მთხოვა, შინ ავადმყოფი გვიწევს და იქნებ წამომყვეო.

— რა სტკივა? — უპირველესად ეს ვკითხე.

— ხელ-ფეხის სახსრები სტკივა მწვავედ, ვერცა ხრის, ვერცა შლის. სიცხეც დიდი აქვს. განსაკუთრებით ფეხები აწუხებს. ჯოჯოხეთურად იტანჯება. გვიშველე, ექიმო!

წავყევი. შევედი შინ და რას ვხედავ: წევს თვალტანადი ორმოციოდე წლის ვაჟკაცი. სიცხე გავუზომე და გავოცდი. ასეთი რამ არც მანამდე მინახავს და არც შემდეგ.

— ორმოცდაორი?! დაუჯერებელია!

ხელახლა გავუზომე. ისევ ორმოცდაორი აჩვენა.

კაცს ცეცხლი ეკიდა, თონესავით იყო გახურებული.

მაჯისცემა ძალიან ხშირი ჰქონდა — ას ოცი.

მის სახსრებს ვერ მივეკარე, თითის უბრალო მიკარებაზეც კი ყვიროდა.

სხვა რამეს ვერ ვივარაუდებდი, მწვავე რევმატული წარმოშობის სახსრების დაავადება დავადგინე, გამოვუწერე დიდი

დოზა სალიცილის ნატრიუმის ხსნარი და ცალკე გულის წამალი. ვგრძნობდი, რომ ეს ვერ უშველიდა, მაგრამ მაშინ სხვა წამლები არ მოგვეპოვებოდა. არც სხვანაირი დახმარების საშუალება გვქონდა.

დილით კი გავიგე: წამლები დალია, მავრამ მხოლოდ ცოტა ხნით უშველავათა, მერე ისევ მწვავე ტკივილები დაეწყო და სული დალიაო.

ვიცი, მე ერთი ბეწო ბრალიც არ მიმიძღოდა მის სიკვდილში, მაგრამ მთელი დღე გულაფორიაქებული ვიყავი, რაღაც დანაშაულს მაინც ვგრძნობდი ყველა ექიმის მაგივრად: სიკვდილის წინაშე ასე უმწეონი რატომ ვართ-მეთქი. დანაშაულს ვგრძნობდი ყველა სამედიცინო დაწესებულების მაგივრად: ადამიანის გადასარჩენად ახალს რომ ვერაფერს იგონებდა და სიკვდილ-სიცოცხლეს უკან მისჩანჩალებდა მოწმესავით.

იმ ვაჟკაცის სიკვდილი მე განსაკუთრებით განვიცადე, როგორც პირველი და იშვიათი შემთხვევა.

ჩვენს დროში ასეთ ავადმყოფობას სიკვდილი უკვე ველარ ერევა.

ალბათ, მოვა დრო და მედიცინა ყველა ავადმყოფობას დაამარცხებს!

გურჯაანთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია მოვიგონო შემდეგი: ჩემი ექიმის თანამდებობაზე გურჯაანში მუშაობის დროს საექიმო ამბულატორიაში მუშაობდა 17 წლის ვაჟი სიმონ ყვირალაშვილი. საკმაოდ ღარიბი ოჯახის შვილი. იგი ღავისი ხელფასით ეხმარებოდა ღატაკ ოჯახს. მას შემდეგ გავიდა დიდი დრო, დაინგრა ძველი წყობილება და დადგა ახალი ხანა. და აი, ერთხელ იმ ჩემმა ძველმა ნაცნობმა გამიხსენა და რთველში მიმიპატიჟა. მან გამაცნო თავისი ოჯახის

წევრები: მეუღლე და ორი ვაჟკაცი, რომელთაც უმაღლესი განათლება მიეღოთ და საუკეთესო ოჯახები ჰქონდათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ასე გაუხსნა გზა ყველა დაჩაგრულსა და ღატაკს.

წაგვიყვანა საუკეთესოდ დამუშავებულ თავის ვენახში და იქ ბუნების წიაღში გაგვიშალა დოვლათიანი კახური სუფრა. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ დიდი რაოდენობით სახელმწიფოსაც ჩააბარა ყურძენი.

მე ეს ოჯახი განზრახ მოვიყვანე, როგორც მაგალითი ძველი და ახალი ცხოვრებისა. როდესაც მასთან მივდიოდი გურჯაანში მსუბუქი მანქანით, საუკეთესო ასფალტირებული გზების დანახვაზე მაგონდებოდა ძველი გურჯაანი. რაოდენი სხვაობა იყო იმ ძველსა და განახლებულ გურჯაანს შორის.

თვით გურჯაანმა ხომ გამაოცა და გამაოცა. ველარც კი ვიცანი დიდი სახლებით დამშვენებული კოხტა ქალაქი.

თვით ცხოვრებამ და სინამდვილემ დაგვანახვა ხალხის კოლექტიური შრომის დიდი უპირატესობა და ბარაქა.

აქვე უნდა გავიხსენო ამ ოთხი წლის წინათ ჩატარებული საერთაშორისო მეღვინეობის კონგრესი. მისი თავმჯდომარე ფრანგი პროფესორი ლე როა მოხიბლული იყო ქართული ვენახითა და ღვინით. იგი საჯაროდ აცხადებდა, საქართველო ნამდვილი ღვინის ქვეყანაა. თანაც ხუმრობით დასძენდა: დიდი სიამოვნებით დავრჩები საქართველოში, თუ ყვარლის სარდაფის ღვინოები არ მომაკლდებაო.

*

ახლა ერთი შვლის ამბავსაც მოგიყვებით. იმ შვლისას, თავისი რქები სახსოვრად რომ დამიტოვა.

1910 წლის ნოემბრის მიწურული იქნებოდა, დაზამთრებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ერთმა ახალგაზრდა მონადირემ გურჯაანში შვლის ნუკრი მოიყვანა. სახარე იყო. რქები ჯერ არ ჰქონდა, მაგრამ სარქე ადგილი ორივე მხარეს ამობურცოდა და ზედ ბალნის ბუსუსები თავისებურად ეყარა.

შვლის ნუკრი მომეწონა და ვთხოვე, მომყიდე-მეთქი.

ვერ მოგყიდი და, თუ გინდა, საჩუქრად წაიყვანეო.

ხუთი მანეთი ჯიბეში ძალით ჩავუდე და ნუკრი წამოვიყვანე.

დაზამთრება რომ დაიწყო, ბალანი თანდათან გაუსქელდა და უფრო რუხი გაუხდა.

ჩვენ მალე გამოვნახეთ საერთო ენა. უპირველეს ყოვლისა, მოვნათლე — ჯერო დავარქვი, ჯეირანის მოფერებითი სახელი.

დავუძახებდი შორიდან და მაშინვე ჩემსკენ გამოიხედავდა. საჭმელ-სასმელს მე თვითონ ვურჩევდი. ვიცოდი, რას უფრო გემრიელად შეექცეოდა. განსაკუთრებით ტკბილი ნამცხვარი და ლეღვის ჩირი უყვარდა, მაგრამ მითხრეს, ეგეთ რამეს ხშირად ნუ აჭმევო და მეც ხანგამოშვებით ვანებივრებდი.

ტყავის საყელო გავუკეთე, იმ საყელოს რკინის რგოლი გამოვაბი, მერე იმ რკინის რგოლში მავთული გავუყარე და ქვედა სართულის დერეფანში გავჭიმე. შველი რკინის რგოლს იმ მავთულზე დაასრიალებდა და თავისუფლად მიმოდიოდა. ზოგჯერ შეიკუნტრუშებდა კიდეც, გაქცევა უნდოდა, მაგრამ მავთული არ უშვებდა და ბედს ემორჩილებოდა.

გავიდა ხანი. შველი უფრო და უფრო შემეჩვია. შველი

მენდობოდა, მეც ვენდობოდი. საყელოზე პატარა ზარი შევაბი, მერე თოკჩაბმული საგანგებოდ გავასეირნე. გაქცევა არ უცდია. იმ დღიდან მეტი ნდობა გამოვუცხადე. თოკი შევხსენი და წინ გავუძეხი. გამომყვა. თვალყურს ვადევნებდი, აბა რას იზამს-მეთქი. თავქარიანობა არ გამოუჩენია, ჩემმა ნდობამ იგი უფრო გულითადად დამიახლოვა. შემდეგ სადაც წავიდოდი, უკან მომდევდა. ურთიერთნდობის საგალობელივით წკარუნობდა შვლის კისერზე დაკიდებული ზანზალაკი. ბოლოს იმასაც მივაღწიე, რომ შველს ღამით დაბმა აღარ სჭირდებოდა. დილით კიბეზე ამოპაკუნდებოდა და გაჩერდებოდა. ეს იმის ნიშანი იყო, მშია და მასაუზმეო. მის სურვილს უმალვე ვაკმაყოფილებდი.

დეკემბერში დიდი თოვლი მოვიდა. გურჯაანის ფერდობებზე კაცს წელამდე სწვდებოდა. შველი მარტო გავუშვი და მე ნელა გავყევი უკან. ყველა მონადირემ იცოდა, რომ ზარჩაბმული შვლის ნუკრი ჩემი იყო და მას ხელს არავინ ახლებდა. გაიხარა ნადირმა, გაინავარდა თავის ნებაზე. რამდენიმე მეტრზე ხტებოდა. მეც ძალიან მსიამოვნებდა მისი ხტომა-ნავარდი. შორს რომ წავიდა, გავძახე:

— ჯერო, ჯერო!

მან ყურები დაცქვიტა და გაირინდა. იმ წუთში ქანდაკებასა ჰგავდა. მერე მობრუნდა, მომიახლოვდა, გაჩერდა და შემომაჩერდა.

— ჯერო, გვეყოფა სეირნობა, წავიდეთ შინ. წავიდეთ? — ვკითხე ღიმილით.

პირუტყვს, რა თქმა უნდა, პასუხი არ გაუცია. მაგრამ შინისკენ რომ გამოვბრუნდი, უკან გამომყვა. ერთხანს ჩემს კვალს მოჰყვებოდა, მერე წინაც კი გამისწრო.

შვლის ნუკრთან გასეირნება სულიერად ძალიან მასვენებდა.

მონადირეებმა ჩემი გატაცება დაინახეს და მალე ფური შვლის ნუკრი მომიყვანეს.

შვლის ნუკრები ერთმანეთს მალე შეეჩვივნენ.

მაგრამ გავიდა ექვსი თვე და... სადღაა ფური? ითვალთმაქცა და ეშმაკურად გაგვეპარა.

ჯერო კვლავ მარტო დარჩა.

რქები ამოუვიდა და გალაღდა.

თითქმის ოთხი წელიწადი მეთამაშებოდა იგი. ამასობაში რქები სამჯერ გამოიცვალა. მახსოვს, შემოდგომაზე, დაახლოებით ნოემბერში დაყრიდა ხოლმე. ზაფხულობით რქები უმაგრდებოდა და წვეტიანი უხდებოდა. ყოველ წელიწადს რქის შტოები ემატებოდა და გუნება-ხასიათიც ეცვლებოდა... ბოლოს გაავდა და ხალხს სხვანაირად დაუწრო ყურება, აგრესიული შეტევა დასჩემდა.

რაც შემდეგ მოხდა, შემდეგ გიამბობთ.

*

სოფლის ექიმს იმდენი სამუშაო მქონდა, შველი ვიღას ახსოვდა... თითქმის ყველა დღე ტკივილით იყო სავსე.

აი, შემოდგომის პირია. თრიალეთის საძოვრებიდან თუშები ცხვარს შირაქის ველისაკენ მიერეკებიან. მათი გზა გურჯაანზე გადის.

საღამო ჟამია.

შემატყობინეს: გზაზე მეცხვარე წევს, კვნესის და ძლიერ ახველებსო.

სასწრაფოდ მივაკითხე.

— რა გაწუხებს, ძმობილო?

— აბა, რა ვიცი... გზაში რაღაც ჭირი წამომეწია...—მიპასუხა ავადმყოფმა თუშური კილოკავით.

ამბის მომტანი დავიხმარე და თუში საავადმყოფოში წამოვიყვანეთ.

აქ გულდასმით გავსინჯე. ფილტვების კრუპოზული ანთება აღმოაჩნდა.

— შენ ახალ ავადმყოფს არა ჰგავხარ, — ვუთხარი მე.

— ჰო, გზაში გავხდი ავად, მაგრამ ხომ არ გავჩერდებოდი, ვიდრე სიარული შემეძლო, მოვდიოდი, ვითმენდი ჭირს. მერე აქ წამაქცია.

ექთანს კოტოშები დავასმევინე, სათბუნებელი კომპრესიც დავადეთ, გულის წამალი მივეცი, ამოსახველებელიც დავალევინე.

ერთხანს იბორგა, ორიოდე დღეში კი ოფლი დაასხა და ხველებას მოუმატა. ნახველს ბლომად იღებდა. მერე ოფლისმოდენამ და ნახველის ამოღებამ უშველავათა. სიცხემ დაუწია და კაცი გახალისდა. ცოტა რომ მომჯობინდა, დაიჟინა, უნდა წავიდეო. მაშინვე როგორ გავუშვებდი. ექვს დღეს სიტყვის ჯაჭვით მყავდა დაბმული, ხან იქიდან შემოვუარე, ხან აქედან და როცა დავინამდვილე, გადარჩა-მეთქი, მის მტკიცე მოთხოვნას დავემორჩილე და გავუშვი.

მეცხვარეები ავად იშვიათად ხდებიან და არც ერთ ავადმყოფობას ქედს არ უხრიან. ის თუშიც ეგეთი გამოდგა.

*

ვინაიდან იმ უბანში სხვა ექიმი არ იყო, მე მეან-გინეკოლოგის მოვალეობის შესრულებაც მიხდებოდა.

ერთხელ მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს:

— მესამე დღეა სოფლის ბებია ამშობიარებს ქალს და არაფერი ეშველა. ექიმო, წამოგვყევი, ღმერთიმც შეგეწევა!

ავიღე აბგა, რომელშიც სამეანო ქირურგიული იარაღის კომპლექტი მედო, და მთხოვნელებს გავყევი.

მშობიარესთან სოფლის ბებია დამხვდა, რომელმაც მიამბო: ბავშვი თავით არ წამოვიდა. გარდიგარდმო წევს, წყალიც, მეორე დღეა, რაც დაღვრილია. მას მოუხერხებია ბავშვის წინმდებარე მხარის გამოგდება და მას აქეთ მთელი ძალღონით ეწეოდა. ბავშვი უკვე მკვდარი იყო. მე ისღა დამრჩენოდა, ჩვილის გვამი ნაწილებად დამეჭრა და მშობიარე ქალი გამეთავისუფლებინა.

ჩვილი დაიღუპა, მაგრამ დედის გადარჩენა კი მოვახერხე.

შემდეგ იმ ქალს სხვა შვილი ეყოლა და ის შვილი ამჟამად ინჟინერ-გეოლოგია.

მახსოვს სხვა შემთხვევაც. ეს 1913 წელს მოხდა.

მაშინ კახეთში რკინიგზა გამოჰყავდათ. რამდენიმე საგზაო ინჟინერი ბაკურციხეში ცხოვრობდა.

მოვიდნენ ბაკურციხიდან და მითხრეს: ერთ-ერთი ინჟინერის ცოლი შვილს ელოდება და ცუდი ამბავი რომ არაფერი მოხდეს, უნდა ნახოო. ვინ ინჟინერია-მეთქი, ვკითხე. რუსია, გვარი აღარ გვახსოვსო. გავყევი. გურჯაანიდან ბაკურციხემდე რვა კილომეტრი გავიარე.

ბებიაქალი უკვე მოეყვანათ და მშობიარობას უცდიდა.

მე ქალი გავსინჯე და ოჯახის მამა დავაიმედე:

— ნუ გეშინიათ, არავითარი გართულება არ მოხდება.

დავემშვიდობე და შინ წამოსვლა დავაპირე.

ინჟინერი შეფიქრიანდა და შუბლი მწუხარედ მოეჭმუხნა.

— ბოდიში, ექიმო, მაპატიეთ... ნუ წახვალთ, ძალიან გთხოვთ! მე ერთობ ვღელავ... ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მომსვლია... ვერ ვისვენებ... თქვენ რომ წახვიდეთ, არ ვიცი, რა დამემართება... თქვენ იმედი ხართ... დარჩით ამაღამ აქ!..

განა შეიძლებოდა ერ ადამიანის მარტო მიტოვება, იმედად რომ მივაჩნდი?!

მეც მასთან ერთად თეთრად გავტეხე ღამე.

დილით, ბავშვის ტირილი რომ გავიგონეთ, ორივეს ცრემლი მოგვადგა თვალზე და ეს ცრემლი ღიმილში გადნა.

— აი, ხომ გითხარი, ყველაფერი კეთილად დამთავრდებაა-მეთქი!

— ყველაფერი კეთილად იმიტომ დამთავრდა, რომ თქვენ დარჩით აქ... მე ისე მწამს. თქვენ რომ აქ არ ყოფილიყავით, ყველა ინერვიულებდა: მე, ჩემი მეუღლე, ბებიაქალი...

სწორე გითხრათ, იქიდან ძილგატეხილი და დაღლილი, მაგრამ სამაგიეროდ მორალურად კმაყოფილი წამოვედი.

ზოგჯერ ექიმის დანახვა ავადმყოფს წამალზე მეტად უხდება. ექიმს რომ ხედავს, მხნეობა ემატება და ყოველგვარ ტკივილს უფრო გაბედულად უტევს და სჯაბნის.

მთავარია იმედი! იმედი არ უნდა მოუშალო ადამიანს, რწმენა არ უნდა წაართვა. მე ეს თვითონ ცხოვრებამ მასწავლა სწორედ მაშინ, როცა ახალგაზრდა ექიმი ვიყავი.

•

ვინაიდან ბავშვებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ ქართული ანდაზა უნდა გავიხსენო: ერთი შვილი — არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი — მართლა შვილიო.

ყველა ანდაზაში ხალხის სიბრძნეა გახვეული.

ოჯახში ბავშვის სიმრავლე მრავალ საჭირბოროტო საკითხთან არის დაკავშირებული. ქართველთათვის კი იგი განსაკუთრებულ ეროვნულ საკითხად გვევლინება. ეს მწვავე მნიშვნელობის საკითხი (მე ვიტყოდი, საკმაოდ მწვავე მნიშვნელობისაც), არა მარტო დღეს, ადრეც ბევრჯერ დასმულა.

წინათ, სტუდენტობისა თუ ექიმად მუშაობის დროს, თვალში საცემი იყო, რომ, სადაც მივდიოდი, ბავშვთა ჟრიამული ისმოდა. ეს ერის უკვდავების ჰიმნივით ჟღერდა. ბევრი იყო მრავალშვილიანი ოჯახი. სამაგალითოდ შორს წასვლა არ დამჭირდება. ჯავახიშვილებში იშვიათი იყო ოჯახი, ხუთზე ნაკლები შვილი რომ ჰყოლოდა. იყო უფრო ბავშვმრავალიც. ვანო სარაჯიშვილის მამის ოჯახში რვა ძმა და ერთი და იყო. ასევე იყო ფალიაშვილების ოჯახიც. გამიგონია: ღვაწლმოსილ მსახიობსა და საზოგადო მოღვაწეს კოტე მესხს ათამდე დაძმა ჰყავდაო.

მიუხედავად ამისა, ერისკაცები მაინც შეშფოთებას გამოთქვამდნენ: ქართველები ნაკლებად ვმრავლდებითო.

1903 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა საზღვარგარეთიდან ჩამოსული უმაღლესდამთავრებული ეკონომისტისა და სტატისტიკოსის, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორის, ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი. იგი სწორედ ქართველი ერის გამრავლების აუცილებლობაზე მოგვითხრობდა.

ეს საკითხი ამჟამადაც მწვავედ დგას. მე ამ საკითხზე განგაშის ატეხვის მომხრე არა ვარ, მაგრამ შეუძლებელია, საყვედური არ ვუთხრათ იმ ქართველ დედებს, რომლებიც თითო-ოროლა შვილის მეტს არ იჩენენ.

განა ჩვენი წინაპრები მატერიალურად ჩვენზე უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი? იქნებ გგონიათ, როცა ოჯახში თითო-ოროლა ბავშვია, ისინი უფრო ჯანმრთელნი და კეთილი ზნისანი იზრდებიან?!.

გულშემატკივრობა საქმეს ვერ უშველის, საჭიროა რაიმე შთამაგონებელი ღონისძიება.

მართალია, საბჭოთა კავშირში ამის წამახალისებელ ღონისძიებას თვითონ სახელმწიფო ანხორციელებს — ეხმარება მრავალშვილიან დედებს, მაგრამ ამ დახმარებით ყველაზე ნაკლებად ქართველები სარგებლობენ.

ქართველი ექიმები კი... ნულარ იტყვით, ზოგჯერ თვითონ აფუჭებენ საქმეს.

ამაზე ექიმებიც უნდა დაფიქრდნენ და სხვებიც...

*

ძნელია მარტოხელა კაცის ცხოვრება. გურჯაანში ფეხი რომ მოვიდგი, ქალიც შევირთე — ჩემივე თანამშრომელი — ექთანი ანეტა მაღალაშვილი.

ვინაიდან ოჯახს მოვეკიდე, ვიწრო ოთახში ცხოვრება აღარ შემეძლო. გლეხკაცმა ალექსი ბეზარაშვილმა შემომთავაზა, ჩემთან გადმოდიო. იგი ორსართულიან სახლს აშენებდა. მალე დაამთავრა და ერთი ოთახი მეორე სართულზე მე დამითმო.

ეს ოჯახი კეთილ მოგონებად დამრჩა სამუდამოდ.

მიუხედავად იმისა, რომ გურჯაანში პირველდაწყებითი სკოლა არსებობდა, ალექსიმ წერა-კითხვა არ იცოდა. ფულის გამოსაცნობადაც კი მეუღლეს იშველიებდა. სამაგიეროდ მუ-

ყაითი და გამრჯე კაცი იყო, ყველა საქმეს გულმოდგინედ აკეთებდა. არა მარტო შრომაში, ყველასთან დამოკიდებულებაში უწმინდესი და უპატიოსნესი ადამიანი გახლდათ. ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, გინება იცოდა და რომ დაიწყებდა, მეუღლე ძლივს აჩერებდა ხოლმე. ვინაიდან ალექსის სიწმინდე ყველას სწამდა, მისი გინება არავის სწყინდა.

ხუთი ბავშვი ჰყავდა, სულ წვრილ-შვილი: მიხაკო, კატო, ნატო, სოლიკო და ილო. ამ დიდ ოჯახს მარტო თვითონ უვლიდა, დამხმარე არავინ ჰყავდა. შვილებსაც კარგად უვლიდა და უზარმაზარ ვენახსაც. ალექსისთანა ღვინოს გურჯაანში მაშინ იშვიათად აყენებდა ვინმე.

მისი რთველი მართლაც რთველი იყო, ბარაქიანი.

ქვედა სართულში მარანი ჰქონდა მოწყობილი. იქ უზარმაზარი საწნახელი იდგა. ალექსი სამ-ოთხ დღესა წურავდა ყურძენს. საწნახელიდან მოჩხრიალებდა ტკბილი მდინარე. ღუღუნებდნენ ოცკოკიანი ქვევრები და მარანში საამო ხმა იღვრებოდა.

გლეხი ბევრს შრომობს, სხვაზე მეტ გაჭირვებასაც ნახულობს, მაგრამ, სამაგიეროდ, გლეხზე ბედნიერიც არავინ არის ხოლმე. მის ბედნიერებას სულ სხვა ეშხი და მარილი აქვს. მე ალექსის ბედნიერებას შევნატროდი.

•

კახეთში დიდი მემამულის, თავად შალიკაშვილის მოურავად ვანო სარაჯიშვილის ძმა, გიორგი, მუშაობდა. ერთ ზაფხულს ვანო თავის ძმას გურჯაანში ეწვია. გიორგიმ ძმის პატივსაცემად წვეულება გამართა და მეც მიმიპატიჟა.

კახური ლხინი გაჩაღდა. ორიოდე ჭიქა ღვინო რომ გადავკარით, გავხალისდით და სიმღერის გუნებაზე მოვედით, მაგრამ სუფრასთან ბულბული იჯდა და ჩვენ პირველნი ხმას როგორ ამოვიღებდით?

— ვანო, ძმურად, ხათრი არ გამიტეხო, გვიმღერე რამე!— ვთხოვე მე.

ბევრი ხვეწნა არ დასჭირდა. ჩემი თავი გენაცვალოსო, მითხრა და „მრავალჟამიერი“ დაიწყო. სიმღერით ასე ნასიამოვნები ჩემ სიცოცხლეში არასოდეს დავრჩენილვარ.

ახლაც, ის დღე რომ მომაგონდება, რაღაც უჩვეულო სიამოვნებას ვგრძნობ ხოლმე. იმ სუფრას რომ წარმოვიდგენ, მეჩვენება, რომ მთელი კახეთი მღერის, მღერის ვანო სარაჯიშვილის უკვდავი ხმით.

*

ახალცოლნათხოვი ორიოდე კვირით ძევერაში ჩავედი.

ერთ დღეს ჩვენს ჭიშკარს ილიკო ჯავახიშვილი მოადგა. მე ეზოში ვიყავი, მაგრამ რატომღაც ჩემი უფროსი ძმა, გიგო, იხმო და ჩემ გასაგონად დაუწყო ლაპარაკი.

— ვასილისა და გიგოს ოჯახში უცხო ქალსა ვხედავ. ნეტავ ვინ არის ეგ უცხო ადამიანი, ჩვენც რომ გავიცნოთ, არ შეიძლება? ეს რა წესია, ჯავახიშვილების კერაზე უცნობი ქალი ტრიალებდეს და ჯავახიშვილების გვარეულობა კი არ ვიცნობდეთ? შენ, ვაჟკაცო, მოგწონს ეს ამბავი?

— არ მომწონს, მაგრამ... მე არა ვარ დამნაშავე, — მიუგო გიგომ.

უმალვე მივხვდი მათ გულისნადებს. ჯავახიშვილებისათვის წვეულების გამართვას მოითხოვდნენ.

ქორწილის გადახდა მხოლოდ ერთხელ იციან. ხალხში გამიგონია, კაცმა ქორწილი მხოლოდ ერთ კერაზე უნდა გადაიხადოსო. ძეგერაში, რა თქმა უნდა, ქორწილს ვეღარ გადავიხდიდი, მაგრამ ისეთი სუფრა კი გავშალე, ქორწილის პურ-ბარილსა სჯობდა.

ჯავახიშვილთა გვარმა ჩემი მეუღლე გაიცნო და დალოცა.

იქიდან რომ გამოვბრუნდი, თბილისში ოსიკო ბარათაშვილს შევხვდი. ჩემი სიყრმის მეგობრის შალვა მესხიშვილის კოლეგას — იურისტს. ოსიკო დემოკრატიული მიმართულების კაცი იყო და კარგ ვექილადაც იცნობდნენ.

ოსიკომ ერთი თავისებური შემთხვევა მიამბო:

— სასამართლოში კაცი უნდა დავიცვა. ჩავჯექი ეტლში და სხდომაზე დასასწრებლად გავემგზავრე. მეეტლე ნება-ნება მიდიოდა და აჩქარებას არც ფიქრობდა, მაგვიანებდა. აჩქარდი-მეთქი, ზრდილობიანად ვთხოვე. ყური არ გააპარტყუნა. პირიქით, ეტლი უფრო ზოზინით წაიყვანა. ეს ვიღაცაა, შეთქმული ხომ არ არის-მეთქი. მოთმინების ფიალა თანდათან ამევსო. ავღელდი. მეეტლეს რომ ვცემო, ის მინდა, მაგრამ... რომ არ შეიძლება?! მეეტლეს მგზავრმა რომ სცემოს, სასტიკად დაისჯება. გული ყელში მომებჯინა, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ეტლი გააჩერე-მეთქი, შევძახე. გააჩერა. ჩავედი. მერე მეეტლეც ვაიძულე, ჩამოსულიყო: ახლა ხომ შენ მეეტლე არა ხარ და მე შენი მგზავრი, ორივე ხომ თანასწორუფლებიანი ვართ? მოდი, ახლა დავარტყათ! — ხელები დავიმკლავე. მეეტლეს განცვიფრებისაგან თვალები შუბლზე აუცვივდა, ახლაღა მიხვდა, რომ ნამდვილად ვუპირებდი დარტყმას და

გამოფხიზლდა. რას ჯავრობ და რას შეუწუხებიხარო, მითხრა. როგორ, აქამდე ვერ გაიგე, რომ მეჩქარება-მეთქი. არაფერს არ მოვერიდები და ერთს რიგიანად მიგბეგვავ, თუ არ აჩქარდები, გაიგე?! ამ ჩემს სიტყვას ნამდვილად ავასრულებდი, ვექილი კაცი თავზეხელაღებული კაცივით მოვიქცეოდი, მაგრამ მუქარამ გაჭრა. მეეტლე კოფოზე შეხტა, მე ეტლში ჩავჯექი და დროზე მივედი, სასამართლო ის-ის იყო იწყებოდა. მე დემოკრატ კაცს მეძახიან, მაგრამ თავზე არავის არ დავისვამ! — დაასრულა მან თავისი სიტყვა.

ეს ვექილი კაცი შესანიშნავად უკრავდა თარზე და ბაიათებსაც ჩინებულად მღეროდა.

თბილისში ჩემი ძველი მეგობარი, იროდიონ სონღულაშვილი, მინდოდა მენახა. ვიცოდი, იგი ისტორიკოსთა და არქეოლოგთა საზოგადოების მდივნად მუშაობდა (თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი იყო). სხვათა შორის, იროდიონი აქაც თავისი ბუნება-ხასიათის ერთგული დარჩა. საზოგადოებრივ მოვალეობას ზედმიწევნით ფაქიზად, უანგაროდ და ფანატიკური ერთგულებით ასრულებდა. ყველაფერში სიზუსტეს იცავდა. უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული კაცი, რომელსაც მატერიალურად ძალიან უჭირდა, საზოგადოებას თვეში სამ თუმნად ემსახურებოდა და ზოგჯერ ამ თავის ჯამაგირსაც საზოგადოების საქმეს ახმარდა.

ვიფიქრე, ვნახავ, რა დღეშია-მეთქი. მითხრეს, მეტეხის ციხეში ზისო.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მეფის მთავრობის საშინელი რეაქციის პერიოდში, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს სასტიკად სდევნიდნენ. ამ დროს ზოგი გაზეთი, კერძოდ კი „ცნობის ფურცელი“ ხშირად იცვლიდა სა-

ხელსაც და რედაქტორსაც. როცა გაზეთის მორიგი რედაქტორი გადაუყენებიათ, ილია აგლაძეს ეროდიონ სონღულაშვილი დაუბარებია და გაზეთის რედაქტორობა დაუვალებია. უარი არ უთქვამს, თუ საზოგადოებისათვის ასეა საჭირო, უკან როგორ დავიხევო.

ეროდიონი მუშაობას შედგომია, მაგრამ არ დააცალეს თურმე. მალე გაზეთი ისევ დახურეს, მისი ახალი რედაქტორი კი ერთი წლით მეტეხის ციხეში ჩასვეს. საყვედური არავისთვის უთქვამს. პირიქით, როგორც შემდეგ გადმომცეს, ამაყად და შეუპოვრადაც კი ეჭირა თავი.

ასეთი უკომპრომისო იყო იგი თავისი მოვალეობის შესრულებისას.

ეროდიონ სონღულაშვილი წმინდად ასრულებდა მუდამ არა მარტო მასზე დაკისრებულ ყველა საზოგადოებრივ საქმეს, წმინდად და ჩუმად იღვწოდა შინაც. როგორც მისი სიკვდილის შემდეგ გამოირკვა, მთელი თავისი სიცოცხლე დაძაბულ მწერლურ შრომაში გაუტარებია. ეროდიონ სონღულაშვილის გარდაცვალების შვიდი წლის შემდეგ, 1965 წელს, ცალკე წიგნად დაიბეჭდა მისი დიდი რომანი „მირანდუხტ იადხმობილი“.

მან საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა, მთელი თავისი ჯან-ღონე, გონების სინათლე და გულის სითბო სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა მსხვერპლად ისე, რომ მისგან არაფერი მოუთხოვია.

ასეთი ადამიანები ამშვენებენ სიცოცხლეს.

ვიდრე ცოცხალი იყო, მე მის ადამიანობას ვეთაყვანებოდი, ახლა კი მუხლს ვიდრეკ მისი საფლავის წინაშე.

*

დავბრუნდეთ კახეთში, სადაც ჩვენი შველი გვეგულება.

შინ არც ვიყავი შესული, კარის ზღურბლთან დამხვდნენ:

— არიქა, ექიმო! შენი მუხლების ჭირიმე! ველისციხეში უნდა წამოგვყვე, ხუთი წლის ბიჭი გვეხრჩობა, რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა ყელში!

მივხვდი, დიფტერიტი იქნებოდა... და ტრახეოტომიის გაკეთება დამჭირდებოდა.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. ბავშვს აუცილებლად სჭირდებოდა ტრახეოტომიის გაკეთება.

მთელი ოჯახი ისე შემომცქეროდა, როგორც ბიჭის საშველად ციდან ჩამოსულ ღმერთს. ავადმყოფს მოვუარე, მალე მოიხედა და მორჩა.

ნეტავი გენახათ, რა შეშინებული იყო ოჯახი. ვანუგეშებდი, ნუ გეშინიათ, არაფერი მოუვა-მეთქი, მაინც ცახცახებდა ყველა.

1912 წელს პირველი ვაჟიშვილი შემეძინა.

შიდა კახეთში და, კერძოდ, გურჯაანში, ზაფხულობით დიდი სიცხე იცის. მაშინ ხალხსა და სოფლებში ასეთი სისუფთავე როდი იყო, ბევრგან ანტისანიტარია სუფევდა და ბუზი უსაშველოდ მრავლდებოდა. ბუზი კი ათასნაირ ავადმყოფობას ავრცელებდა. განსაკუთრებით ბავშვებს უჭირდათ. მოედებოდათ რომელიმე ეპიდემია. თითქმის ყველას პირისღებინება და კუჭაშლილობა აწუხებდა. ეს ზოგჯერ ბავშვური ხოლერის სასიათსაც კი იღებდა და ნორჩების სიცოცხლეს ნაადრევად აჭკნობდა. მაზრისოდენა მიწა-წყალზე კენტად ერთი ექიმის ტრიალი, აბა, რამდენს უშველიდა. ამ შემთხვევაში ჩემს უმ-

წეობასა და უძლურებას კიდევ უფრო ვგრძნობდი. იმ მებრძოლსა ვგავდი, ირგვლივ ათასი მტერი რომ შემოსჯარვია და გამწარებული იქნევს მახვილს.

ჩემი ბიჭი ნორმალურად იზრდებოდა, მაგრამ წლინახევრისა რომ გახდა, უცებ ავად გამიხდა. რა არ ვიღონე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბავშვი სიკვდილის პირას მიდგა.

ლამის ჭკუაზე შეეიშალე, სიყრმის შვილი ხელიდან მეცლებოდა.

მეუღლეს რამდენიმე დღე თვალი არ მოუხუჭავს, აღარც ლუკმა ჩაუდევს პირში. დამუნჯდა ქალი სასოწარკვეთილებისაგან.

მე შეშინებული იქით-აქეთ ვაწყდებოდი. რას არ ვფიქრობდი, მაშინ დავრწმუნდი: როცა ექიმს ავად უხდება შვილი, იგი სხვებზე მშიშარა ხდება.

უცებ მომაგონდა, რომ ბავშვების სახელმოხვეჭილი ექიმი, ბალარჯიშვილი, ზაფხულობით თავის მშობლიურ სოფელ ბოდბეში ისვენებდა.

— წავიდეთ ბალარჯიშვილთან, — გავუზიარე ჩემი ფიქრი მეუღლეს. — ასე ხელდაკრეფილი ხომ არ ვიქნებით?

უცებ ოჯახში იმედი გაჩნდა. ჩემი მეუღლე უმალვე გამოფხიზლდა და ჩემზე მეტადაც კი გააქტიურდა. მომაკვდავი ბავშვი სასწრაფოდ ეტლში ჩავსვით და სიღნაღისკენ გავეშურეთ.

სოფელ ანაგიდან სიღნაღამდე აღმართია. არ ვიცი, ამან იმოქმედა, ბავშვის ჰაერზე გასეირნებამ თუ სხვა რამემ, ბიჭს სუნთქვა გაუუმჯობესდა და რაღაც შეღავათი იგრძნო. ადრე გულში ჩასახული იმედი თანდათან გამეზარდა. ბავშვი მკლავებზე დავიწვინე და მის სუნთქვას მივუგდე ყური.

ეტლი ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა. მზე ჩაიწვერა და ნიავმა დაუბერა, საღამოს საავო ნიავმა. ეს თითქოს ბავშვსაც ეამაო, აქამდე უფერულ ლოყებზე ფერი მოუვიდა. მერე დედამ რომ დაუძახა, თვალები გაახილა და ისე შემოგვხედა, გეგონებოდათ, მშობლების სასოწარკვეთილება იგრძნო და გამხნევებას ცდილობსო.

სიღნაღის სასტუმროში ბავშვმა იმდენად მოიხედა, დედას ტირილით საჭმელიც კი მოსთხოვა.

მაგრამ იმ ღამეს ჩვენს თვალს ძილი მაინც არ მიჰკარებია.

გათენებისთანავე ბავშვი ბოდბეში ჩავიყვანეთ ბალარჯიშვილთან.

მან ბიჭი გულმოდგინედ გასინჯა და მხარზე ხელი დამარტყა.

— მშიშარა ყოფილხარ, დიმიტრი! ბავშვს არაფერი უჭირს. ამ ბიჭის ქორწილში ჩვენ ერთად ვიქეიფებთ! იცოდე, ქორწილი არ გამომაპარო, თორემ მეწყინება, ღმერთმანი! გული საგულეში დაიბრუნე. ასე რამ დაგაფრთხო?!

რა უნდა მეთქვა? მხოლოდ გავუღიმე. გულში კი გავიფიქრე:

„აი, როგორია ცხოვრება. როცა ექიმს უჭირს, მას ყველაზე მეტად სხვა ექიმი სჭირდება, თუნდაც ნუგეშად. ვინმეს რომ შვილი გაუხდებოდა ავად, მისი შიში მიკვირდა და ვამხნევებდი, ახლა კი, თავად რომ გამიხდა შვილი ავად, სხვებზე მეტად შევშინდი და სხვისგან დამჭირდა გამხნევება“. მე დიდი პატივისცემით და მადლობით ვიგონებ ამ შესანიშნავ პედიატრს, რომელიც ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

ხალხს მართალი უთქვამს: ადამიანი ადამიანის მალამოაო.

იმედო, შენ რომ არ არსებობდე ქვეყნიერებაზე, რა გვეშველებოდა!

ჩვენს სამყაროში ციური მზის გვერდით მეორე მზეც დადის და იმ მეორე მზეს იმედი ჰქვია. ეს მეორე მზე ბნელ ღამესაც გვინათებს.

•

ამბობენ: როცა ვაჟები ჩნდება, იმ წელიწადს ომია მოსალოდნელიო. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, იმას კი გეტყვით, პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სწორედ იმ დღეებში ქალიშვილი შემეძინა.

როცა ჩემი ბიჭი დაიბადა, ამას ჩემი მეზობლები (მე ხომ გლეხკაცების უბანში ვცხოვრობდი, მათ კი თავისებური შეხედულება აქვთ ყველაფერზე) დიდი აღტაცებით შეხვდნენ, თითქმის ყველამ იმ დღესვე მომილოცა.

მაგრამ როდესაც სოფელმა გაიგო: ჩვენი ექიმის მეუღლემ მოილოგინა და ქალი შეეძინაო, სხვანაირად ალაპარაკდნენ. თითქოს კი არ მილოცავდნენ, მანუგეშებდნენ. სინანულით, გულისტკივილით და თანაგრძნობით მეუბნებოდნენ: მადლობა უფალს, ქალი მშვიდობიანად გადარჩა, ეს არის მთავარიო. მერე რა, რომ ქალი დაიბადა, რაც არ უნდა იყოს, ქალიც შვილიაო. ზოგჯერ ადამიანს ქალიშვილი უფრო გამოადგებაო.

რატომ დამკვიდრდა ქართველ ხალხში, რომ ვაჟის გაჩენა ძალიან უხარიათ, ქალის გაჩენას კი უბრალოდ ხვდებიან? ამას ისტორიული ფესვი აქვს. ჯერ ერთი, ვაჟი აგრძელებდა გვარს. მეორეც, საქართველოს მოსვენების ჟამი იშვიათად ჰქონია,

სულ იბრძოდა, სამშობლოს დამცველი მეომარი კი, რა თქმა უნდა, ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო. ვაჟი სულ სხვა იმედი იყო ოჯახში. ზოგი ქალს შვილებში არც თვლიდა: გაიზრდება და გაფრინდებაო.

ქალიშვილიც გამიჩნდა და პირველი იმპერიალისტური ომიც დაიწყო. სამობილიზაციო ბარათი მივიღე.

დავემშვიდობე ოჯახს, დავემშვიდობე მეზობლებს და ჩემს მეგობარ შველს. თითქოს განშორების მთელ სიმწვავეს გრძნობსო, ნაღვლიანად შემომხედა, მერე ჩემკენ გამოიქცა, წინ დამხვდა და რქები გამკრა.

მე იმ რქებზე ხელი ალერსიანად გადავუსვი და გავშორდი.

ყველას დავუბარე, ჩემი ჯერო არავინ გამინაწყენოს, კარგად მოუარეთ-მეთქი.

ოთხი წელიწადი დავყავი გურჯაანში. ეს ოთხი წელიწადი ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ექიმისათვის, უძვირფასესი იყო. სოფელში გატარებულმა ამ ოთხმა წელიწადმა ბევრი რამ მასწავლა, პრაქტიკული გამოცდილება შემძინა და ყველანაირად გამომაწრთო. გამიმტკიცა ნებისყოფა და მორალური კმაყოფილებითაც ამავსო.

სოფელში ექიმობას მე, ალბათ, არასოდეს დავანებებდი თავს, მაგრამ ადამიანებს ჩვენი თავი მარტო ჩვენ ხომ არ გვეკუთვნის.

სამობილიზაციო ბარათმა ცხოვრების სხვა გზაზე გადამაგდო. ჩემს წუთისოფელს გეზი შეუცვალა.

მე გურჯაანიდან კარგა ხნის წასული ვიყავი, მეუღლის ბარათი რომ მივიღე. შიგ სამწუხარო ამბავი ეწერა. თურმე უჩემოდ ჯერო გაავდა. ისევ მავთულზე გამოაბეს რგოლით. წინათ ამბულატორიაში მოსულ ხალხს არ უცხოობდა, ახლა

კი ალმაცერად დაუწყო ყურება. მის საბედისწეროდ ერთ ჭაბუკს წყალმანკიანი მძიმე ავადმყოფი ქალი მოუყვანია. ჯერო ავადმყოფისაკენ სარქენად გაქანებულა, მაგრამ იმ ჭაბუკს დაუსწრია, შველისთვის ფეხებში კომბალი შემოურტყამს და წინა ფეხები გადაუმტვრევია. ჩემი მეუღლე იძულებული გამხდარა, შველი დაეკლა და საყვარელი პირუტყვის რქები ჩემთვის სამახსოვროდ შეენახა. იმ რქებს უკვე რამდენიმე ტოტი ჰქონდა.

ჩემს სამუშაო ბაგიდასთან, კედელზე, თითქმის ოცდათხუთმეტი წელიწადი ეკიდა შვლის ეს ორი რქა. ისინი არც ვერცხლით იყო მოზარნიშებული, არც სხვა რამ ჰქონდა განსაკუთრებული, ჩემთვის კი უძვირფასესი იყო. ეს უტყვი რქები ხშირად მიყვებოდნენ ჩემი საექიმო პრაქტიკის პირველი ნაბიჯების ამბებს და, თუ ცუდ გუნებაზე ვიყავი, მამხნევებდნენ, როცა ამ რქებს ვუყურებდი, თვალნათლივ ვხედავდი ჩემი ცხოვრების რამდენიმე წელს.

ერთხელ, ბინის შეცვლის დროს, შვლის რქები დამეკარგა. რა თქმა უნდა, ამან გული მატკინა. მაგრამ სანუგეშოდ ის მაინც დამრჩა, რომ რქები თვალიდან ახლაც არ მშორდება ხოლმე. ისინი სანთლებივით მინთია, მოგონების სანთლებივით...

*

აქვე მინდა გავიხსენო ის პერიოდი, როცა კურორტ ახტალის დირექტორად ვმუშაობდი.

შემოდგომა იყო. ახტალაზე აკადემიკოსი ვალედინსკი გვესტუმრა. კურორტი რომ დავათვალიერებინეთ, იგი ვეჯინში წავიყვანე. ყველასათვის ცნობილი ჩვენი დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ბერიტაშვილის სოფელში. რთველი ვანახვე.

ბევრი სახლის აივანზე ახლად ამოვლებული ჩურჩხელები დაინახა სტუმარმა და ფრიად დაინტერესდა. მერე, როცა კახეთიდან თბილისში ვბრუნდებოდით მატარებლით, ჩვენს ვაგონში მგზავრები ერთად შეყრილიყვნენ და მაჭარს სვამდნენ. ჩვენც მიგვიპატიჟეს. ვალედინსკიმ დიდი სიამოვნებით იგემა კახური მაჭარი, იმათ მადლობა გადაუხადა, მე კი მითხრა, თქვენ ძალზე ორიგინალური და საინტერესო ექსკურსია მომიწყვეთ, ამიტომ დიდ მადლობას გწირავთო. სწორედ ამ დროს ერთმა მგზავრმა ჯერ კიდევ ნედლი ჩურჩხელა შემოგვთავაზა. ამ ამბავმა კიდევ უფრო გაახარა სტუმარი და აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა. ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ყოველი სტუმარი და მათ შორის ვალედინსკიც აღფრთოვანებული მიდიოდა ქართული სტუმართმოყვარეობით.

მაგონდება აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი ქიმიკოსის, აკადემიკოს შუკარევის სტუმრობა, რომელსაც აინტერესებდა კურორტი ახტალა და სოფელ გურჯაანის შემოგარენი. ერთგან მან ახლად გავლებული ჩურჩხელები დაინახა, ცოტა ხნით გავაჩერეთ „ლინეიკა“. უცებ სახლიდან მასპინძელი გამოვიდა და ახლადგავლებული ჩურჩხელები მოგვართვა... დიდად ნასიამოვნებმა პროფესორმა ასე მომმართა: «Удивляюсь, как вы умеете показывать вашу прекрасную окружающую обстановку».

დილით სასადილოს მზარეულს შევუკვეთე, სტუმრისათვის ბორშჩი და ხარჩო შეინახე-მეთქი. გურჯაანის მიდამოები რომ დავათვალიერეთ, ისევ კურორტზე დავბრუნდით და მზარეულს ვუთხარი, სადილი მოართვი-მეთქი. მზარეულმა ყურში მიჩურჩულა, ბორშჩი გათავდა და მხოლოდ ხარჩო

მაქვსო. პროფესორს ვუთხარი, საქმე ასეა, მზარეულს დავიწყებია და ბორშჩის მაგივრად ხარჩო შეუნახავს-მეთქი. ეგ არაფერიაო, სიცილით მითხრა. როცა სადილს მორჩა, ისევ მოვიდა მზარეული და მიჩურჩულა: ბატონო, შევცდი, ბორშჩიც შემინახავსო. ეს რომ გადავეცი პროფესორს, გულიანად გაეცინა და გვითხრა, მაგასაც გეახლებითო და მართლაც გემრიელად მიირთვა.

მე ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ მაშინ ზოგიერთი განსწავლული პროფესორი დიდი უბრალოებით გამოირჩეოდა და მათი თავმდაბლური საქციელი დღესაც აღფრთოვანებას მგვრის.

რაკი ახტალაზე ჩამოვარდა სიტყვა, რამდენიმე წუთი უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ამჟამად საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ტალახით მკურნალობას. ამ მიზნით მოწყობილია სანატორიუმებისა და სამკურნალო დაწესებულებათა დიდი ქსელი. ტალახით მკურნალობა ისეთივე ძველია ადამიანთა სხვადასხვა დაავადების განსაკურნავად, როგორც თვით მედიცინა. არის ცნობები, რომ ეგვიპტელები ძველად ამ მიზნით ხმარობდნენ მდინარე ნილოსის ტალახს. საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს ტალახით მკურნალობას რუსეთშიც.

სამკურნალო ტალახი სხვადასხვა წარმოშობისა და შემადგენლობისაა. არსებობს სამკურნალო ტალახის ორი ძირითადი სახე: ლამისა და ტორფისა. ლამის ტალახის ჯგუფს ეკუთვნის ვულკანური და ეგრეთწოდებული ფსევდოვულკანური ანუ სოპკის ტალახები.

საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, ტალახით მკურნალობა კურორტ ახტალის სახელთან არის დაკავშირებული.

ახტალის აღწერილობა პირველად მოგვაწოდა ცნობილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. გურჯაანის მიდამოების აღწერისას ის ახტალის აბანოებსაც იხსენიებს.

კურორტი ახტალა მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, 412 კმ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. კურორტი და მისი მიდამოები წარმოადგენს თვალწარმტაც სანახაობას. ალაზნის ველი ერთი მხრივ მიბჯენილია კავკასიონის მთავარი ქედის ძირზე, რომლის მწვერვალები დაფარულია მარადიული თოვლით. ფერდობები მოფენილია სოფლებით. ეს არის კახეთის გული; ყურძნის, ღვინის და პურის სამშობლო.

კურორტ ახტალის ჰავა ზომიერად კონტინენტურია. გ. ჭირაქაძის გამოკვლევებიս თანახმად, ახტალის ჰავის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალაზნის ფართო ხეობას, აგრეთვე ცივ-გომბორის ქედების ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს.

პირველი დაკვირვება ახტალის ტალახის მოქმედებაზე მოახდინა ნეკრასოვმა 1863-64 წწ.

ჩემი გურჯაანში ექიმობის დროს, 1911—1912 წლებში, შესწავლილი იქნა ახტალის ტალახის სამკურნალო მოქმედება რევმატიზმითა და ნევრალგიით დაავადებულებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დაარსების შემდეგ დაიწყო სამეცნიერო-საკვლევი დაკვირვება. 1925 წელს გამოვაქვეყნე წერილი, რომელიც ეხებოდა სახსრების სხვადასხვა ქრონიკული დაავადებითა და ნევრალგიით 822 ავადმყოფის ტალახით მკურნალობის შედეგს.

ახტალის ტალახით მკურნალობას იკვლევდა ბევრი მეცნიერი და ექიმი: ელენე აფხაზავა, პროფ. ანა ჟღენტი, პროფ. შალვა ფარჯანაძე, მედიცინის მეცნიერების კანდიდატი მაკა მელიქიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ბაკურაძე და სხვები.

ჩემი გურჯაანში ექიმობის დროს მის ერთ-ერთ უბანში განლაგებული იყო ახტალის სამკურნალო ტალახის რამდენიმე ე. წ. ბორცვი. აქ იყო დაახლოებით შვიდი-ცხრა ტალახის ბორცვი. აქედან მათი ყოველდღიური დებიტი იცვლებოდა იმისდაგვარად, თუ როგორ იყო თვითეული ბორცვის ე. წ. დღიური დებიტი, ე. ი. თვითეული მათგანი სხვადასხვა ინტენსივობით და მოცულობით განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან.

ტალახით მკურნალობა ძველთაგანვე იყო ცნობილი ხალხში. მეფის რუსეთის დროს ზაფხულის თვეებში ხალხი მოდიოდა კახეთის სხვადასხვა კუთხიდან ახტალაზე სამკურნალოდ. მაშინ სპეციალურად ათბობდნენ ტალახს, რადგან იგი ბუნებრივად ცივი ამოდიოდა. ტალახით მკურნალობა ორი მეთოდით ხდებოდა: ერთნი ბუნებრივ ბორცვებში ზაფხულის მზით გამთბარ ტალახში ჩადიოდნენ, ხოლო მეორენი ქვაბებში ათბობდნენ და ისე ხმარობდნენ.

მკურნალობა ექიმის გარეშე ხდებოდა და, რა თქმა უნდა, ხშირად შედეგი არ მოჰქონდა.

მაშინ ისე უპატრონოდ იყო ეს ადგილები, რომ ხშირად მინახავს ბორცვში ჩაწოლილი კამეჩები. ახტალის პატრონები — ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები და სხვები არ ზრუნავდნენ ამ კურორტის კეთილმოწყობაზე. იმ დროს მე ვინახულე ამ ადგილების მეპატრონეები, რომელთა შორის ყველაზე

გავლენიანი გახლდათ „კნეინა“ დარია ანდრონიკაშვილი, ცნობილი კინომსახიობის ნატო ვაჩნაძის დიდედა და გვარდიის პოლკოვნიკ გიორგი ანდრონიკაშვილის დედა. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გიორგი ანდრონიკაშვილი განაგებდა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ოლქს. იგი მოკლა ყაჩაღმა ზელიმხანმა.

დარია ანდრონიკაშვილს ჭკუაში დაუჯდა ჩემი რჩევა და შემპირდა, სხვებსაც დავითანხმებ, რომ ეს ადგილები მარტო სამკურნალო მიზნით გამოვიყენოთო. მართლაც, ანდრონიკაშვილებმა, ვაჩნაძეებმა და სხვა გავლენიანმა პირებმა იმ წელიწადს ააშენეს პატარა ორსართულიანი სახლი. ეს იყო დასაწყისი კურორტის მშენებლობისა.

საინტერესოა იმ დროს ხალხში გაგონილი ლეგენდა. ამ ლეგენდის მიხედვით ახტალას 18 აგვისტოს, ფერიცვალების დღეს, ამოუხეთქავს. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ერთხელ თურმე მღვდლის ტანსაცმლით ქრისტემ ჩამოიარა. იგი უსაქმურად მოხეტიალე ვიღაც მღვდელს განურისხდა და ამ განრისხების შედეგად ახტალამ ამოხეთქა. ამიტომაც ფერიცვალების დღეს კახეთიდან მრავალრიცხოვანი ხალხი მოდიოდა ამ დღეობის აღსანიშნავად.

მინდა მოვლენებს გავუსწრო და მკითხველი საბჭოთა ეპოქაში გადმოვიყვანო.

ახტალაში ჩემი დირექტორად ყოფნის დროს კურორტის დასათვალიერებლად მოვიდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ქართველიშვილი, მას თან მოჰყვა ჯანმრთელობის დაცვის კომისარი მამალაძე. მამალაძეს ვთხოვე, ნება დამრთე ქართველიშვილს განვუმარტო ახტალის ტალახის მნიშვნელობა და ამავე დროს ვთხოვო დახმარება სანატორიუმის აშენების

საქმეში-მეთქი. საბედნიეროდ, ქართველიშვილი თანხის გამოყოფას შემპირდა და მართლაც, მალე აშენდა პირველი ასსაწოლიანი სანატორიუმი.

ამჟამად კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ტალახით მკურნალობის მეცნიერული შესწავლა და მისი სამკურნალო მიზნით გამოყენება. კურორტის ხელმძღვანელია დამსახურებული ექიმი გიორგი ხელაშვილი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა აურორტის კეთილდღეობისათვის.

•

ნივთები, ძველი ნივთები... განსაკუთრებით კი ფოტოსურათები! რამდენ გრძნობას აღგვიძრავენ, რამდენ რამეს გვაგონებენ ისინი. ამიტომაც გულმოდგინედ ვინახავთ, მოწიწებით ვუვლით, თვალისჩინივით ვუფრთხილდებით და ვეფერებით.

მე ეხლა დავცქერი 1916 წლის ზაფხულს ავჭალაში გადაღებულ სურათს. მაშინ ავჭალა თითქმის შიშველი ადგილი იყო.

სურათზე სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ჩინმედლებიანი ოცდაათამდე მამაკაცი და ექვსი ქალია გამოსახული. მათ შორის მეც ვარ. ვაკვირდები ყველას. უმეტესობას ვცნობ. აი, ეს ოფიცერი, მკერდზე გიორგის ჯვარი რომ ჰკიდია, დავით ჭავჭავაძეა. დავითის წინ ცალ მხარეს მისი დედა ზის, მეორე მხარეს კი — მეუღლე, რუმინელი ქალი.

ეს სურათი გარდასულ დღეებს მიცოცხლებს.

სამობილიზაციო ბარათით თბილისში ჩავედი. აქ სამხედ-

რო ჰოსპიტალში ორდინატორად ჩამრიცხეს. ვიცოდი, ცოლ-შვილს უჩემოდ უჭირდა და მინდოდა თბილისში გადმომეყვანა, მაგრამ ჰოსპიტალში ორიოდე თვეც არ გამაჩერეს, სამხედრო ნაწილის ექიმად გადამიყვანეს.

შემოდგომაა. გავიგე: ქართული ქვეითი ჯარის რაზმი („დრუჟინა") დგებაო. მთავარსარდალს რაზმის უფროსად პოლკოვნიკის ჩინოსანი თავადიშვილი გიორგი ჯანდიერი დაუნიშნავს და განკარგულება გაუცია, შენთვის საჭირო სათანადო რანგის ჯარისკაცები და ოფიცრები შეაგროვეო. ამ განკარგულების საფუძველზე მე რაზმის უფროს ექიმად დამნიშნეს.

ჯარისკაცებისა და ოფიცრების გასაწვრთნელად რაზმს გარკვეული დრო მისცეს. ორიოდე თვეში კი ბათუმისაკენ გაგვამგზავრეს.

ბათუმში სასულე ორკესტრით შეგვხვდნენ. საზეიმოდ მოგვეგება ჩვენი სასიქადულო მწერალი, მუდმივი პოლკის ოფიცერი დავით კლდიაშვილი. იგი ყველას გამოგვეცნაურა და დიდი პატივისცემით მიგვიღო.

იგრძნობოდა, რომ ჩვენ მალე ფრონტზე წასვლა მოგვიწევდა.

ასეც მოხდა.

•

მოგეხსენებათ, რუსეთი გერმანიას ებრძოდა. რუსეთს ინგლისი და საფრანგეთი უჭერდნენ მხარს, გერმანიას კი — თურქეთი და იტალია.

ბათუმის ფრონტზე თურქეთის ჯარი უკან იხევდა და ჩვენ წინ მივიწევდით. უკან დახეული ოსმალეთის ჯარი ხალხსაც

მიერ[illegible]ებოდა ძალით. სოფლები თითქმის დაცარიელებული გვხვდებოდა. აქა-იქ ღრმა მოხუცებიღა დარჩენილიყვნენ. მათ რომ ვხედავდი, გული მეთუთქებოდა.

ჭოროხის ხეობა გავიარეთ და ქალაქ ართვინში შევედით.

ართვინში სამხედრო საველე ჰოსპიტალი გამართეს. ამ დროს ანტიბიოტიკები არ იყო და ჯარში ძალიან გავრცელებული იყო მუცლის ტიფი. დაავადება ძლიერი ინტოქსიკაციით გამოიხატებოდა. ჯარისკაცებიც და ოფიცრებიც კარვებში იწვნენ. მე ამ საველე ჰოსპიტალზე მიმამაგრეს.

ერთხელ მოვიდა ჩემთან შიკრიკი, რაზმის უფროსი პოლკოვნიკი გიორგი ჯანდიერი გიხმობსო.

გამოვეცხადე.

— აბა, უფროსო ექიმო, მომახსენე, მუცლის ტიფის საწინააღმდეგოდ რას იყენებ?

მოვახსენე ყველაფერი, რასაც ვიყენებდი და მომავალში რაც იყო გათვალისწინებული.

რატომღაც ისეთი რამ მომთხოვა, რაც ჩვენს ძალას აღემატებოდა.

შევკამათდით.

პოლკოვნიკი რუსულად ლაპარაკობდა.

მე რომ სინამდვილის მტკიცებას შევუდექი, გაბრაზდა და რუსულად უწმაწური სიტყვით მომმართა.

სასტიკად ავღელდი. მივაძახე: ამის შემდეგ მე თქვენთან ლაპარაკიც არა მსურს-მეთქი, შემოვტრიალდი, კარი გამოვიჯახუნე და ლაზარეთისაკენ გამოვწიე.

ეს ამბავი ამხანაგებმა მალე გაიგეს და შეშფოთებულნი შემომეჯარნენ.

— ეს რა ჩაგიდენია? ომია, ძმაო, ომი! ჯანდიერს შეუძ-

ლია სამხედრო სასამართლოს გადაგცეს. როგორ გაბედე?!

— შეურაცხყოფას მე არავის შევაწევ, არც პოლკოვნიკს და არც გენერალს! მოვკვდები და არ შევაწევ! როგორც სურთ, ისე დამსაჯონ!

ამხანაგების წუხილსა და თანაგრძნობას მე მკვახედ დავხვდი, რადგან შევატყვე, ისინი ბოდიშის მოხდას მომთხოვდნენ.

არ გასულა დიდი ხანი და ისევ მომადგა შიკრიკი:

— პოლკოვნიკი გიხმობს!

ჩახმახზე შეყენებული წავედი. ვიფიქრე, ისევ საჩხუბრად მიბარებს-მეთქი.

რაზმის უფროსის ოთახში შევედი.

შეწუხებული დამხვდა. შესვლისთანავე ხელი გამომიწოდა:

— მაპატიე, შევრიგდეთ! მესმის შენი გულისწყრომის მიზეზი. ამიერიდან ასეთი რამ აღარ გამეორდება. მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ!

ამ ჩხუბმა და შერიგებამ ჩვენ ერთმანეთთან უფრო დაგვაახლოვა.

შემდეგ ისე სუფრას არ გაშლიდა, რომ მეც არ მივეწვიე.

•

ომი გრძელდებოდა. სიკვდილი დააბოტებდა ყველგან. ლაზარეთებში ტევა არ იყო. მოვიდა ზაფხული. ჩვენს ლაზარეთში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ავადმყოფებს დიდ ხიცხეს აძლევდა და ისინი ცენტრალური ნერვული სისტემის ინტოქსიკაციას განიცდიდნენ. მაშინ მე ასე ვივარაუდე: იქ-

ნებ ზოგჯერ ნელთბილი აბ:ზანები რომ გავუკეთოთ, სიცხე გაუნელოს, ნერვული სისტემა დაუმშვიდოს და წყნარი ძილი მოჰგვაროს-მეთქი. ვარაუდი პრაქტიკულად გავსინჯე. შესანიშნავი შედეგი მომცა. შემდეგ მკურნალობის ეს მეთოდი სხვა ექიმებსაც გავუზიარე და საქმე უკეთ წავიდა.

ერთი ჯარისკაცი მაინც დაგვეღუპა. მაგრამ ამის მიზეზი ჩემი მეთოდის გამოუყენებლობა როდი იყო. ლაზარეთში ძალიან ცოტა მომვლელი გვყავდა. ისინი ყველას ვერ უწევდნენ მეთვალყურეობას. ერთ მუცლისტიფიან ჯარისკაცს თურმე სიცხემ აუწია, წამოხტა საწოლიდან, კარავი მიატოვა, გაიქცა, ჭოროხში გადავარდა და მდინარეში დაიღუპა.

აბა, რა ჩემი ბრალი იყო, მაგრამ მისი დაღუპვა აქამდე მაწუხებს. მეტი მეთვალყურე რომ გვყოლოდა, ეს უბედურება ხომ არ მოხდებოდა? ეჰ, ომში რა არ ხდება!

*

ერთხელ ჩვენთან მოვიდა ბათუმის რაიონში მოქმედი წითელი ჯვრის უფროსი, ვინმე გრაფი ალსუფიევი. გაიბა საუბარი. იგი ფრიად განათლებული კაცი გამოდგა. განსაკუთრებით კარგად იცოდა ისტორიულ-არქეოლოგიური ამბები.

— გინდათ დაგათვალიერებინოთ ის ადგილები, წინათ ქართველებისა რომ იყო? — გვკითხა მან. — აი თუნდაც ტბეთის ეკლესია ვნახოთ.

უარს ვინ იტყოდა. შევკაზმეთ ცხენები და ავმხედრდით. გრაფი ალსუფიევი წინ გაგვიძღვა.

მივადექით საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ

ძეგლს — ტბეთის ტაძარს. იგი ჩინებულად იყო შენახული. ტაძარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით კი ერთი რამ დამამახსოვრდა. ეკლესიას ბამბის ძაფი სამწვერად ჰქონდა შემოვლებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანული ჩვევა, ეს რელიგიური რიტუალი აქაურ ქალებს დღემდე შეუნარჩუნებიათ.

სხვა დროს ჩვენ ვინახულეთ სოფელი ცრია. აქ ბლომად დაგვხვდა მშვენიერი ვენახები და ზეთისხილის ბაღები.

ართვინიდან ბათუმში მომიხდა დაბრუნება. იქ ჩვენ გავიგეთ: ტრაპეზუნდი აიღესო. საველე ჰოსპიტლის გახსნა ტრაპეზუნდშიც იყო საჭირო. ახალგაზრდა ქართველი ქალების ჯგუფმა იქ მუშაობის სურვილი გამოთქვა. მათ შორის იყო მალხაზ ანდრონიკაშვილის ქალი ანეტა, მოწყალების დად ჯარში მოხალისედ წამოსული.

მე ჩემი თვალით ვნახე, ქართველი ქალებით სავსე გემი ბათუმიდან ტრაპეზუნდისაკენ რომ წავიდა. ანდრონიკაშვილის ქალმა გემბანიდან ხელი დამიქნია. იგი მეტად ფაქიზი სულის ადამიანი იყო, ყველასთან გულისხმიერი.

შემდეგ სამწუხარო ამბავი გავიგეთ. ის გემი, ვიდრე ტრაპეზუნდში მივიდოდა, თურქეთის წყალქვეშა ნავს აუფეთქებია და ჩაძირულა.

ყველა მსხვერპლი შემებრალა, განსაკუთრებით კი ანდრონიკაშვილის ქალი.

ეჰ, რამდენი ცოდვა მოაქვს ომს!

ტრაპეზუნდი მეტად ძველი ქალაქია, ძალიან ვიწრო ქუჩებიანი.

აქ ჩვენ იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონის საფლავი ვინახულეთ. იქვე იყიდებოდა მისი ფოტოსურათებიც.

ქალაქში ძალიან ცოტა ხალხი იყო დარჩენილი. სხვები გაქცეულან. რაც მოუსწრიათ, წაუღიათ და წასულან. უპატრონოდ მიტოვებულ სახლებში რას არ ნახავდით. ჩვენი ჯარი სათუთად ეკიდებოდა დარჩენილ დოვლათს. აჭარელი გლეხკაცების ქონებას ხელს არავინ ჰკიდებდა. ზოგიერთი სახლის სარდაფში დიდი ქვევრები იყო ჩამარხული. ქვევრები კაკლის ზეთით და ზეთისხილით იყო სავსე. რომ არ გაფუჭებულიყო, ჯარისკაცები სარქველს კარგად ახურავდნენ და ზედ ლოდს ადებდნენ.

არა, ჩვენ იქ მტრვბად არ მივსულვართ. არც ვინმეს გაძარცვა გაგვიზრახავს.

ჩვენი ჯარის შტაბში თურქულ მუნდირში გამოწყობილი გენერალი მოვიდა და პოლკის მეთაურს წარუდგა:

— მიცნობდეთ, მე გახლავართ ყოფილი ქართველი თავადი ხიმშიაშვილი, — იგი ქართულად ძალიან კარგად ლაპარაკობდა, — მე ხონთქარისაგან ვიღებ პენსიას, როგორც გენერალი და გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, ეს პენსია რომ დამიტოვონ, გავიგე, ქართული რაზმი მოდისო და აქ იმიტომ დავრჩი.

სწორი გითხრათ, მისი ამბავი როგორ გადაწყდა, არ გამიგია.

ტრაპეზუნდში მე რაზმიდან საველე ჰოსპიტალში გადამიყვანეს უფროს ორდინატორად. იქ მე თვითონ გავხდი ავად, შემეყარა მალარიისმაგვარი ციებ-ცხელება, რომელსაც პაპატაჩი ჰქვია. ამ ავადმყოფობას ჩვეულებრივ აჩენს ადგილობრივი კოღო. მთელი ერთი კვირა დიდი სიცხე მქონდა გაუნელებლად.

•

მოვმჯობინდი და დეპეშაც მივიღე. პოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე მატყობინებდა: ამიერკავკასიის მთავარსარდლის ბრძანებით პირველ ქართულ ცხენოსანთა რაზმსა ვქმნი. წინადადებას გაძლევ, გადმოხვიდე ჩემს რაზმში უფროსი ექიმის თანამდებობაზეო.

მიწვევამ გამახარა და თბილისში დეპეშა ვაფრინე: თანახმა ვარ, გმადლობთ ყურადღებისათვის-მეთქი.

დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძეს ადრევე ვიცნობდი. იგი ომში იყო დაჭრილი და უკვე მიღებული ჰქონდა წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი. როგორც შემდეგ გავიგე, მას თავისი რაზმის შესადგენად რუსეთის ყველა ცხენოსანი პოლკიდან ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გამოწვევის უფლება მისცა ამიერკავკასიის მთავარმა მმართველმა.

მე დაუყოვნებლივ გავთავისუფლდი ტრაპეზუნდის ჰოსპიტლიდან, ავიღე სათანადო საგზური და თბილისისაკენ გავეშურე. ჩასვლისთანავე თავად დავით ჭავჭავაძესთან გამოვცხადდი და პატაკი ჩავაბარე. ეს იყო 1916 წლის 4 ივლისს. შემდეგ ყოველდღე ზემო ავჭალაში დავდიოდი. პოლკის ფორმირება იქ ხდებოდა. აქ თავი შეიყარეს უკვე ბრძოლებში ნამყოფმა და გამოცდილმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა. ბევრს ჯილდოს მიღებაც მოესწრო.

დეკემბრის დამდეგს ქართული ცხენოსანი პოლკი უკვე მზად იყო.

— ეხლა ჩვენ წავალთ სპარსეთის მიმართულებით და ბარათოვის კორპუსში შემავალ ცხენოსანთა დივიზიას შევუ-

ერთდებით, ასეთია ბრძანება, — გვაცნობა პოლკოვნიკმა და გაგვაფრთხილა, მოემზადეთო.

მაშინ ჩვენი ვალი იყო, სპარსეთიდან თურქები გაგვერეკა. ჩვენ სპარსეთშიაც თურქების წინააღმდეგ უნდა გვებრძოლა. ასე რომ, შეიცვალა მიწა-წყალი, მტერი კი არ შეცვლილა.

კასპიის ზღვა გადავლახეთ, საზღვაო ქალაქი ენზელი გავიარეთ და ცხენებზე ამხედრებულნი სპეციალური მარშრუტით წავედით. ამ ადგილებიდან მაშინ ყაზვინ-თეირანამდე, ხამადნამდე და კერმანშახამდე რკინიგზა ჯერ არ იყო გაყვანილი.

ყაზვინიდან ხამადნისაკენ რომ მივდიოდით, პოლკის უფროსთან უცნობი მამაკაცი მივიდა. საშუალო ტანისა იყო და გარეგნულად სპარსსა ჰგავდა. უცებ იგი ქართულად ალაპარაკდა:

— მე, ბატონო, შემიძლია თარჯიმნობა გაგიწიოთ.

— ქართველი ხარ? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიახ, ქართველი ვარ, ფერეიდნელი. ფერეიდნელ ქართველებამდეც მოაღწია ამბავმა, სპარსეთში ქართული პოლკი მოდისო და ძლიერ გაგვახარა. თუ ნებას დამრთავთ, თქვენთან დავრჩები.

რა თქმა უნდა, უფროსმა ნება დართო.

ფერეიდნელი კაცი მალე შეგვეჩვია. საინტერესო ამბებს გვიყვებოდა ხოლმე. საქართველოდან დროდადრო ქართველები გვეწვევიან და ცდილობენ, დედა საქართველოსთან დაგვაკავშირონ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი ტკბილ ოცნებად რჩებაო.

— მე სადაური ვარ? აკი გითხარით, ფერეიდნელი.

— მე გეკითხები, შენს სოფელს რა ჰქვია-მეთქი.

— მარტყოფი. მარტყოფელი ვარ. საქართველოში რომ

მარტყოფია, ჩემი მამა-პაპა იქიდან წამოუყვანიათ იმ წყეული შაჰ-აბასის დროსა. მთელი სოფელი გადმოუსახლებიათ ძალით, ვინც არ დაჰყაბულებია, იქვე მოუკლავთ. ჩვენი ქალები ბავშვებს ახლაც აკვანში ზრდიან და ზედ ქართულ ნანას დამღერიან.

ეს თარჯიმანი ჩვენთან კარგა ხანს იყო. მერე ოჯახიდან რაღაც შემოუთვალეს, წავიდა და უკან აღარ მობრუნებულა. არ ვიცი, იქ რა შეემთხვა.

*

სპარსეთის მთავრობა ამ ომში ნეიტრალიტეტს იცავდა. მაგრამ ზოგიერთ სახანოებსა და დაბა-სოფლებში ჩვენი შესვლის წინ ხალხი სახლ-კარს ტოვებდა. ვინც რჩებოდა, ჩვენს ჯარს მორჩილებას უცხადებდა.

ქართული პოლკის ოფიცრები ჯარისკაცებს აფრთხილებდნენ: მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ავლადიდებას ხელი არ ახლოთ, თორემ სასტიკად დაისჯებითო.

ეს განკარგულება უმეტეს შემთხვევაში სრულდებოდა. მაგრამ როცა ჯარისკაცები ხედავდნენ, ვაჭარი გაქცეულა და დუქანი ბედისანაბარად მიუტოვებიაო, ცთუნებისაგან თავს ვეღარ იკავებდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ ტკბილეულს, ხმელ ხილს, ინდის ხურმასა და აღჯანაბადს. ამას ბოლო დროს მეთაურებიც ვეღარ უშლიდნენ. ეს ხომ ძარცვა არ იყო.

ხამადანიდან კერმანშახისაკენ რომ მივდიოდით, შორეულ ჰორიზონტზე, დაახლოებით ორმოც კილომეტრზე, მაღალი მთა გამოჩნდა. ეს იყო ორიგინალური ფორმის იშვიათი მთა. შივუახლოვდით თანდათან. ჩვენს წინაშე კედელივით შვეული

კლდე აღიმართა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1200 მეტრია.

— ამას ბისიტუნის კლდეს ეძახიან. ამ სალი კლდის კედელზე უზარმაზარი ბარელიეფია. ბარელიეფზე ალექსანდრე მაკედონელისდროინდელი სამცხენიანი ეტლია გამოსახული და ძველი ისტორიული ეპოქის საზეიმო ვითარებაზე მოგვითხრობს. — გვითხრა ერთმა ოფიცერმა. — ამბობენ, იგი მიდიის სამეფო ქალაქის კერმანშახის აღებასთან დაკავშირებით გააკეთესო.

დურბინდით გავხედე. ყველაფერი მართლაც შესანიშნავად ჩანდა. ისტორიული ბარელიეფი ფრიად ბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მწვერვალზე თოვლი იყო, ველზე კი თითქმის ცხელოდა.

კერმანშახისკენ მიმავალ გზას გავყევით. ამ გზამ სწორედ იმ მთის ძირას გაიარა. სალი კლდის ქვეშ წმინდა, ანკარა და ცისფერი მდინარე გამოდიოდა და კერმანშახისაკენ მიგვიძღოდა.

ვიდრე კერმანშახს ავიღებდით, თურქებმა ერთი ქვემეხი გორაკზე ამოაგორეს და იმის ნაცვლად, რომ დაემალათ, კორტოხზე გამართეს. იმ ქვემეხთან თურქი ოფიცერი ტრიალებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ჩვენს ოფიცერს იწვევდა, მობაძეო, ქვემეხი თვალსაჩინო ადგილას დააყენე და ვაჟკაცურად ვიბრძოლოთო. ამგვარ საქციელს სამხედრო ენით „დუელს“ ეძახიან. ჩვენი პოლკის უფროსმა გამოწვევა უყოყმანოდ მიიღო.

— ქვემეხი მაღლობზე აგორეთ! — გასცა მან ბრძანება.

ქვემეხს თვითონაც აჰყვა, მეც ავყევი.

ოფიცრებმა ერთმანეთი დურბინდებით შეათვალიერეს.

მერმე ზარბაზანმა ზარბაზანს პირისპირ შეხედა და...

გახურდა საარტილერიო მძაფრი ბრძოლა.

ჩვენს ახლოს სკდება ყუმბარები, ირყევა მიწა.

თავი ისე გვიჭირავს, თითქოს გარანტირებულნი ვართ, რომ არ მოვკვდებით. წარბშეუხრელად ვდგავართ. მტერი პირისპირ გვიყურებს და ვიდრე ცოცხლები ვართ, შიშის ნატამალიც არ უნდა გაეკაროს გულს. აქ მარტოოდენ ქვემეხთა დუელი კი არ არის, ვაჟკაცობის ჭიდილიც არის. ვინც უფრო მალე შეშინდება, ის დამარცხდება.

ყუმბარების ბათქაბუთქმა დაგვაყრუა.

მაგრამ თითქოს ჩვენს ვაჟკაცობას სიკვდილი შორიდან უყურებს და ახლოს მოსვლას კი ვერ გვიბედავსო, ჯერჯეროობით ყველანი საღსალამათად ვართ.

ჩამობნელდა და დუელი შეწყდა.

გათენდა და შეწყვეტილი ბრძოლა განახლდა. მსხვერპლი არ ყოფილა.

*

ჩვენი პოლკის ერთი ესკადრონი როტმისტრ თავად ხიმშიაშვილის მეთაურობით პოლკს გამოეყო და ცალკე ჩასანგრდა. მტერმა ჩვენს შუა ჩადგომა მოახერხა. გვინდა, ერთმანეთთან კავშირი დავამყაროთ, მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია. დავით ჭავჭავაძემ რა არ ილონა, მაგრამ ამაოდ. მეც მასთან ვარ.

უფროსთან შიკრიკმა მოაჭენა ცხენი:

— ბატონო პოლკოვნიკო, როსტმისტრი ხიმშიაშვილი დაიჭრა, საჭიროა ექიმი!

— მერმე, როგორ დავუკავშირდეთ, გზა რომ მოჭრილია?

— ჭაობში არის ერთი გასაძრომი... მტერი უყურებს და სახიფათოა, მაგრამ... თუ ფხას გამოვიჩენთ...

— გასაგებია! — მიუგო პოლკოვნიკმა და მე გადმომხედა. თვალებით მკითხა, რას იტყვიო.

— ამას შეკითხვა რად უნდა, ექთანს წავიყვან და წავალ! — მივუგე მე.

ცხენს მოვახტი და გავუტიე. ჭაობთან გასვლისთანავე თურქებმა შეგვამჩნიეს და ტყვიამფრქვევები დაგვიშინეს. გვესროდნენ მარჯვნიდან და მარცხნიდან. ჭაობის ტბებში ტყვია წვიმის წვეთებივით ცვიოდა.

როგორც იქნა, გავაღწიეთ.

მე და ჩემი ექთანი ჭენებით მივიჭერით ჩვენიანთა სანგრებამდე. ჩვენ იქ იმედივით გავჩნდით. ტაშისკვრით შეგვხვდნენ.

ხიმშიაშვილი მარცხენა მკლავში იყო დაჭრილი. ნატყვიარი შევუხვიე, ევაკუაციისათვის მოვამზადე და მაშველს დაველოდე.

რაკი ერთხელვე გაიკვალა გზა, დავით ჭავჭავაძემ მხედრები მოგვაშველა და ესკადრონთან კავშირი დამყარდა.

ჯილდოზე ხარ წარდგენილიო, მაცნობეს ორიოდე დღეში.

*

ფრონტზე უცნაური ამბებიც ხდებოდა.

პოლკის უფროსმა სასწრაფო დავალება მიიღო: ამაღამ მოწინააღმდეგის ზურგში უნდა შეიჭრა, სოფელ ბაბაგურგურში სამხედრო ნაწილების კავშირგაბმულობის საწყობები უნდა გაანადგურო და გამთენიისას უკანვე დაბრუნდეო.

შებინდებისთანავე ავმხედრდით და დავალების შესასრულებლად წავედით. იმ უბანზე წინა დღეს დიდი თოვლი დაედო და ცხენებს სიარული უჭირდათ. იქით მხოლოდ ვიწრო ბილიკი მიდიოდა, ამ გზაზე მხოლოდ ერთ მხედარს შეეძლო გავლა. ესკადრონის ორასი მხედარი საკმაოდ დიდ მანძილზე გაიჭიმა. რაც მთავარია, ეს გზა უხმაუროდ უნდა გაგვეევლო. დახველება და ცხვირის დაცემინებაც კი აკრძალული გვქონდა.

ვიარეთ მთელ ღამეს.

გათენებისას სანატრელ ბაბაგურგურს მივაღწიეთ და...

ჰოი, საკვირველებავ?!

ეს გამოდგა ამ მხარეში ერთადერთი ქურთული სოფელი, რომელსაც ღრმად ეძინა. მხოლოდ ძაღლებს ეღვიძათ. ცხენოსნების გამოჩენაზე ყეფა ატეხეს.

მთელი სოფელი გულდაგულ დავათვალიერეთ და ვერავითარი სამხედრო ნაწილის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ.

შემდეგ გამოირკვა, რომ კორპუსის შტაბს ამ სოფლის თაობაზე არასწორი ცნობები მიუღია.

მოტყუებულნი და რატომღაც გულნატკენნიც გამოვბრუნდით გათენებისას უკან. იმავე ღრმათოვლიანი ხეობის ბილიკით წამოვედით. ხელმოცარულებს დაღლილობა უფრო იოლად მოგვერია. მთელი ღამის უძილო მხედრები ცხენებზე თვლემდნენ.

ამოვიდა მზე. ამან კიდევ უფრო შეგვაწუხა. უცებ თითქმის ყველას თვალები აეწვა. მზემ და თოვლმა ერთმანეთის ცქერით ულტრაიისფერი სხივები გაამრავლა.

მეორე-მესამე დღეს ესკადრონის მხედართა უმრავლესო-

ბა თვალის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთებით დაავადდა. ამ ავადმყოფობას ლათინურად „კონიუქტივიტი" ჰქვია.

აი ეს შეგვძინა იმღამინდელმა ლაშქრობამ, მეტი არაფერი.

*

კორპუსის შტაბში გენერალ ბარათოვთან დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე რომანოვი გამოცხადდა.

ყველას აინტერესებდა, რა უნდაო.

ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

ისიც ითქვა, რომ დასჯილია და გადმოასახლესო. თავად იუსუპოვთან ერთად რასპუტინის მკვლელობაში მაგასაც აქტიური მონაწილეობა მიუღიაო.

დიდ მთავარს ახლდნენ გენერალი ლემერი და გრაფი კუტაისოვი.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ დიმიტრი პავლეს ძე რომანოვს გაუგია, ბარათოვის კორპუსში ქართული ცხენოსანი პოლკიც რომ შედის და ჩვენი ნახვისა და გაცნობის სურვილი გამოუთქვამსო.

— ღვინო თუ დაგვრჩა? — გვკითხა დავით ჭავჭავაძემ.— რაც არ უნდა იყოს, სტუმარია და გამასპინძლება უნდა. ამ ამბავს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. აბა, მიდექ-მოდექით და მოემზადეთ!

ამ დროს ჩვენი პოლკის შტაბს ერთი სპარსული სოფლის განაპირა უბანში საკმაოდ დიდი სახლი ეკავა. გენერლებმა აქ შემოიყვანეს რომანოვი და წარმოგვიდგინეს. გაცნობის ცერემონიალი მალე დამთავრდა. ყველანი სუფრას შემოვუსხედით.

გაიმართა ისეთი ლხინი, ქართულ წვეულებაზე რომ ვი-

ცით. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა და ბლომად სვამდნენ ღვინოს. დიდი მთავარი ყველაზე მეტად დათვრა და დაიწყო ჩვენი პოლკის ქება-დიდება. სთხოვა პოლკოვნიკ ჭავ-ჭავაძეს, ქართულ ცხენოსანთა პოლკის პირველ ესკადრონში ჩამრიცხეთო.

სუფრა აიშალა და გარეთ გამოვედით.

სტუმარმა ეზოში ოფიცერ ლორთქიფანიძის ლამაზი და მოხდენილი ცხენი დაინახა. ცხენი ძალიან შეაქო. მაშინ ცხე-ნის პატრონმა მიუგო:

— ქართული წესია, შენს ოჯახში შემოსულ სტუმარს რომ რაიმე მოეწონება, უნდა აჩუქო... მით უმეტეს, თქვენისთანა საპატივცემულო სტუმარს. მიჩუქნია თქვენთვის ეს ცხენი, კეთილად გატაროთ!

რომანოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა.

შემდეგ სახლის ფართო ბანზე ქართული ცეკვა გაჩაღდა. ზურნა-დაფის დამკვრელები ჩვენს პოლკს თბილისიდან ჰყავ-და წამოყვანილი.

სტუმარი შესანიშნავმა ქართულმა ცეკვამ მოხიბლა. ჩვენს პოლკში ყველას ჩოხა ეცვა და თითქმის ყველა კარგად ცეკ-ვავდა.

ლხინმა და გართობამ საღამომდე გასტანა.

მხლებელმა გენერლებმა რომანოვს შეახსენეს თავა-ზიანად:

— დროა კორპუსის შტაბში წავიდეთ.

ამით აგრძნობინეს, რეჟიმში ბრძანდებით და ამ რეჟიმს ნუ დაარღვევთო.

— მე ამაღამ ქართულ პოლკში უნდა დავიძინო! — დაი-ჟინა მან.

ამ ამბავში კორპუსის უფროსი გენერალი ბარათოვი ჩაერია. სტუმარი ჩასვეს მანქანაში და დიდი პატივისცემით გაისტუმრეს.

•

ფრონტზე ყოფნისას თვალნათლივ დავინახე, როგორი იყო რუსეთის ჯარისა და რუსეთის მოკავშირეების — ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ნაწილების მატერიალური მდგომარეობა.

სპარსეთში ჩვენ მთელი გზა ცხენებით გადავიარეთ. საგზალიც ფურგონებით მოგვდევდა. ცხენების საკვები ხშირად გვაკლდა. ჯარს არ ჰყავდა ავტომანქანები, არც საბარგო, არც მსუბუქი. ერთადერთი მსუბუქი მანქანა გენერალ ბარათოვს დაატარებდა. ეს იყო და ეს.

მოკავშირეთა მდგომარეობა კი სხვა იყო.

1917 წლის გაზაფხულის პირია. დივიზიის უფროსის გენერალ რადაცის ცხენოსანი დივიზია მდინარე დიალუს ველზეა დაბანაკებული.

ჩვენს ცხენებს შიათ და ყურები ჩამოუყრიათ.

ამ დროს დავით ჭავჭავაძეს საიდუმლო ცნობა მოსდის გენერალ რადაცისაგან: ინგლისის ჯარის რაზმი ოცდათექვსმეტი საბარგო ავტომანქანით თქვენს პოლკს ეწვევა და საჩუქრებს მოუტანსო. მათ რამდენიმე ოფიცერი ახლავსო.

საღამოზე ბაღდადის მხრიდან თვითმფრინავის ხმა შემოგვესმა. მერე მანქანები გამოჩნდნენ. შუქი ენთოთ. სტუმრებს ტაშით შევხვდით.

საჩუქრად მოგვიტანეს სიგარეტები, შოკოლადი, ნამცხვარი, მურაბა, ხმელი ხილი...

ჩვენ შევწუხდით, რომ სამასპინძლო თითქმის არაფერი გვქონდა.

მახლობელ სოფელში პური და სპარსული არაყი ვიშოვეთ. არაყი საშინელი იყო, სტუმრებს კი რატომღაც მოეწონათ, მიეძალნენ და დათვრნენ. შემდეგ ზოგი ავადაც გახდა.

ამის მოგონება ცუდ გუნებაზე მაყენებს მუდამ.

*

მალე ამბავი მოფრინდა, რუსეთში რევოლუცია მოხდაო. თებერვლის რევოლუციას ჩვენი ჯარის დეზორგანიზაცია მოჰყვა. სამხედრო დისციპლინა დაირღვა.

სპარსეთიდან კასპიის ზღვით თბილისისაკენ გამოვეშურე. ვინაიდან მე მობილიზებულ ექიმად ვითვლებოდი, აქ კვლავ სამხედრო ჰოსპიტალში მოვხვდი.

ექიმთა ჯგუფმა თბილისის საგუბერნიო საექიმო სამმართველოსთან შექმნილი საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩია. საბჭო თავისი ბუნებით რევოლუციური იყო.

ეს ის დრო იყო, როცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გრიგალი ახლოვდებოდა.

შემოდგომის ერთ ღამეს პეტერბურგში „ავრორამ" იქუხა.

ეს იყო ადამიანთა სასუკვარი იმედისა და ნათელი მომავლის დიადი რწმენის ქუხილი.

1917 წელს, რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროს, საქართველოში დამყარდა მენშევიკების მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მე მოწმე ვარ მენშევიკების დროს მომხდარი დასაგმობი მოვლენებისა.

სპეციალურად დაარსებული იყო გვარდიელების სამხედრო ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯუღელი; მან თავისი უადამიანო საქციელით დიდი ზარალი მიაყენა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რითაც ხალხის დამსახურებული უკმაყოფილება გამოიწვია.

მენშევიკების მთავრობამ ინგლისიდან გამოიწვია ჯარი, ამით ხალხი ძალზე უკმაყოფილო იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი პრესტიჟი დაეცა, ძლიერ დაქვეითდა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა.

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში მათ წინააღმდეგ იატაკქვეშ მოქმედებდნენ ნამდვილი რევოლუციონერი-ბოლშევიკები.

მაგონდება ერთი მაშინდელი ეპიზოდი. მოვიდა ცნობა, რომ ჩრდილო კავკასიაში დენიკინის არმია უპირატესი რაოდენობით უტევს ბოლშევიკების არმიასო. ბოლოს ისეთი გარემოება შეიქმნა, რომ რუსეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო თხოვნით მიემართა მენშევიკების სამხედრო მინისტრ რამიშვილისთვის, რომ საქართველოს შეეფარებინა გასაჭირში მყოფი წითელი არმიის ნაწილი, რომელიც სამხრეთისაკენ იხევდა. მენშევიკების მთავრობა დათანხმდა და ამ შეთანხმების შემდეგ საქართველოში მოვიდა წითელი არმიის დიდი ნაწილი. როგორც შემდეგში გამოირკვა, მათ შორის ბევრი პარტახტიანი ტიფით იყო დაავადებული.

იმ დროს თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმის პროფესორ თიკანაძის მოადგილე ვიყავი. ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ ამ კარგ ქართველს, დადად განსწავლულ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს. იგი კარგად მეპყრობოდა,

როგორც ერთგულ მოადგილეს და მეც დიდად კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ დიდ მეცნიერთან მიხდებოდა მუშაობა.

ჩვენი არმიის საექიმო-სამკურნალო ნაწილის გამგედ იყო პოლკოვნიკი მესხიშვილი, მან ბრძანებით გამიწვია ჰოსპიტალში, რადგან კავკასიის ფრონტის ჯარი უკვე ჩამოსული იყო. მაშინვე გავექანე ჰოსპიტლისაკენ. იქ საშინელი ამბავი დამხვდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯარისკაცთა უმეტესობა პარტახტიანი ტიფით იყო დაავადებული. სასწრაფოდ ჩავიცვი სამუშაო ხალათი. მუშაობის დროს მხარში მედგა საკმაოდ გამოცდილი ექთანი, აწ განსვენებული მანსვეტაშვილი. თითქმის დღე და ღამე ვმუშაობდით ავადმყოფებთან და რამდენიმე დღის შემდეგ მეც შეეყარა ტიფი.

მაგონდება ერთი მეტად საგულისხმო ამბავი. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. თოთხმეტი დღე უგრძნობლად გახლდით, ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ჩემს მნახველ ექიმებთან ერთად მოვიდა აგრეთვე ექიმი გურკო, რომელიც იმ დროს ყოფილი მიხეილის სახელობის საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. მან ჩემი მდგომარეობა უნუგეშოდ ჩათვალა.

იმ პერიოდში მენშევიკურმა მთავრობამ ჩაატარა დაწესებულებების ნაციონალიზაცია, ნათ შორის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსიც. გამოდიოდა, რომ ექიმი გურკო უნდა განთავისუფლებულიყო მთავარი ექიმის თანამდებობიდან, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას სახელმწიფო ბინა უნდა დაეტოვებინა და სხვა ბინა ეშოვნა. ექიმი გურკო მივიდა ქალაქის თავთან და მოახსენა, თქვენოან ბინის რიგში ექიმი დიმიტრი ჯავახიშვილი რომ არის ჩაწერილი, რამდენიმე დღეში გარდაიცვლება და მის მაგიერ მე ჩამწერეთო.

გურკოს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მიუხედა-

ვად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი იყო ჰუმანური და პატიოსანი ადამიანი, მაგრამ ჩემს მიმართ ერთგვარი უტაქტობა გამოუვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მისგან მივიღე ვრცელი წერილი. იგი ბოდიშს იხდიდა ჩემს წინაშე. წერილიდან ჩანდა, რომ ის მორალურად იტანჯებოდა, სინდისი ქენჯნიდა. სამწუხაროდ, ამ ამბავს მოჰყვა მძიმე შედეგი. მან დატოვა სახელმწიფო ბინა და როცა მისი ბარგი სხვა ბინაში გადაჰქონდათ, უეცრად გარდაიცვალა.

აი, როგორია პატიოსანი ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა სინდისის წინაშე. ეს ამბავი მოვიტანე, როგორც მაგალითი, თუ როგორ მძიმე გადასატანია ჰუმანური ადამიანისათვის დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა.

უნდა აღვნიშნო, რომ 1919 წელს სამხედრო პოსპიტალი ნაციონალიზებული იქნა. მისი თანამშრომლების უმრავლესობა ქართველები იყვნენ. ჰოსპიტლის უფროსი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო აწ განსვენებული პროფესორი ივანე ელიშუხის ძე თიკანაძე. ხოლო ჰოსპიტლის უფროსის მოადგილე და უფროსი ორდინატორის თანამდებობა მე მეკავა. იმ პერიოდში ჰოსპიტალში მოღვაწეობდნენ ექიმები: ნიკო მახვილაძე (შემდეგ პროფესორი და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტის დამაარსებელი, რომლის დირექტორი იყო ბესო ოქროპირიძე), ცნობილი ნევროპათოლოგი პონდოევი, რომელიც კარგი კლინიცისტი იყო (იგი აგრეთვე კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი გახლდათ. დიდხანს მუშაობდა მე-4 სამმართველოს სისტემაში. ის იყო ერთ-ერთი კარგი ნევროპათოლოგი, ამხანაგი და მეგობარი. მან დაწერა სხვადასხვა სპეციალობის დარგში შრომები. ძალიან საინტერესოა მისი რუსულ ენაზე და-

წერილი „ექიმის ჩანაწერები“, რომელიც ზოგიერთ უცხო ქვეყანაშიც თარგმნეს. მაგონდება მისი გულთბილი დამოკიდებულება ჩემდამი ჩემი ავადმყოფობის დროს), ივანე კონიაშვილი, ერთ-ერთი დამაარსებელი კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტისა, ფავლენიშვილი ლევანი და სხვები.

ჩემს გარდა, პარტახტიანი ტიფით დაავადდნენ სხვა ექიმებიც. მაშინდელი მკურნალობა პრიმიტიული იყო და ამიტომ ავადმყოფობა მძიმედ მიმდინარეობდა.

*

საქართველოში მენშევიკების პარპაში დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთის ბოლშევიკური პარტიის და წითელი არმიის დახმარებით ქართველმა ხალხმა ააფრიალა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროშა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

მენშევიკების მთავრობამ რა წამს იგრძნო თავისი აღსასრული, გადაწყვიტა საფრანგეთში წასულიყო და თან წაეღო ქართველი ხალხის კულტურის საუნჯე, რომლის შენახვა და დაცვა მიანდეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, ცნობილ დიდ მეცნიერს, ქართველ პატრიოტს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც უკლებლივ დაუბრუნა ის ქართველ ხალხს, რითაც უკვდავი სახელი დაიმსახურა.

კარგად მახსოვს 1921 წლის 25 თებერვლის ღამე. ბოლშევიკების ჯარი რომ მოდიოდა პლეხანოვის პროსპექტზე, ყინულს ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა. მენშევიკების ყალბი აგიტაციის წყალობით ზოგიერთი შეშინებული სულმდაბალი

ადამიანი ტოვებდა თბილისს და სხვადასხვა მიმართულებით გარბოდა. როგორც ამბობდნენ, სადგურზე საშინელი პანიკა იყო. მაგრამ მალე ყველაფერი ნათელი გახდა.

მოკლე ხანში ხალხმა გაიგო მომხდარი ამბის სინამდვილე და დამშვიდებით დაუბრუნდა თავის საქმიანობას.

მენშევიკების მთავრობის ნაშთად დაგვრჩა საშინელი სილარიბე. სურსათი ძვირი იყო, კილო პურში 15 მანეთს ვაძლევდით. სრულიად არ იშოვებოდა სამრეწველო საქონელი.

ამავე დროს საშინლად იყო დაცემული ფულის კურსი. მე მაშინ უნივერსიტეტის ასისტენტად ვმუშაობდი და ხელფასი შვიდი თუმანი მქონდა. უნივერსიტეტის მოლარეს ხელფასისთვის დასარიგებელი ფული სავსე ტომრებით მოჰქონდა, თბილისის ახლომახლო რაიონებში ხელფასი ურმით მიჰქონდათ ხოლმე, მაგრამ დიდი სიძვირის გამო ფული არავის ჰყოფნიდა.

დღეს ეს უკიდურესი სილარიბე ზღაპარივით გამოიყურება.

*

1925 წელს ბორჯომში ჩამოვიდა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის კომისარი ამხ. სემაშკო. ივანე კონიაშვილმა და რამდენიმე ამხანაგმა წავიყვანეთ იგი ბორჯომის კურორტების დასათვალიერებლად. ბოლოს ბაკურიანში მივედით.

სემაშკო აღტაცებული დარჩა ბორჯომის ხეობით, განსაკუთრებით კი ბაკურიანით.

შემდეგში იგი გამოვიდა მოსკოვში ერთ-ერთ მორიგ ყრილობაზე და დამსწრეთ მჭევრმეტყველურად გააცნო საქარ-

თველოს კურორტები და დაასკვნა, საქართველო მდიდარია საკურორტო ადგილებით და საჭიროა ეს სიმდიდრე გამოვიყენოთ ხალხის საკეთილდღეოდო.

ბორჯომის კურორტებთან დაკავშირებით მაგონდება ის დრო, როცა პირველად გადაიღეს სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტები კინოსურათად. მაშინ მე კინოსტუდიაში ამ სურათის კონსულტანტად მიმიწვიეს.

ამ დროს კინოსტუდიის უფროსი იყო აწ განსვენებული არჩილ გიგოშვილი, რომელიც შემდეგში საქართველოს საგარეო მინისტრად მუშაობდა. არჩილ გიგოშვილი ძლიერ სპეტაკი და საყვარელი ადამიანი იყო, ძალიან გულთბილი და თავმდაბალი. მისმა გარდაცვალებამ ჩვენს საზოგადოებაში დიდი მწუხარება გამოიწვია.

კინოსურათში გადაღებულ იქნა კურორტები: ბორჯომი, წაღვერი, დიდი ცემი, პატარა ცემი, ლიბანი, ბაკურიანი; შემდეგ წყალტუბო, როგორც დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო კურორტი, იგი ცნობილია საზღვარგარეთის ქვეყნებშიც; კლიმატური მნიშვნელობით საკმაოდ სახელგანთქმული აბასთუმანი, თავისი მიდამოებით; შოვი, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ყველასათვის ცნობილმა პარტიულმა მოღვაწემ შამშე ლექავამ; ზოგიერთი ზღვისპირეთის კურორტებიც: ბათუმი, ქობულეთი, სოხუმი და გაგრა.

აი, ასეთი იყო პირველი კინოგადაღება საქართველოს კურორტებისა, რომელიც მაყურებლებმა საკმაოდ კარგად მიიღო.

რაკი სიტყვამ მოიტანა, საქართველოს კურორტებზე უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატი, რომლის კომისარი იყო კუჭაიძე. მას დავალებული ჰქონდა ხალხის ჯანმრთელობის საქმე დაეყენებინა სათანადო დონეზე. ამ კომისარიატთან დაარსდა საკურორტო სამმართველო. სამმართველოს უფროსად მოწვეული იყო გამოცდილი ექიმი გიორგი პეტრეს ძე მამალაძე. იგი ერთ დროს მუშაობდა ჩრდილო კავკასიის და კრასნოდარის სამხარეო სამმართველოს სხვადასხვა კურორტებზე. მის მოადგილედ მე დამნიშნეს.

ამ დროისათვის ამუშავდნენ კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, სადაც რამდენიმე სანატორიუმი იყო.

1925 წელს მონაწილეობა მივიღე საკავშირო საკურორტო ყრილობაზე, რომელიც ქალაქ პიატიგორსკში გაიმართა. ამ ყრილობაზე იყვნენ: ქიმიკოსი რობერტ კუპცისი, პროფესორი მეზერნიცკი, რომელიც იმ წლის ზაფხულში მუშაობდა აბასთუმანში, როგორც კონსულტანტი და სწორედ აბასთუმნის ზოგიერთი საკითხების ირგვლივ ილაპარაკა მან ყრილობაზე.

ამ დროს ჩაეყარა საძირკველი კურორტებს ბორჯომის ხეობაში: წაღვერს, ცემს, ლიბანს, ბაკურიანს. მაშინ ჩვენ ვიწვევდით პროფესორებს: ალადაშვილს, წინამძღვრიშვილს, ვირსალაძეს და სხვებს, რომლებიც მუშაობდნენ აქ ზაფხულობით.

1925 წელს გაიხსნა საბავშვო სანატორიუმი პატარა ცემში, რომლითაც ჩაეყარა საძირკველი ბავშვთა საკურორტო საქმეს.

ვინაიდან ეს პირველი სახელმწიფო წამოწყება იყო, მე, როგორც სამმართველოს სამკურნალო განყოფილების მუ-

შაკს, მახსოვს, ამ სანატორიუმის შესახებ მოგვიხდა მოწოდების დაწერა. ჩვენ მივმართავდით პროფკავშირებს, რომ მათ ხელი შეეწყოთ, რათა ბავშვები გამოეგზავნათ სამკურნალოდ. სათანადო საგზურებით, რომელსაც ხელს ვაწერდით საკურორტო სამმართველოს უფროსი მამალაძე და მე.

პირველი საბავშვო სანატორიუმის უფროსი ექიმი იყო ალექსანდრე ყანჩელი, რომელიც დღესაც ცნობილი პროფესორია პედიატრიის დარგში და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გახლავთ.

ამხ. მამალაძის მიერ შემოტანილ იქნა წინადადება, რომ ბორჯომში ხაფხულის სეზონში დაარსებული ყოფილიყო სახელმწიფო პოლიკლინიკა, სადაც ავადმყოფთა მიღება მოხდებოდა სათანადო ტალონების მიხედვით. ამ პოლიკლინიკის ვამგედ მე დამნიშნეს.

მახსოვს, ამავე წლებში აქ სამკურნალოდ ჩამოვიდნენ ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.

•

რაკი აგარაკებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა თელავიც გავიხსენო: ამ რაიონში აგარაკები ნაკლებად მოგვეპოვება. თვით თელავის თავზე არის ძალიან კარგი, მთის სუფთა ჰაერით ცნობილი ადგილი ნადიკვარი. ამ ადგილზე ხშირად თავს იყრიდნენ თელაველები, ისვენებდნენ, დასეირნობდნენ და აწყობდნენ სხვადასხვა სანახაობას.

დიდი ყურადღება მიიპყრო ე. წ. თორღვას აბანოს გამოყენების საკითხმა.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ჩხუბიანაშვილის დავალებით კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-

სტიტუტის ხელმძღვანელობას დაევალა მოეწყო ექსპედიცია თორღვას აბანოს მიდამოებში, რადგან გამიზნული იყო თორღვას აბანოს გამოყენება სამკურნალოდ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ კლიმატოლოგი გიორგი ჭირაქაძე. არქიტექტორი-ინჟინერი ზაალიშვილი, ქიმიკოსი პეტრე ცისკარიშვილი, ვეოლოგი თომა მელიავა. მე დავალებული მქონდა ექსპედიციის ხელმძღვანელობა. ეს იყო პირველი ექსპედიცია თორღვას აბანოს მიდამოებში. ჩვენ უნდა ავყოლოდით მდინარე სტორის ხეობას და დაგვეთვალიერებინა თორღვას აბანო. რადგან ის იმ დროს მეტად ძნელი მისადგომი იყო თავისი მდებარეობის გამო. სპეციალისტებს უნდა შეედგინათ თორღვას აბანოს თბილი გოგირდოვანი წყლის ცოტაოდენ, ნახევარი მანძილით მაინც. დაბლობში ჩამოყვანის გეგმა. დავალებ: ძალიან რთული და ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა, წყლის ჩამოყვანა ტექნიკურად ვერ ხერხდებოდა, ამის გამო ვრცელი მოხსენების დაწერა მოგვიხდა მთავრობის თავმჯდომარის სახელზე. ჩვენმა ექსპედიციამ მაინც დიდი ნაყოფი გამოიღო. თორღვას აბანომდე სამანქანო გზა გაიყვანეს და ეს სასარგებლო გოგირდოვანი წყალი ხალხისათვის მისაწვდომი გახდა.

მე საქართველოს სხვადასხვა რაიონში რამდენიმე საინტერესო მდინარის ხეობაში ვყოფილვარ. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ღრმა, ვიწრო. ლამაზი ხეობა სხვაგან არსად მინახავს.

ჩვენი ექსპედიცია დაიწყო სოფ. ფშაველიდან, სადაც იმ ღამეს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ კარგი მასპინძლობა ვაგვიწია. დილით მოგვიყვანეს ცხენები და გზას გავუდექით. ბილიკი ისეთი ვიწრო იყო, რომ მწკრივად მივდიოდით. წინ მიგვიძღოდა სოფელ ფშაველის თავმჯდომარე. ბილიკი

თანდათან მაღლა მიიწევდა, ირგვლივ კლდეები გვერტყა, ძირს კი აქაფებული მდინარე სტორი თეთრი ძაფივით ჩანდა, გზა სახიფათო გახლდათ, საკმარისი იყო ცხენის ოდნავ წაბორძიკება და მხედარი უფსკრულში გადაიჩეხებოდა. მაგრამ ბუნების საოცარი სიმშვენიერე შიშის გრძნობას სძლევდა და ჩვენ, ბუნების სიმშვენიერით მოხიბლულნი, სულ მაღლა მივიწევდით. ამ მოგზაურობამ მე დიდი სიამოვნება მომანიჭა. ხეობა უფრო ლამაზია იმ ადგილიდან, საიდანაც გამოჩნდება განსაკუთრებული არქიტექტურის, მაღალი, ვიწრო, ოთხკუთხა თორღვას ციხე. მივაღწიეთ იმ სოფელს (სახელი არ მახსოვს), საიდანაც გეგმით მილებით უნდა ჩამოყვანილიყო წყალი და მოწყობილიყო სამკურნალო აბანო. ეს სოფელი თორღვას აბანოდან შვიდი კილომეტრით იყო დაცილებული.

იმ ღამეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა გაგვიმართეს ვახშამი. მერე კი, ვისაც ნაბადი ჰქონდა, ისინი კარგად მოეწყვნენ. ნაბადში გახვეულებს ტკბილად ეძინათ, ჩვენ კი ცეცხლი გავაჩაღეთ და გარს შემოვუსხედით, მთელი ღამე ცეცხლთან ვთბებოდით. დილით აბანო დავათვალიერეთ. იგი გამოქვაბულშია მოთავსებული. ერთ ადგილას მიწიდან ამოსული თბილი წყალი გუბდება, შიგ ავადმყოფები წვებიან. ეს შესანიშნავი სამკურნალო წყალი, როგორც მოგახსენეთ, სამანქანო გზის გაყვანის შემდეგ თელავის რაიონის მოსახლეობისათვის მისაწვდომი გახდა.

*

ჩვენი მოგონებების დასასრულს მინდა სვანეთსა და მის სააგარაკო ადგილებზე ვთქვა ორიოდე სიტყვა.

1946 წლის აგვისტოში სვანეთის რაიკომის მდივანმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ

კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტს გაეგზავნა ექსპედიცია სვანეთში მისი საკურორტო რესურსების დასათვალიერებლად და შესაფასებლად. ამ მიზნით ინსტიტუტის დირექციამ დამავალა შემედგინა ექსპედიცია. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ შემდეგი ამხანაგები: კლიმატოლოგი ჭირაქაძე, გეოლოგი მაკარი ფაღავა, კლინიკიდან პროფ. მიხეილ ნოდია. ექსპედიციის ხელმძღვანელი მე გახლდით.

ჩვენ შეგვეძლო მოგზაურობა ენგურის ხეობით, რომელიც ძალიან საინტერესო და მიმზიდველია, მაგრამ დრო ნაკლები გვქონდა და გადაფრენა ვარჩიეთ.

ორი-სამი დღის განმავლობაში ქუთაისის აეროპორტში მოგვიხდა ყოფნა, ვინაიდან უამინდობის გამო მესტია არ იღებდა თვითმფრინავს. ბოლოს ჩვენმა ექსპედიციამ მაინც მოახერხა და ერთი თვითმფრინავი უ-2 მოგვცეს მე და განსვენებულ ფაღავას. გავფრინდით და მივედით მესტიაში, მაგრამ აქაც დაბრკოლება შეგვხვდა, მესტიის სადგურმა ცუდი ამინდის გამო არ მიგვიღო და კარგა ხანს მოგვიხდა ტრიალი მესტიის აეროდრომის თავზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ სვანეთის გრანდიოზულმა სილამაზემ გზაში შეხვედრილი უსიამოვნებანი უმალვე დაგვავიწყა.

აი, ჩვენ ზემო სვანეთის ცენტრში—მესტიაში ვიმყოფებით, იგი ზღვის დონიდან 2000—2200 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მისი საერთო ხედი მეტად მომხიბლავია. თვალს იტაცებს ორიგინალური და ლამაზი სვანური კოშკები.

წარსულში ზემო სვანეთი იყოფოდა ორ ნაწილად: დასაკლეთ სვანეთად, რომელიც ეკუთვნოდა თავად დადეშქელიანების საგვარეულოს, და აღმოსავლეთ, თავისუფალ სვანეთად,

რომელიც ებრძოდა თავადებს თავისუფლების შესანარჩუნებლად.

მეფის რუსეთის დროს სვანეთი ყველაზე ჩამორჩენილი კუთხე იყო საქართველოში. მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დასძლია სვანეთმა ეს ჩამორჩენილობა და ახალი ცხოვრების გზას დაადგა.

მესტიისა და ჭასთან ახლომდებარე ადგილების გარდა, ჩვენ გვევალებოდა დაგვთვალიერებინა ყველა მინერალური წყლების ადგილმდებარეობა. ამ მიზნით წავიყვანე ადგილობრივი საექიმო ნაწილის რიონული ხელმძღვანელი ექიმი ჯაფარიძე და მთელი დღის განმავლობაში ვათვალიერებდი და დაწვრილებით ვიწერდი თითოეული წყლის ბუნებრივ თვისებებს.

ჩვენი ექსპედიციის შედეგად მივიღეთ დასკვნა, რომ სვანეთის აუარებელი მინერალური წყლები ერთიმეორეზე უკეთესია თავისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. საქართველოს ეს ულამაზესი მხარე ამ მხრივ მეტ ყურადღებას მოითხოვს. იმედია, ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და სვანეთის საუკეთესო მინერალური წყლები ხალხის სამსახურში ჩადგება...

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია. ღამის 11 საათი იქნებოდა, სავსე მთვარე ამოვიდა, გაანათა არეშარე და ჩემს თვალწინ დიდებული სანახაობა გადაიშალა. მე ვიხილე მთვარის შუქით გაბრწყინებული სამი მწვერვალი: თეთნულდი, უშბა და იალბუზი. ეს ულამაზესი და დიდებული სანახაობა სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და ახლაც ხშირად თვალწინ ცხადლივ დამიდგება ხოლმე.

რედაქტორი ს. დემურხანიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ინასარიძე
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ლ. არჩვაძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 17/IV-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-71 წ.
ქაღალდის ზომა. 70×108 1/32
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,05.+1 ჩაკვრა.
სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 6,7.
უე 07344. ტირაჟი 3000. შეკვ. № 505.
ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი. მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის
თბილისის სტამბა № 4.

Тбилисская типография № 4
Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати